ISSN 0130—1624

619
1986

აგვისტო
8
1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ცელი ჰკივის და ველები,
სურნელება დადგა თივით.
თივას თიბვენ მთიბველები,
ცა ლურჯია გუმბათივით.

გალაკტიონი.

ფოტოები მ. კვირიკაშვილისა და ი. ჰოხონელიძისა.

# ახალი შემოქმედებითი მიჯნების წინაშე

**გიორგი ციციშვილი,**
საქართველოს მწერალთა კავშირის
გამგეობის თავმჯდომარე

18.205

საუკუნეები ადამიანებსა ჰგვანან. ისინი, ისევე როგორც ადამიანები, არიან ხოლმე ბედნიერი და უბედური, ღარიბი და მდიდარი, დღეგრძელი და დღემოკლე, მსგავსი და განსხვავებული, და ყოველ მათგანს თავისი სახე, თავისი ბიოგრაფია, თავისი სახელი აქვს.

მაგრამ ჩვენი საუკუნე არც ერთ წინამორბედ საუკუნეს არა ჰგავს. მას სულ სხვა ბედი ხვდა წილად. მან სათავე დაუდო კაცობრიობის ისტორიის ახალ ეპოქას, სოციალიზმის ეპოქას. და თუმცა ჩვენი საუკუნის დასასრულამდე 14 წელიღა დარჩა, ვფიქრობ, სწორედ ეს წლები განსაზღვრავენ მის ისტორიულ მნიშვნელობას.

დარჩენილი 14 წელიწადი სრულიად განსაკუთრებულია — ამ დროში ჩვენ უნდა გავიაროთ გზა, რომელიც 1917 წლიდან დღემდე გამოვიარეთ. ესე იგი, ჩვენმა ხალხმა ამ მოკლე დროში იმდენივე უნდა გააკეთოს, რამდენიც საბჭოთა წყობილების არსებობის ყველა წლის, ანუ მთელი 70 წლის მანძილზე. სწორედ ეს გახლავთ დაჩქარების სტრატეგია, რომელიც დაჟინებით მოითხოვს რადიკალურ გარდატეხას და ძირეულ გარდაქმნას.

XX საუკუნე გრანდიოზულ გარდაქმნათა საუკუნეა არა მარტო სახალხო მეურნეობაში. განუზომლად იზრდება ხალხის ფსიქოლოგიური განწყობის, ადამიანის ფაქტორის როლი.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, (რა თქმა უნდა, არა კულტურის სხვა სფეროების საწყენად), რომ აზროვნების გარდასაქმნელად მხატვრულ ლიტერატურაზე ძლიერი ძალა არ არსებობს. მას ხელოვნების ვერც ერთი დარგი ვერ შეედრება. ლიტერატურა სულიერი კულტურის ბალავარია, იგია ფიქრთამპყრობელი, ადამიანის ხასიათის გაკეთილშობილების, მშვენიერების, სიკეთის რწმენის, მიზანდასახული ნების დამკვიდრების ყველაზე ძლიერი საშუალება.

ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, შეგნებული გვაქვს, რომ ლიტერატურა ის მაგისტრალური არხია, რომელიც ხალხის უფართოეს მასებს ყველაზე გასაგები ფორმით, მხატვრული სახეებით აწვდის ჩვენი იდეოლოგიის ყოვლისშემძლე და ძლევამოსილ იდეებს.

ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, შეგნებული გვაქვს, რომ ეს გარემოება ისეთ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, როგორიც არასოდეს, არც ერთ ისტორიულ ეპოქაში არ წაუყენებიათ მხატვრული აზროვნებისადმი. ეს კარგად ესმით ქართველ მწერლებსაც, რომელთა შემოქმედება საანგარიშო პერიოდში მთელი რიგი წარმატებებით აღინიშნა. აღარ ვილაპარაკებ თანამედროვე ქართული ლიტერატურის წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე, ვინაიდან საანგარიშო მოხსენება საქართველოს მწერალთა X ყრილობისადმი ცალკე ბროშურად გამოქვეყნდა და დელეგატებს დაურიგდათ.

და მაინც მინდა აღვნიშნო, რომ საანგარიშო ხუთწლეულში ქართველმა მწერლებმა, ისევე როგორც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური ფორმირებების — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მწერლებმა მთელი რიგი მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები შექმნეს.

ლიტერატურულ პროცესს, როგორც ყოველთვის, სათავეში უდგანან ქართველი პოეტები. ჩინებულად იმუშავეს ქართველმა პროზაიკოსებმაც, რომელთაგან ბევრმა საკავშირო თუ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ფართო ასპარეზზე გავიდა ქართული დრამატურგია. ჩვენი ავტორების პიესები იდგმება როგორც ჩვენი ქვეყნის სცენებზე, ისე საზღვარგარეთ.

ქართულმა კინომ მსოფლიო სახელი რომ მოიხვეჭა, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით კინოდრამატურგებს. ფართოდ გაშალა მხრები პუბლიცისტიკამ. წარმატებით ვითარდება საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა და მთარგმნელობითი საქმე.

დიდი ნაბიჯი გადადგა წინ აფხაზურმა ლიტერატურამ, რომელსაც მთელი რიგი ნიჭიერი მწერლები შეემატა. გატაცებით, შემოქმედებითი ინტენსიურობით შრომობენ სამხრეთ ოსეთის მწერლები.

მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთი დიდი ქრონიკული ნაკლი, რომელიც, სხვათა შორის, სხვა ლიტერატურებსაც ახასიათებს — გვაკლია ჩვენი თანამედროვის უტყუარი, შთამბეჭდავი, მიმზიდველი სახე.

დაახლოებით ორი ათწლეულის წინათ ზოგი ჩვენი გულარხეინი თეორეტიკოსი გულთმისნობდა, თუ რამდენ წელიწადში შევიდოდით (სწორედ შევიდოდით) კომუნიზმში. ამ მისნობამ საბჭოთა ლიტერატურის ცალკეული მოღვაწეებიც აიყოლია. ჩვენი თანამედროვეობა მათ ერთგვარ გარდამავალ ეტაპად, კომუნიზმის წინ ხანმოკლე გაჩერებად ესახებოდათ. მათი გაგებით, თანამედროვეობა ემსგავსებოდა პატარა გზასაყარს, სადაც ჩვენი მატარებელი მწვანე შუქის მოლოდინში სულ რამდენიმე წუთს დაყოვნდა, რათა შემდეგ დიდ, ნათელ ქალაქში — კომუნიზმში შესულიყო.

ასეთი გუნება-განწყობილება სულაც არ უწყობდა ხელს ჩვენი დროის სიდიადისა და სირთულის სწორ გააზრებას.

ამის შედეგად ჩვენ არასაკმარისად აქტიურად ვუნერგავდით ადამიანებს დღევანდელობის, მისი ამოცანებისადმი სათანადო პატივისცემის გრძნობას. არადა, ჩვენი ყოველდღიურობა მეტ სიყვარულს, პატივისცემას, ერთგულებას მოითხოვს.

მხოლოდ დღევანდელობის გრანდიო-

სიტყვა, წარმოთქმული სსრ კავშირის მწერალთა მერვე ყრილობაზე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 8 (596), აგვისტო, 1986

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნ ო მ ე რ შ ი ა:

გიორგი ციციშვილი — ახალი შემოქმედებითი მიჯნების წინაშე.
ხუტა ბერულავა — დღესასწაული.
თენგიზ ჩალაური — ძველ სალოცავთან (მოთხრობა).
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ორმოცი წლის წინანდელი დღიურიდან (ლექსები).
ჯემალ მეხრიშვილი — წყურვილი (მოთხრობა).
ბადრი კობახიძის დაბადების 60 წელი.
ვახტანგ გოგოლაშვილი — ჩემი სოფლის ადამიანები (ნარკვევი).
თენგიზ ფერაძე — მერაბ ბერძენიშვილი.
ვლადიმერ ასლამაზიშვილი — კაჭკაჭები (მოთხრობა).
ნგუენ დინ თხი — ლექსები (თარგმანა ხუტა გაგუამ).
ლალი მიგრიაული — გიგოლას ვაჟები.
ოტო გოჩე — სიმღერა გუხენვალდზე (თარგმნა ოთარ ხუციშვილმა).
ანატოლი რასი — ლექცია (თარგმნა ნუნუ კუპრეიშვილმა).
ნანა კანდელაკი — ჰობი (ფელეტონი).
იაზეპ იაუნზემი — დაფარული ნიჭი (თარგმნა უშანგი სახლთხუციშვილმა).
გარუნ აკოფოვი — მოდით, გავიხსენოთ!
საგულისხმო, სახალისო.
კროსვორდი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1986 წ.

მთავარი რედაქტორი
ხუტა ბერულავა

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.





ეროვნული ბიბლიოთეკა








ზულ ამოცანათა გადაწყვეტით შევძლებთ, მივცეთ ყოველივე აუცილებელი სრული ბედნიერებისათვის ადამიანს. თუ, რაღა თქმა უნდა, ჩამოვიშორებთ ჩვენს გზაზე აღმართულ იმ ნაკლოვანებებს, რომლებზეც დღეს გაბედულად და ხმამაღლა ვლაპარაკობთ.

ვფიქრობ, ჩვენ, საბჭოთა მწერლები, უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა არსს. ახალი ტენდენციების საფუძვლიანი ათვისების გარეშე შეუძლებელია ჩვენი დღევანდელი სინამდვილის პრობლემურად და პერსპექტიულად ასახვა. უამისოდ თანამედროვე ლიტერატურა უსაჭეო და უიალქნო ხომალდს დაემსგავსება.

სულაც არ ვაპირებ ისტორიულ-რევოლუციური თემატიკის აღმზრდელობითი ფუნქციის შესუსტებას და მისი მნიშვნელობის უარყოფას, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენი უმთავრესი ამოცანები მოითხოვენ გადამწყვეტ შემობრუნებას თანამედროვეობისაკენ, მისი საარსებო მოთხოვნილებებისაკენ, რადგან თანამედროვეთა აზროვნების გარდაქმნა ყველაზე უფრო სწორედ თანამედროვე სინამდვილის მასალით არის ყველაზე ადვილი.

ლიტერატურულ კრიტიკაზე დღეს ბევრს და უპირატესად საყვედურით ლაპარაკობენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თვით კრიტიკოსებსაც აღარ სურთ კრიტიკაზე ლაპარაკი. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ახლა საჭიროა უფრო სერიოზულად ვიზრუნოთ მისი კადრების განახლებისათვის, კრიტიკის რეზერვებისათვის. უამისოდ მას ადგილიდან ვერ დავძრავთ. კერძოდ, უნდა წავახალისოთ სიტყვის ოსტატების ჩაბმა კრიტიკულ შემოქმედებაში, გავაღვივოთ კრიტიკის სიყვარული. დროა უარვყოთ შეხედულება კრიტიკოსებზე, როგორც ნაფიც მსაჯულებზე ან ვექილებზე, რომელთა მოწოდებაა სახელიანი ნახევარმწერლების სამსახური.

უნდა გადავსინჯოთ დამოკიდებულებაც ლიტერატურული ახალგაზრდობისადმი, გავათავისუფლოთ იგი მეტისმეტი მეურვეობისაგან, უფრო მეტი მოვთხოვოთ და მოვკითხოთ მას.

ყურადღება და გულისხმიერება ხელს არ უნდა უშლიდეს მომთხოვნელობას. ნაადრევი პროფესიონალიზაცია დიდი ბოროტებაა. ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებსაც ჯერ არ გამოუვლენიათ ნიჭი, ჯერ არსად ხეირიანად არ უმუშავიათ და რომლებიც არსებითად არასოდეს ყოფილან კოლექტივის წევრები, ამქვეყნიურ სიკეთეს გამოდევნებულთ, ენერგიული იერიშები მიაქვთ მწერალთა კავშირებზე. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

ამხანაგო დელეგატებო!

ჩვენ, საბჭოთა მწერლებს, ღრმად და ყოველმხრივ უნდა გვესმოდეს ხალხთა ურღვევი მეგობრობის ძალა და მნიშვნელობა. და არა მარტო გვესმოდეს, არა მარტო ვქადაგებდეთ სოციალისტური საერთო ცხოვრების უდიდეს მცნებას, არამედ თანამიმდევრულად ვახორციელებდეთ კიდეც მას, ერთგულ გუშაგებად ვედგეთ ინტერნაციონალიზმის ამ მაღალ გამოვლინებას. და რაოდენ სამწუხაროა, როცა ზოგიერთი მწერალი და ლიტერატურული ბეჭდვითი ორგანოს ხელმძღვანელი უშვებენ უხეშ, თანაც ისეთ შეცდომებს, რომლებიც ყოველთვის არ ისჯებიან დამსახურებისამებრ. სწორედ ამას სწერენ საქართველოს მწერალთა კავშირს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია და, მეტადრე, ახალგაზრდობა, და განა მარტო საქართველოდან, არამედ სხვა რესპუბლიკებიდანაც.

რას წერენ ისინი? ჟურნალ „ნაშ სოვრემენიკის" ამა წლის მაისის ნომერში (ამის შესახებ ილაპარაკა სერგი ვლადიმირის ძე მიხალკოვმა) გულისტკივილით და სინანულით წავიკითხეთ მწერალ ვიქტორ ასტაფიევის მოთხრობა „ციმორის ჭერა საქართველოში". ამ მოთხრობაში ავტორმა, თავს ნება მისცა, გაეკეთებინა შეუწყნარებელი განზოგადებანი, უხეშად, უბოდიშოდ შეურაცხყო მთელი ქართველი ხალხი და არა მარტო ქართველი ხალხი, მან ღვარძლიანად, ქედმაღლურად, აბუჩად ამგდები კილოთი მოიხსენია კავკასიის ყველა ხალხი.

ასტაფიევი მიუტევებელი უტაქტობით წერს მთელი ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებზე, ადათებზე, განზრახ ამახინჯებს მათ, მრუდედ წარმოადგენს ეროვნულ თავისებურებებს. ამ მწერლის მოთხრობა აღმაშფოთებელია არა მარტო ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხებისათვის, არამედ რუსი ხალხისთვისაც. ასტაფიევის მსჯელობაში, მის უკიდურესად სუბიექტურ შეფასებაში თავს იჩენს რელიგიურ-საეკლესიო ტენდენციების აქტივიზაციასთან დაკავშირებული შეხედულებები, რაც აგრეთვე შემთხვევითი არ უნდა იყოს არც ავტორისათვის, და არც მისი მოთხრობის გამომქვეყნებელი ჟურნალის „ნაშ სოვრემენიკისათვის", რომელიც, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ უბამს მხარს თანამედროვეობას.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ, უდიდესი აღმშენებლობითი საქმიანობით შთაგონებულ საბჭოთა მწერლებს, დიდებული განწყობილება და ხალხის საკეთილდღეოდ შრომის დაუძლეველი წადილი გვაქვს. სწორედ ეს არის იმის საწინდარი, რომ ჩვენი მრავალეროვანი მწერალთა არმია გარდაიქმნება ახალ მოთხოვნათა სულისკვეთების შესაბამისად, გადალახავს ყველა სიძნელეს და ახალ შემოქმედებით მიჯნებს მიაღწევს.

# დღესასწაული

მედეა ჯაფარიძის უმშვენიერესი სახელის ხსენებისას შეუძლებელია სიამაყის გრძნობა არ დაგეუფლოს იმის გამო, რომ იგი ასულია შენი მშობელი ერისა, იმის გამო, რომ იგი შენი თანამედროვეა, შენს ქალაქში ცხოვრობს და მის მრავალფეროვან შემოქმედებით ცხოვრებასაც შენს თვალწინ ჩაუვლია...

ასე მიფიქრია ბევრჯერ.

ასე ვფიქრობდი იმ დღესაც, 1986 წლის 2 ივნისს, თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში, საქართველოს სახალხო არტისტის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მედეა ჯაფარიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე.

ვისაც წილად ხვდა ბედნიერება, დასწრებოდა ამ საღამოს, დაგვეთანხმება: ეს იყო ლამაზი დღესასწაული ქართული კულტურისა, დღესასწაული საქართველოსი, რომელიც საოცრად ნაზად მოეფერა და მოეალერსა თავის ერთ-ერთ მანათობელ ვარსკვლავს.

ამ ჯადოსნურ, გულითად ატმოსფეროში ხშირად ისმოდა ჩვენი სახელოვანი მწერლების, მამა და შვილის — რევაზ და ლაშა თაბუკაშვილების სახელები, რადგანაც მათი პიესების პერსონაჟებიც ახალგაზრდული გატაცებით განასახიერა იუბილარმა.

ბუნებრივია: ესეც ძალიან უხაროდა ყველას.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სცენაზე რუსული თეატრალური ხელოვნების შესანიშნავი ოსტატების გამოჩენას. მათ უსაზღვრო პატივისცემის გრძნობით მიულოცეს თავიანთ ქართველ კოლეგას ეს ბედნიერი დღე.

საღამო დააგვირგვინა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის გამოსვლამ. იგი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით, სიყვარულით მიესალმა და კვლავაც მრავალი როლის განხორციელება უსურვა მედეა ჯაფარიძეს.

მთელი ქართველი ხალხის სურვილიც ეს არის, ძვირფასო მედეა!

**ᲮᲣᲢᲐ ᲑᲔᲠᲣᲚᲐᲕᲐ**









ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ ჩალაური

# ძველ სალოცავთან

მოთხრობა



— აგერ იქ, დაბლა, ხედავთ? — აღელვებით წამჩურჩულა ბოროდოჩევმა და ხეობის განაპირას მარტოსულად მდგომი, კენწეროწამტვრეული ნაძვისკენ მიმანიშნა, ბარიდან ამომავალი ბილიკი ნალისებურად რომ უვლიდა გვერდს.

— ყოველთვის ასეა, — დაურთო შემდეგ, — მოსკოვ-ლენინგრადის ექსპრესივით დაუგვიანებლად, წუთი-წუთზე მოდის.

ალბათ უთავო მხედრის, ანდა შუბოსანი დონ-კიხოტის გამოჩენასაც ასევე აღიქვამდი, როგორც იმ კაცს, თუმცა გამორჩეული და თვალშისაცემი არაფერი ჰქონდა. ჭოგრიტში ყველაფერი მშვენივრად მოჩანდა — ბაჯბაჯანა ნაბიჯით მოდიოდა, გამოცდილი მეგზურივით დინჯად და აუჩქარებლად, ალპინისტური კურტაკი ეცვა, მუქი სტაფილოსფერი. თავზეც განიერფარფლებიანი მონადირული ქუდი ეხურა, სახის ნაკვთებს კი ველარ ვარჩევდი, რადგან ზემოდან დავყურებდი.

— დარწმუნებული ხარ, რომ სალოცავად დაიარება?— ერთხელაც გავუმეორე წელანდელი კითხვა.

— რა თქმა უნდა, — დაბეჯითებით მომიგო, — ზემოთურებიც მაგას ამბობენ. ეგეც არ იყოს, რომელი ჭკუათმყოფელი გატკეპნის ამსიგრძე გზას და ისიც მთებში, მხოლოდ იმიტომ, რომ გაყინულ გუბურაში იჭყუმპალაოს.

— იქნებ სულაც შენი ვარაუდია, — დაეჭვებული შევეპაექრე, — მაგას კი მაგდაგვარი რამ გულშიც არ უდევს.

— ჩემი რატომ იქნება, — იწყინა. — აკი გითხარით, ზემოთურმა გეოლოგებმა გვითხრეს, იმათზე ადრე კი მწყემსებსაც სცნობიათ, საზაფხულო იალაღებზე ნახირი ვისაც ამოჰყავს, ოცდაათ წელზე მეტია, პირველად ხომ არ არის.

— მოიცა, მოიცა, ნუ გაუტიე, — ბუზღუნით შევაჩერე, — მე ლოცვაზე და შეთქმაზე გეკითხები, რასაც ამდენი ხანია მიმტკიცებ და არა უცილობელ ფაქტზე, — ისე შევეპასუხე, არც შემიხედავს, რადგან მთელი ამ საუბრის განმავლობაში ჭოგრიტი თვალიდან არ მომიცილებია, ბილიკზე მომავალს ვუთვალთვალებდი, ხეებსა და ბუჩქებს შორის ხან რომ გამოჩნდებოდა და ხანაც მიიმალებოდა. ბოლოს მოტიტვლებულზეც გამოაღწია და მაშინ კი გაოცებულმა წავუსტვინე.

— კოჭლიც რომ ყოფილა?

— ასეა, მაშ... — დამიდასტურა ბოროდოჩევმა, — აქამდის რა, არ მითქვამს? გაიკვირვა. — ნეტავი გამაგებინა, რა ცოდვა აქვს ჩადენილი, ამდენი ხანი ასეთი მონდომებითა და თვითგვემით რომ ინანიებს.

რატომღაც მისმა ნათქვამმა გამაღიზიანა, მეტისმეტი თვითდაჯერებით ლაპარაკობდა.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, — შევუტიე, — აგიხირებია, თვითგვემაო, შეთქმაო და ვინ მოთვლის კიდევ რა. მაგას ხომ არ აჯობებდა მისულიყავი და გამოლაპარაკებოდი.

— ჰო, მაგრამ რა საჭიროა, — ისე გაიკვირვა, როგორც უტყუარ ჭეშმარიტებაში დარწმუნებულმა, — განა ის ამბავი არა კმარა, რომ აქ ყოფნისას ორ-ორ დღეობით შიმშილობს და საგზლად პურის ნატეხიც არ მოაქვს?

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, დამაეჭვა, — მართლაც ახირებული ვიღაცა ჩანს, — დაფიქრებულმა ვთქვი და კვლავაც ჭოგრიტით გავხედე.

ჩვენთვის ზურგი შემოექცია და ჩრდილოეთის მხარეს მიმავალ ბილიკს შედგომოდა. თითქოს მომესმა კიდეც დაღლილი კაცის ქშენა და ქოშინი. მხარჩამოგდებული მიდიოდა და ნატკენი ფეხის მხრიდან ხელჯოხს იშველიებდა.

— ახლა სულ ეგრე ივლის, — ამიხსნა ბოროდოჩევმა, — ვიდრე იმ ქედს არ გადაბობღდება. მერე მარჯვნივ გაუტევს და ნაკრას პარტიამდე მივა. მაგრამ არც იქ შედგება. თუ ვინმეს გადაეყარა, უხმოდ დაუქნევს თავს, მიესალმება და ვიდრე მარმარილოს გამოქვაბულს არ მიაღწევს, მუხლს არ ჩახრის, იქ კი ჩიბუხს გააწყობს, გააფუილებს, მყავე წყლით მათარას შეივსებს და ისევ წავა, სულ მაღლა და მაღლა უღელტეხილისაკენ, სვანების სალოცავი ნიში რომაა, იქამდის. ბოლო გაჩერებაც მანდა აქვს.

— საიდან სადაო? — მართლა გავიოცე, — ეს ხომ რუსსა ჰგავს, — აღმართში მიმავალზე მივანიშნე, — როდის შემდეგ დაიწყეს სლავმა მორწმუნეებმა სვანების ძველ სალოცავ ადგილებში სიარული, შენ რაღაცას უნდა ბლანდავდე, ბოროდოჩევ!

— არც იცოდეს და არც გიჯერებდესო! — წყენით ჩაიქნია ხელი ჩემმა მოსაუბრემ, ვითომ რაღა გელაპარაკო ასეთ უჯიათსო, შებრუნდა და გეოლოგების საცხოვრებელი სახლებისაკენ აჩქარებით გაუტია. მეც ცოტა ხანს კიდევ შევიცადე, ერთხელაც გავხედე ჯახირით მიმავალ უცნაურ უცნობს და ჩემი თანამეგზურის კვალს დავადექი.

ტაფობზე რომ ავედით, სადაც ჩვენი ფიცრულები ადამიანის უგემოვნებისა და ბუნებასთან შეუხამებლობის ნიმუშად ახორხლილიყვნენ, მაშინღა შემოვტრიალდი და იმ მხარეს გავხედე, სადაც ის ხელჯოხიანი უცნობი მეგულებოდა.

— აქედან ველარ დაინახავთ, — მამცნო ბოროდოჩევმა, — უკვე ნაძვნარშია შემალული, მაგრამ ხვალ შუადღისას უკან ჩამობრუნდება და აგერ იქ, იმ წყაროსთან მოიკალათებს. — მითხრა და წვრილი ტოტით, რომელიც გზადმომავალმა ბუჩქს შეატეხა, გაღმა ფერდზე მიმანიშნა, სადაც პატარა ბექობის ქვეშ ხელისგულისოდენა გუბურა დაკარგულ სარკესავით ბრწყინავდა და მზის სხივებს ირეკლავდა.

დაბინდებამდის და შემდგომაც, ცა რომ დიდრონი, ცინცხალი ვარსკვლავებით მოიჭიქა და ერთიანად აცახცახებული ცივ, ნესტიან ლოგინში შევიყუჟე, გამუდმებით იმ უცნაურ კაცზე ვფიქრობდი და მისი აკვიატებული სახება ვერაფრით მოვიშორე.

ბოლოს და ბოლოს, მაშინღა ჩამთვლიმა, როდესაც ღამის ცვლა დაბრუნდა და ხის კიბეებზე უხეში ლანჩების ბრაგაბრუგი გაისმა. ჩვილი ბალღივით მშვიდად და უდრტვინველად მივიძინე და მიუხედავად აღგზნებული გონებისა, სიზმრის მაგვარიც არაფერი მინახავს.

შუადღე მოტანებული იქნებოდა, მსუბუქმა და ფრთხილმა ხელისშეხებამ რომ გამომარკვია და თვალის გახელისთანავე მზისგან გარუჯული ჭორფლიანი ბიჭი შევნიშნე, თავსასთუმალთან დამდგომოდა და დაუფარავი ყურადღებით დამცქეროდა.

— ბოროდოჩევმა გამომგზავნა.

— კეთილი, — უაზროდ გავუღიმე. — შენ ვინღა ბრძანდები?

— მე?.. იმისი ვაჟიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვდექი, აუჩქარებლად ჩავიცვი, ბიჭს ორცხობილები ჯიბეებში ჩავუტენე და პირსახოცი რომ მხარზე გადავიკიდე, მაშინ დამცეცხლა.

— ეი, შენ, — უკვე კართან მიმდგარს მივაწიე, — რა მინდაო, არ უთქვამს?

— აბა რა ვიცი, — პირგამოტენილმა გამომძახა, — თორმეტი საათი ხდებაო.

კუდზე ცეცხლწაკიდებული კატასავით გამოვვარდი და თუმცა ბიჭმა ათასი გადაუდებელი საქმე მოიმიზეზა, მაინც ვაიძულე მამამისის ადგილსამყოფელამდე მივეცილებინე.

ტაფობის აღმოსავლეთ მხარეს დურბინდებით აღჭურვილი თხუთმეტი კაცი დამხვდა, ცენტრალურ ფიგურად შუაგულში მდგომი და „ცეისით" ხელდამშვენებული მზარეული ქალი — დეიდა ტაისა მოჩანდა, რომელიც კრუხივით ქოთქოთებდა. „ხუთ წუთში გამოჩნდებაო", სწორედ იმან მამცნო, თანაც ისეთნაირად, როგორც მგზავრების შეკითხვებისაგან თავგაბეზრებულ სადგურის მორიგეებს სჩვევიათ ხოლმე.

უცნობი პირველად ტაისამ შენიშნა.

უცნაური კაცი გაჭირვებით ჩამოდიოდა ჩრდილოეთის დამრეც ფერდზე, ჩანდა, მტკივანი ფეხი ახლა გაცილებით მეტად უშლიდა, ორთავე ხელით წინ იბჯენდა ჯოხს, აშკარად ეტყობოდა უკიდურესობამდე დაქანცული იყო და ამიტომ მობონდრიკობდა ესოდენ თვალშისაცემად. რატომღაც უხერხულად ვიგრძენი თავი, თითქოს კარის ჭუჭრუტანიდან სრულიად უცნობი ოჯახის შინაგან სამყაროში ვიყურებოდი და სხვის ჭუჭყიან თეთრეულში ვიქექებოდი.

იმ ხანდაზმულსა და ავადმყოფ კაცს ხომ წარმოდგენაც არა ჰქონდა, რომ ამ წუთში თექვსმეტი წყვილი თვალი ერთდროულად მისჩერებოდა და უთვალთვალებდა.

წყაროს რომ მოადგა, მოზრდილი გობის ტოლა გუბურის პირას, სიპ ქვაზე ჩამოჯდა, დაღლილი და ფეხგაშეშებული. ხელჯოხი გვერდზე მოიდო, ქუდი მოიხადა და ცხვირსახოცით შუბლ-კისერი შეიმშრალა, თან ზევით უღელტეხილისაკენ იცქირებოდა, იმ მხარეს, სადაც ღამე გაათია, თითქოს ძვირფასი და სანუკვარი რამ დარჩენოდა იქ. შემდეგ თავი იმდაგვარად გაარეტრეტა, იფიქრებდით, აკვიატებულ და შემაწუხებელ აზრს იშორებს, ანდა რაიმეს ნანობსო, და უცებ დაჭრილი ფრინველივით აიქნია ტანი, წამოიმართა, ორიოდ ნაბიჯი უჯოხოდ გადადგა და სარმაგამოკრულივით ტანსაცმლიანად გუბურაში ჩაწვა

მხოლოდ სამნი ვუცქეროდით მდუმარედ — ბოროდოჩევი, მე და სამსონი — ამ მხარეში ცნობილი მონადირე და მრავალღირსებით სახელმოხვეჭილი კაცი.

— სპექტაკლი დასასრულს უახლოვდება, — გამოაცხადა ტაისამ, — ჰკუისკოლოფი ახლა ცეცხლს დაანთებს და ტანისამოსიანად თოკს გადაეკიდება, მომავალ შეხვედრამდე!

წინ მდგომ ბოროდოჩევს მხარზე ხელი დავკარი.

— ხომ არ წამომყვებოდი? — შევთავაზე.

— სად, — გაიოცა, — იმასთან?

თავისდაქნევით კვერი დავუკარი.

— იმასთან, — მივუგე. — ეგ კაცი არც გიჟს ჰგავს და არც ბრმად მორწმუნეს. დამიჯერო, არასოდეს დაინტერესებულხარ სიმართლე გაგეგო?

ბოროდოჩევმა ნაზამთ რ ი ყვავივით ყურებამდე აიჩეჩა მხრები.

— თქვენ მაინც არსად შეხვედრიხართ? — სამსონს მივუბრუნდი.

როგორც ყოველმა ჭეშმარიტმა მთიელმა, არც იმან იჩქარა პასუხი, გულდინჯად შემომაცქერდა თვალებში.

— ხშირად, — მოკლედ მომიგო.

— ნუთუ არაფერი გკითხავთ, — დავინტერესდი, — თუნდაც ის, რა მიზნით დაიარება, ანდა ღამეს რატომ ათევს იქ, ძველ სალოცავთან.

არც ახლა ისულსწრაფა, მხოლოდ ტუჩის კუთხეებში გაუკრთა ღიმილი.

— ჩვენ, სვანები, სტუმარს მოსვლის მიზეზს არასოდეს ვეკითხებით, — შეგონებით მითხრა, — რამდენჯერაც გადავყრივარ, მასპინძლობა და დახმარება ყოველთვის შემითავაზებია, მაგრამ მუდამ ზრდილობიანი უარი მაქვს მიღებული. სხვა უფლებები კი მე არ გამაჩნია.

— თქვენც სალოცავად მოარული მორწმუნე გგონიათ?— აზრი ვკითხე.

— არც ერთი არ უნდა იყოს, — დაჯერებით მიპასუხა. — არც გონება და განსჯა უნდა ჰქონდეს ვინმეზე ნაკლები.

აღარაფერი მითქვამს, პირდაპირ დავეშვი თავქვეშ; ბოროდოჩევი რომ გამომყვა, იმას არ გავუკვირებივარ, მაგრამ სამსონიც რომ კვალში ჩაგვიდგა, ამან კი გამაოცა.

რა დროც მდინარებამდე ჩასვლას მოვანდომეთ, ორი იმდენი ასვლას შევალიეთ, ხეთა კენწეროების აღმა ამომავალ კვამლზე მივდიოდით, ორიენტირად ის გვქონდა და, როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ მოულოდნელად წავადექით თავს, ზურგი მოგვაქცია და ხვანჯარი შეიკრა, შემდეგ შემობრუნდა და შემცბარი მოგვესალმა, გალობა ნ ა ჩ ვ ე ვ ი მღვდელივით მშვენიერი, ბუბუნა ხმა ჰქონდა.

— დიდებული კოცონი დაგინთიათ, — შეაქო ბოროდოჩევმა, შეეტყო სასაუბროდ იწვევდა. — მხოლოდ ის არ მომწონს, ჩაიდანი რომ არ გითუხთუხებთ. ასე სად დასველდით?

უპასუხოდ დატოვა, კოცონის პირას სიპ ქვაზე დაეშვა, წყაროსკენ ზურგშექცე ვ ი თ, მერე გადასწვდა და მიწაში ჩარჭობილ ხელჯოხზე ჩამოცმულ ხალათს სამაჯურები გამოუწურა. პერანგი მშრალი ეცვა, ხოლო შარვლის მუხლისთავებიდან ჯერაც ორთქლი ასდიოდა.

ვიდრე ამ საქმიანობით იყო დაკავებული, საგულდაგულოდ დავაკვირდი, მწითური კაცი იყო, სახის ნაკვთები ოდნავ მობერებული, მაგრამ სიმეტრიული და სასიამოვნო ჰქონდა. გამომეტყველ ე ბ ა ც იმდაგვარი, სათავისოდ რომ განგაწყობს ადამიანს. მხოლოდ სქელი, კავკასიურად გაშვებული ულვაში არ უხდებოდა, ერთგვარი დისონანსი შეჰქონდა მის გარეგნობაში.

უეცრად მივხვდი, რომ მიუხედავად მშვიდი გამომეტყველებისა, სხეულის ყოველი ნერვით გრძნობდა ჩვენს ყურადღებას, ყოველმხრივ თავს იკავებდა და იმასაც ფიქრობდა, რას მოვიმოქმედებ და როგორ მოვიქცევი, ჩემი პირადი საქმეაო.

გულთმისნობითა და აზრთა მჩხიბაობით არასოდეს ვყოფილვარ გამორჩეული, მაგრამ ჩემი ჩანაფიქრის შემოწმება მაინც ვცადე, თითქმის გაუაზრებლად.

— რა თქმა უნდა, თქვენი საქმეა! — პირდაპირ და მოურიდებლად ვუთხარი.

ზოგჯერ ხდება, ნადირობის დროს, მხოლოდ ფრთების ფათქუნზე რომ ესვრი მწყერს და მოახვედრებ, თუმცა გვერდითმყოფსაც შეიძლება გამოთხარო თვალი.

იმწამსვე ქვეშქვეშ გამომხედა, შემფასებლური და ეშმაკური მზერით, თითქოს დამცინა, მხოლოდ პასუხის შემდეგ მივხვდი მის ირონიას.

— გაარტყით, მომეწონა, — თქვენც იქიდანა ხართ? — მკითხა და თვალებით ჩვენს სამყოფელზე მიმანიშნა.

— დიახ, — მივუგე, — იქიდან გახლავართ. —

— რომელ რიგში იჯექით? — დაინტერესდა.

ამ ქარგმულ მინიშნებას ალღო ვერ ავუღე.

— მაპატიეთ, — გადავეკითხე, — სიმართლე გითხრათ, ვერ მიგიხვდით.

— იარუსიდან მითვალთვალებდით თუ პარტერიდან? — ნაძალადევად სერიოზული სახე მიიღო.

სიცრუეში ნამხელი პატიოსანი ბიჭივით გავწითლდი, დავიწყებულიც კი მქონდა, უკანასკნელად როდის ვიგრძენი ასე უხერხულად თავი.

— თუმცა რას გეკითხებით, იარუსიდან ასე სწრაფად ვერც მოასწრებდით ჩამოსვლას.

მაშინღა განვსაზღვრე, რომ ჩვენს ზემოთურ პარტიიდანაც უჭვრეტინებდნენ და მისთვის ეს ამბავი ადრევე იყო ცნობილი.

— ყველას უნდა მოგვიტევოთ, ჩვენც და იმათაც, — ვითომც თავი დავიძვრინე, — მითუმეტეს, რომ დიდსა თუ პატარას თავგადადებული მორწმუნე ჰგონიხართ.

ცოტა ხნით იყუჩა, მინავლულ ნაკვერჩხალს ჩააცქერდა, რაღაც საჩოთიროს წყვეტდა და საზღვრავდა.

— სიმართლე დაუდგენიათ, — რაღაცნაირი, შინაგანი ტკივილით მომიგო, — მე რწმენა ადამიანის დადებით თვისებად მიმაჩნია.

იმედი გამიცრუვდა. რაღაც არაჩვეულებრივსა და იშვიათს ველოდი, აქ კი რიგით ფანატიკოსთან აღმოვჩნდი პირისპირ.

— ახლა კი აცდინეთ, — ნაწყენი ინტონაციით მითხრა. — ახალგაზრდებმა ერთი ჭეშმარიტება უნდა იცოდეთ, ამასთანავე მყარად: რწმენა, თუ ის სრულია და ბოროტებას არ უდგას მსახურად, თუნდაც არარსებულისაკენ იყოს მიმართული, პატივისცემას მაინც იმსახურებს, რადგან წმინდა გულიდან და გონებიდან არის გამომდინარი.

ეს ქადაგად დავარდნილიღა მაკლდა-მეთქი, — ჩემთვის გავიფიქრე. თუმცა მისდამი ცნობისწადილი გამიძლიერდა.

— მაგითი რისი მტკიცება გნებავთ? — გამომწვევი ტონით ჰკითხა ბოროდოჩევმა, რომელმაც არაფრის გამო ამპარტავან მოწაფესავით შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

მწითურმა ახლა იმას გაჰხედა გვერდულად და დამცინავად, შემდეგ ხალათი აიღო, აუჩქარებლად შემოიცვა, წაიხარა და გაფარჩხული ხელები ნალვერდალს მიუფიცხა.

— მე ვიტალი დემიანიჩი გახლავართ, — მოულოდნელად გაგვეცნო და თავიც კი დაგვიკრა, — სიმართლე გითხრათ, პაექრობის გუნებაზე სრულებითაც არა ვარ, — დაურთო შემდგომ, — არც ათასჯერ დადგენილი ჭეშმარიტების მტკიცებას ვცდილობ... უბრალოდ ერთი რამ მინდა გაცნობოთ, რომ ჩემს მიმართ აღძრული მითქმა-მოთქმა გავაქარწყლო, ღვთის მორწმუნე არც ახლა ვარ და არც არასოდეს ვყოფილვარ.

— ესეც ასე, — ტაში შემოჰკრა ბოროდოჩევმა, — გამოდის, რომ ამდენი წლების მანძილზე ყველას გვაცუცურაკებდით და გვაბრიყვებდით.

ახლა კი პირდაპირ შეხედა ვიტალი დემიანიჩმა და ასეთი მოურიდებელი მიმართვით გამოწვეული აღშფოთება სახეზე აღებეჭდა.

— ჩემი ასაკის ადამიანებმა, იმათ, ვინც კუთვნილი სიცოცხლე თითქმის განვლეს, საკმაოდ კარგად ვიცით სიმართლის ფასი, მაგრამ დავუშვათ, თუნდაც კერპთაყვანისმცემელი აღმოვჩენილიყავი, ამით ხომ არც თქვენ მოგაყენებდით რაიმე უსიამოვნებას და აღარც სხვას, განა ასე არ არის?

— რაღა თქმა უნდა, — სასწრაფოდ ჩავერთე მათ პაექრობაში, რადგან საუბარი არასასიამოვნო მიმართულებას იძენდა. — ყოველ პიროვნებას სრული უფლება აქვს ისე მოიქცეს, როგორც მას სურს, თუ ეს საზოგადოებას ზიანს არ აყენებს.

— დიახაც, — კვერი დამიკრა იმან და ხელჯოხით ნაკვერჩხლების ჩხრეკა დაიწყო, — მაგრამ ახლანდელი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის მავნე ჩვევა ის გახლავთ, რომ ადამიანს იქამდე დასცინებენ, ვიდრე გაარკვევენ ჭირს თუ არა მას რაიმე აბუჩად ასაგდები.

— როგორ გეკადრებათ, — მოიბოდიშა ბოროდოჩევმა, — ეგ არც მიფიქრია, უბრალოდ ყველა აქ მყოფი დარწმუნებულია, რომ ოდესღაც ამ მიდამოებში თქვენ რაღაც ცოდვა გაქვთ ჩადენილი და ახლა მოსანანიებლად დაიარებით.

ვიტალი დემიანიჩი თითქოს დაიძაბა, წარბებშეჭმუხნილმა ცალ-ცალკე შეგვათვალიერა სამთავენი.

— ნაწილობრივ იქნებ ასეც იყოს, — მრავლისმთქმელად აღნიშნა, და თავისუფალი ხელი აქეთ-იქით მიმოატარა. — ფეხზე რატომ დგახართ, თუ დრო გაქვთ, მონახეთ ადგილები და ჩამოსხედით.

იმედი გამიჩნდა, იქნებ გაგვენდოს და რაიმეს მოგვიყვეს-მეთქი, ბოროდოჩევს ვანიშნე და ნალვერდალთან ჩავიმუხლეთ, სამსონი კვლავინდებურად უძრავად დარჩა.

ის კი თხრობის დაწყებას სრულებითაც არ ჩქარობდა, ეტყობოდა, სათქმელს საზღვრავდა და წონიდა, ჯერ მონადირული ქუდი მოიხადა და მუხლზე ჩამოიდო, შეთხელებულ თმებში ცაციის ხელისთითები შეიცურა და უკან გადაივარცხნა, შემდეგ ჩიბუხის გაწყობას შეუდგა დინჯად.

— თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ვთვლი, რომ მოვალეობის გრძნობა - იგივე რწმენაა, — როგორც იქნა დაიწყო. — მიუხედავად იმისა, თუ ვისთანაა იგი მიმართებაში: სამშობლოსთან, ბუნებასთან თუ ადამიანთან. ცხოვრებაში კი უმეტწილისად სამთავესგანა ხარ დავალებული კაცი, და ვინც ამას ვერ გრძნობს, რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი რამ აკლია.

ამ შეგონებას რომ გვიკითხავდა, თან ხელჯოხის წვერით ნაცარს ქექავდა, თითქოს რაღაცას ეძებდა და იპოვნა კიდეც, პატარა ნაკვერჩხალი გამოარჩია, მოიჩოჩა, სწრაფად აიტაცა და ჩიბუხში ჩატენილ თუთუნს დაადო, შემდეგ სული დაჰბერა, გააღვივა, მოქაჩა და ბოლი ცხვირპირიდან ერთდროულად გამოაფუილა.

— თქვენ, ალბათ, ბუნებასთანა გაქვთ რაღაც პირადი ანგარიშები, — უდროოდ და უადგილოდ წამოაყრანტალა ბოროდოჩევმა. — ნაღდად ამიტომ იტანჯავთ თავს ამ ტყეღრეში ხეტიალით.

— უფრო ადამიანებთან, — გარეგნულად მშვიდად მიუგო იმან, — მე ორი კაცის სიცოცხლე მაწევს კისერზე.

ერთმანეთს გაოცებულებმა გადავხედეთ. ყველაფერს ველოდით ამის გარდა. მკვლელსა და რეციდივისტს ნამდვილად არა ჰგავდა.

შემაწუხებელი სიჩუმე ჩამოდგა.

— ისინი თქვენი მტრები იყვნენ? — ენა ამოიდგა სამსონმა — როდის მოხდა ეგ?!

ვიტალი დემიანიჩმა ცალყბად გაიღიმა, გამწარებულმა და გულგატეხილმა ადამიანებმა რომ იციან, იმდაგვარად და თავი ჩაქინდრა.

— კარგა დიდი ხნის წინ, — საფეთქლის სრესით ამოღერღა, — მხოლოდ [illegible] მტრები კი არა, მოკეთეები [illegible] ვნენ; ერთიმეორეზე საუკეთე[illegible] ჩემს გამო დაიღუპნენ.

ალბათ კვლავ დიდი ხნით დადუმდებოდა, იმდენად გაჰყვა ფიქრს, მაგრამ ამჟამად მე მიღალატა მოთმინებამ.

— ალპინისტები იქნებოდით, — მორიდებულად შევაპარე, დარწმუნებულმა რომ გუმანი არ მღალატობდა და კვლავ ფრთების ფათქუნზე მოვახვედრებდი, — მთაში, არც თუ იშვიათად, ახლაც ხდება ასეთი უბედურება, — დავსძინე, — წარსულთა ხსოვნაც ხომ ერთგვარი მოვალეობაა.

ვიტალი დემიანიჩმა სწრაფად ასწია თავი და კუშტად გამომხედა.

— ახლანდელი თაობა მეტისმეტად სულსწრაფია, — ჩემი მისამართით აღნიშნა, — იმიტომ, რომ ჩვენსაზე გაცილებით ბედნიერია და უზრუნველი, იქნებ ამის გამოცაა, რომ ცხოვრებისეულ კანონზომიერებებს შედარებით გვი-



ან ხვდება და ალიქვამს. წელან მე იმ ვალზე კი არ მოგახსენეთ, მეზობლისაგან ანდა მეგობრისაგან რომ აიღებ და ერთი-ორი კვირის შემდეგ ჩაასესხებ, არამედ სხვაზე, რომლისას მხოლოდ პროცენტებს იხდი და თავნი კი მარად უცვლელი და გადაუხდელი გრჩება.

ამ სიტყვების თქმისთანავე კვლავ მოულბა მზერა და უნებლიედ მაღლა, უღელტეხილისაკენ, გაექცა.

— მე მხოლოდ ხსოვნას ვინახავ იმ ბიჭებისას, ვალი კი ხელშეუხებია, — უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა, ვიდრე ჩვენს გასაგონად.

— აქაურები იყვნენ? — ჰკითხა ბოროდოჩევმა და ისე გადმომხედა, მაგრძნობინა, ამას თუ ამოსუნთქვის საშუალება მივეცით, სიტყვასაც ვერ დავაცდენინებთო.

— სვანები, — მიუგო ვიტალი დემიანიჩმა, — ხელი აიშვირა და საჩვენებელი თითი ჩიტის ნისკარტივით მოაკაუჭა, — ქედის იქიდან, სოფელ ნაკრიდან.

სამსონს დავაცქერდი, დიდი ვერაფერი შევამჩნიე, მხოლოდ თვალები გაფართოებოდა. ვიცოდი, ისიც იქაური იყო წარმოშობით.

— რა გვარისანი, ხომ არ გახსოვთ? — ისეთი ხრიალა ხმით ჰკითხა, თითქოს ხმელ ფიჭვს ბირდაბირი გაუსვესო.

ვიტალი დემიანიჩს წარბიც არ შეუტოკებია, კისერაღერილი გაჰყურებდა მთებს.

— ქალდანები, — დამარცვლით თქვა მან.

სამსონმა რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა, გვერდით ამოუდგა და ოდნავ მოიხარა.

— ბექნუ და ბექა?

იმ უცნაურმა კაცმა კი არც ახლა იჩქარა პასუხი, ძველებურად ააპლაკუნა ჩიბუხი, მოულოდნელად ბოლიც გამოადინა და ააბუქა.

— ისინი, — გაბზარული ხმით დაეთანხმა, — ბექა და ბექნუ, ტყუპი ძმები.

სამსონმა ისე ნერვიულად მოიქექა კისერი, თითქოს ჭიანჭველა ეხვია.

— ეგ ამბავი ხომ ორმოცი წლის წინათ მოხდა, ასე გამოდის თქვენ აქ ორმოცდაორშიც ყოფილხართ, ნუთუ ომისშემდგომი დროიდან დაიარებით?

— მხოლოდ ორმოცდათოთხმეტიდან, — ამცნო ვიტალი დემიანიჩმა. — იქამდის, სხვა და სხვა მიზეზების გამო საშუალება არ მქონდა. ახლა კი ვგონებ უკანასკნელად ამოვბობღდი, მეტად ვეღარ შევძლებ, სამაგისოდ ძალა და ღონე აღარ მეყოფა, როგორც ჩანს, მოვხუცდი და დავუძლურდი.

— ისინი ჩემი ნათესავები იყვნენ, — შეფარული სიამაყით ამცნო სამსონმა, — ბიძებად მერგებოდნენ, მათი დაღუპვის ისტორია კი მინახვედრითა და ვარაუდით ვიცით, დღესაც მათ ოჯახში სურათების გვერდიგვერდ ჰკიდია მთავრობის ჯილდოები და ის ქაღალდიც, რომელზეც მეტისმეტად სიტყვაძუნწად წერია „კავკასიის დაცვის დროს გამოჩენილი სიმამაცისათვის...“ იცით თუ არა, რომ ქალდანების დედა დღესაც ცოცხალია და ას წელსაა მიღწეული, თქვენ კი ერთხელად არ გამოჩენილხართ, არასოდეს მოგიკითხავთ, რატომ? — პირდაპირ ჰკითხა და თვალებში საყვედურით ჩააცქერდა.

ვიტალი დემიანიჩი გაჭირვებით წამოიმართა, ხელი გაუწოდა და, როდესაც სამსონმა მარჯვენა შეაგება, მტკიცედ, კაცურად ჩამოართვა.

— იქნებ დამნაშავეც კი ვარ, — ხმადაბალი გულისტკივილით აღიარა, — მაგრამ მე ამას შეგნებულად ჩავდიოდი, დანამდვილებით ვერც აგიხსნით, რატომ. შესაძლოა, თქვენ სტუმართმოყვარეობას ვერიდებოდი, ანდა მოგონებებს გავურბოდი... გახსენებას... ზედმეტ ლაქლაქს...

თქმისთანავე ძველებურად ფეხგაშეშებული ჩაჯდა.

— ორმოც წელზე მეტია, — მზერაგაციებულმა განაგრძო, — გამუდმებით ვფიქრობ და ვერ დამიდგენია, მიმიძღვის რაიმე ბრალი იმ ბიჭებთან თუ არა, მეტისმეტად ძნელია ამის ხელაღებით თქმა და მტკიცება, ანდა უარყოფა...

ხმაგაკმენდილები ვუსმენდით ამ უცნაურ კაცს, რომელიც ახლა გონებითა და მეხსიერებით თითქმის ნახევარი საუკუნის იქით იცქირებოდა და, როგორც დიაფილმის კადრებს, ისე ჭვრეტდა წარსულს.

— მაშინ ოც წელს მიტანებული ბიჭი ვიყავი, უმცროსი ლეიტენანტი, თავი მრავალნაცადი და გამობრძმედილი კაცი მეგონა. ომი ნაადრევად აბრძენებს ადამიანს, საშიშად და არაბუნებრივად. ქალდანები კი ჩემი მეგზურები იყვნენ, თუმცა ასაკით უფროსები, მაგრამ ჩემს ხელქვეითობას დაქვემდებარებულნი. ახლაღა ვხვდები, მათთან რომ ძუძუმწოვარი ბალღივით გამოვიყურებოდი და მაინც უსიტყვოდ მემორჩილებოდნენ. საიდუმლო ამანათი მიმქონდა ამ ხეობის ძირში მდებარე შტაბში, და ჩემი სიჯიუტე რომ არა, ისინი — ტყუპი ძმები, სხვა გზით აპირებდნენ უღელტეხილის გადმოვლას. „არასაიმედო მიმართულებააო“, ერთხელ მითხრეს და აღარც გაუმეორებიათ. რაღა თქმა უნდა, რომ გაცილებით უკეთ ერკვეოდნენ ადგილმდებარეობაში, მაგრამ...

ვიტალი დემიანიჩმა კეფიდან შუბლზე გადმოიტარა ხელისგული, თმები წინ გადმოიშალა, აცახცახებული თითები სახეზე ჩამოისვა და ნიკაპი მუშტში მოაქცია.

— ახალგაზრდული სულსწრაფვა და დაუფიქრებელი თავზეხელაღებულობა, აი ჩემი დანაშაული, — განაგრძო თვითგვემით. — ვჩქარობდი და უმოკლესი გზა ავირჩიე, იმ ნიშთან კი გერმანელთა ოცეულს გადავაწყდით, ალპურ მსროლელთა დივიზიის მებრძოლებს, მარჯვნიდან მომავალთ გზისგასაყართან შევეჩეხეთ პირისპირ, პირველსავე გასროლაზე დამჭრეს.

ცოტაოდენი ხნით კვლავ გაყუჩდა, ყურის ბიბილოს იწვალებდა, თითქოს თავს იტუქსავდა, კარგად გაიხსენე, შემდეგ რა მოხდაო.

— ტყუპი ძმები მარტოდმარტო შეებნენ მტერს, — თუმცა გაუძნელდა, მაგრამ მაინც მტკიცედ თქვა: — ვერაფრით მივეხმარე!

— მძიმედ იყავით დაჭრილი? — თანაგრძნობით ჰკითხა ბოროდოჩევმა.

— პირიქით, საკმაოდ მსუბუქად, — მიუგო მან.

— ფეხში?

— არა, ეს საავტომობილო კატასტროფის შედეგია. მაშინ კი მხოლოდ მხარი მქონდა გაგლეჯილი, მე ისინი ბედის ანაბარა მივატოვე.

პირგამეხებულები შევაცქერდით, ის კი თვალს ვერ გვისწორებდა, ხეობაში ამომავალ ნისლს გასცქეროდა, რომელიც მძიმედ მიიწევდა მაღლა, — მთებისაკენ.

— საიდუმლო პაკეტი განკარგულების თანახმად დაბინდებამდის უნდა ჩაბარებოდა შტაბის უფროსს, — ძალამილეული ხმით განაგრძო, — ამ დავალების დროულ შესრულებაზე ათასობით კაცის სიცოცხლე იყო დამოკიდებული, ამიტომაც უყოყმანოდ გავეცალე იქაურობას და ხეობისაკენ დავეშვი. როგორც მებრძოლს, მე სხვა გზა არა მქონდა.

ყოველივე დღესავით ნათელი იყო, მაინც საოცრად შემეცოდა ეს ხეიბარი და ნატანჯი ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში სინდისის გამუდმებულ ქენჯნას განიცდიდა.

— თქვენ ვალდებული იყავით, ასე გემოქმედათ, — დასამშვიდებლად უთხარი, — ომს თავისი კანონები აქვს, მცირედი ეწირება მრავალს.

თავჩაქინდრულმა ისე გაიქნია ხელი, რომ ვერ მივხვდი ეთანხმებოდა ჩემს აზრს თუ უარყოფდა.

— თუ გახსოვთ, კიდევ დიდხანს იბრძოდნენ? — გამშრალი ხმით ჰკითხა სამსონმა.— აქეთ მომავალს ალბათ გესმოდათ სროლის ხმა.

— მესმოდა, როგორ არა,— დაეთანხმა იგი, — ამ გუბურაში რომ ერთიანად ვახვითქული ჩავწექი და ვერ გადამეწყვიტა, შემესვა თუ არა წყალი, იქ, მაღლა, ჯერ კიდევ გაცხარებული ბრძოლა იყო. გერმანელთა ავტომატების გაბმულ გრიალში „ბერდანკების“ ხმასაც ვარჩევდი... შემდეგაც მესმოდა, დაბლა, წითელ ლოდამდე... იქ კი ყოველივე მიჩუმდა... ღმერთო, — ამოიხრიალა კბილების ღრჭიალით, — ვინ იცის, რას ფიქრობდნენ იმ ბოლო წუთებში ჩემზე... გაგვექცა, თავს უშველაო... მე ხომ იმათთვის საიდუმლო პაკეტის ამბავი არ მითქვამს, იქნებ მოღალატედ ჩამთვალეს. აი რა მიწვავს გულს...

ცოტა ხანს ყველამ ვიყუჩეთ, სახეზე ხელებაფარებულ და მხრებაცახცახებულ მოხუცს თვალს ვარიდებდით, ჩვენ ჩვენს საფიქრალს ვულოლიავებდით.

— კარგა ხანს გაუძლიათ, — მხარზე ხელისდადებით უთხრა სამსონმა, — თითქმის მთელი საათი, ამის მეოხებით ვეღარ დაგწევიათ მდევარი.

— საიდან დაადგინეთ? — საწყალობლად აჰხედა ვიტალი დემიანიჩმა.

— უბრალოდ, მათ თავის შველა შეეძლოთ და ეს არ ისურვეს.

ყველანი გაოცებით და კითხვით შევაცქერდით, „როგორ თუ თავის შველა?“

სამსონი ჯერ გვერდულად წავიდა, შემდეგ ზურგი შეგვაქცია, თვალი მარადყინულოვან მწვერვალებს მიაპყრო და ხელი უღელტეხილისაკენ გაიშვირა.

— იქ, სადაც ორმოცი წლის წინ ტყუპი ძმები დაიღუპნენ,— აღელვებით წარმოსთქვა, — ნიშის ძირიდან ქედის იქითა ფერდამდის ბუნებრივი გვირაბი გადის და მისი არსებობა ბექნუს და ბექას აუცილებლად ეცოდინებოდათ: ის ხომ მათი, ქალდანების, საგვარეულო სალოცავია!

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

# ორმოცი წლის წინანდელი დღიურიდან

## ხოპოტოვო. ტყე. მიწურთა ქალაქი

მიწურთა ქალაქი, სამხედრო ქალაქი,
ვორონეჟის ბრძოლების დროინდელი.
თოვლქვეშ ჩარჩენილი ხავსი და ბალახი,
ფეხქვეშ მოშრიალე თოვლის კონდარი.

მიწურში თექვსმეტი ოფიცერი
(მაშასადამე,
რვა ორსართულიანი საწოლი),
მამულის თექვსმეტი მოფიცარი
უზადო სისხლით და კაცობით.

სხვადასხვა ფრონტებზე ნაბრძოლები
ამ ჭერქვეშ შევხვდით და დავძმობილდით,
კვლავ ქვეყნის დაცვა გვაქვს ნაბრძანები,
კვლავ გვაქვს იარაღი გაწყობილი.

ჩვენ ამ იარაღის ხმარებას
ვასწავლით ახალბედა ჯარისკაცებს,
შუაღამისას ვიძინებთ მთქნარებით,
ვიღვიძებთ რიყრაყის ზარის ხმაზე.

ძილის წინ საბრძოლო ეპიზოდებს
ვყვებით,
მერე ძილშიც რო გვეზმანება,
ჩაგვესმის დაღუპულ მეგობართა ხმებიც—
გულზე კვლავ ტკივილი გვეზმანება.

რუსეთში პირველად მოზამთრე ქართველს
მიფრთხილდებიან რუსი ძმები,
არც ყინვა მაკრთობს, არც გმინვა ქართა,
აღარც ძველ ტკივილებს ვუშინდები.

მე ამ ქალაქში დღეს გავინახევრე
სიცოცხლის ოცდამესამე წელი,
პლანშეტზე მიდევს ქაღალდის ნახევი,
დედაჩემს ვუწერ იმედის წერილს.

ძარღვებში მიღელავს მზისფერი
ზვირთებით
სულში ჩაღვრილი სინათლის თქეში
და გაზაფხულის მხურვალე ფილტვებით
სუნთქავს მიწურთა ქალაქი ტყეში.

## მიჩურინსკი, ჰოსპიტალი

ტყეებს თოვლით ავსებიათ უბეები,
გადაუცვამს მიწას ყინვის თორანი.
ზაფრანისფრად შემელება უპეები,
ჰოსპიტლისკენ მიმაქროლებს ფორანი.

ამ თვალმომჭრელ სითეთრეში სიყვითლემ
სად მომაგნო... რა ავი ხმით მიყივის...
ბებერ ფიჭვის ფუღუროში ციყვი თვლემს,
სულის ხეზე დარდი დახტის ციყვივით.

...შენი ერთი იისფერი ღიმება
იმ ხის ტოტზე ბულბულს ამიგალობებს,
ცისკრის კარი ვარდისფერად გაიღება,
სხივთა ძნები ჩაიშლება კალოზე.

სად ხარ?.. ვინ ხარ?.. შენი სითბო
მომენატრა
ძვლებგათოშილს მიწურში და სანგარში,
ეს ზამთარი გაზაფხულად მომინათლე,
მომეშველე ამ ყინვაში, ამ ქარში.

იქნებ შენ იქ, ჰოსპიტალში, მელოდები,
მიჩურინსკში — მიჩურინის ქალაქში...

ჩამომრეცხე მღვრიე ტალღა მე ოდერის,
კალმახივით შევცურდები არაგვში.

წუხელ ღამით სიცხიანს რო დამელანდა,
ის ქალღმერთი იქნება შენ იყავი...
ქერა თმებში იის ღიმი ჩამელანდა,
თეთრ ხალათზე გვირილები გიყვავის.

ომის ხელმა სული როგორ დამიბეროს —
მაგ იების ნიავქარმა დამიბეროს,
ტკივილის ხე სხივის წალდით დამიბელოს
და სისხლძარღვი ვარდისფერად
დამიბეროს...

თვალი ჩემი ყვითლად როგორ ჩახუნდება,
თუმც ტკივილმა გზიდან არ ამიცილა.
მისწავლია ავტომატის ჩახუტება,
სიყვარულის ჯერ მე არა ვიცი რა.

მაშ ყრუანტლით ამომივსე უბეები,
გულზე გამკარ მისი ცხელი სხივის ფრთა.
ყაყაჩოსფრად მელებება უპეები,
მიჩურინსკში მითენდება იისფრად.

## ივანე მიჩურინის მოლანდება

წუხელ ჩემში ზამთრის მტკვარიც
ღიღინებდა,
მქუხარებდა გაზაფხულის არაგვიც, —
მთელი ღამე ვიყავ ლექსის. ზვარაკი.
გათენდა და ღია გულით იღიმება
მიჩურინსკი — მიჩურინის ქალაქი.

სხივთა კონას არყის თეთრი ხელით
მაწვდის,
სარკმელთან რომ სანთელივით მინთია.
ვხედავ: ბაღში დადის ბრძენი ბერიკაცი—
ჩრდილოეთის მადლიანი მინდია.

იქნებ იგი წუხელისაც მეძახოდა,
ჰოდა, დღეს მე იმის გვერდით ვიქნები.
დათოვლილ ხეს თბილი ხელი შეახო და
ყვავილებად იქცნენ თოვლის ფიფქები.

ნათლის სვეტად მიირხევა მისი ტანი,
უგულშუქოდ არც ერთ ხეს არ ჩაუვლის,
— ბერიკაცო, კახეთიდან მოგიტანე
დასამყნობად კვირტი თურაშაულის.

ოღონდ ემაგ ჯადოქრობას მაზიარე, —
მე სიტყვაზე სხივი მინდა დავამყნო! —
უცებ ჩემკენ შემობრუნდა თვალმზიანი
მოხუცი და მხარზე ხელი დამაყრდნო.

მიღიმის და უკვდავების სხივი ათოვს
ჩრდილოეთის გულმადლიან მინდიას.
მის თმა-წვერში მყინვარწვერის
თოვლია თუ
დრო-ჟამისთვის მიცემული მინდია...

## ჰოსპიტლიდან გამოსვლის ჟამს სათქმელი

ციკრის კარი შენს ღიმილზე იღება,
მაგ ღიმილით უნდა ავიშუქო ცა!
ლაწვებს უკვე ვარდისფერად მიღებავს
ჩემს ვენებში ჩაჩქეფილი გლუკოზა.

შემომხედავ, შემძრავ, შემაჟრიალებ,
დღეს სინათლე შენით მომატებია,
შენს თვალებში ზაფხულის მზე ბრიალებს,
შენს უბეში ბელურები თბებიან.

ჩემი სულიც ზეიფრა, ყინვაში
დაუიჟივებს... გულის კარი გაუღე!
სიყვარულის ცისკრის უცხო ბრწყინვაში
ამაბლავლე ნიშა ხარო საუღლე.

...ცისარტყელის ჭრელი თასმით შეკრული
მზით ივსება ჩემი თეთრი პალატა.
მეძახიან ისევ გზები მხედრული,
წავალ, საგზლად ლამაზ ღიმილს გამატან.

სად მატარებს გზები ქარიშხლიანი,
სადღა გნახავ თავთუხისფერ თმებიანს?
შენს ღიმილში ცის ლაჟვარდი შრიალებს.
შენს უბეში ბელურები თბებიან.

**მ ი ნ ა წ ე რ ი:**

შენ არც მაშინ იცოდი, და არც ახლა იცი,
ის ქართველი ჭაბუკი, ის უთქმელი ბიჭი
შენზე სათქმელ სტრიქონს თუ
ღამეს გაუთევდა.

სიტყვა, დროზე უთქმელი, რარიგ
გვტანჯავს მერე!
ვეღარც სადმე შემოგხვდი, აღარც სადმე
მელი,
თუმცა ჩემი ოცნება
სულ ფეხდაფეხ გდევდა.

დროს მაინც არ დანებდა გულის ხსოვნა
ურჩი,
ერთად ჩასახლებულან ჩემს მშფოთვარე
სულში
ცეცხლი სიჭაბუკისა
და სიბერის სევდა.

სიტყვა, დროზე უთქმელი, რარიგ
გვტანჯავს მერე!
მაშინ რაც ვერ გითხარი, ახლა დაგიწერე,
მაგრამ... გაიგებ კი,
წაიკითხავ კი...

. . . . . . .

გაუმხელი სიყვარულის
მორჩა არაკი...
რაც გულს უნდა,
მუდამ დროზე,
თავის დროზე თქვი!

## მალენახვამდის!

მე ქარიშხლიან ბილიკებს მოვყევ
და წრფელი გულით მოველ შენამდის.
გემშვიდობები ლეიტენანტის
სამხრეებიანი ქართველი მოყმე.

ცისკრის ვარსკვლავის ამოხდენამდის
შემომეყრება ალბათ აზოვი
და დამენთება შუქით ფერადით
ცანი — მყინვართა სადარბაზონი.

თან მიმდევს შენი სუნთქვა, რუსეთო,
თან მიმდევს შენი სითბო, რუსეთო,
სიცოცხლის გულის ფეთქვაც უწყვეტო,
ლიბოურღვევო, ბექთარუცვეთო.

მე შენს მიწაზე ყველგან ვიყავი
ვით ღვიძლი შენი —
შენ მშობე თითქოს,
გულუშურველად შენ გამიყავი
გულის სითბოც და კერიის სითბოც.

ალმა ბრუნავდეს შენი ბორბლები,
ბაღად აყვავდი, შუქად დახვავდი!
გემადლობები! გემშვიდობები!
— მალენახვამდის!
— ბევრჯერნახვამდის!

ჯემალ მეხრიშვილი



# წყურვილი

მოთხრობა

ერთი ორმოც წელს მიტანებული უცოლშვილო მეგობარი მყავს. დოცენტია. ამ ოთხიოდე წლის წინათ სადოქტოროს დაცვაც სცადა, მაგრამ საფანელი არ ეყო და ჩაუფლავდა, ანუ მტრობით ჩაუგდეს, როგორც თვითონ ამბობს ყველასთან. ჯერ ისედაც რა იყო და მარცხმა უარესად გააქსუა — დღე და ღამე წიგნებს ჩაჰკირკიტებს. დასვენება, გართობა, სეირნობა, დროსტარება მისთვის წარმოუდგენელი, მოცლილი ხალხისაგან გამოგონილი უსარგებლო ცნებებია — მხოლოდ სადოქტორო!!!

რაც მართალია, მართალია, არც ადრე უყვარდა სოფლის ხშირ-ხშირი სტუმრობა, მაგრამ ათასში ერთხელ თავანკარა ღვინის ჩამოსატანად მაინც მიდიოდა. ბოლო ხანს ვეღარც საამისოდ იცლის — პენსიონერი მამა ჩამოუტანს ხოლმე მოსაკითხს. ისე გაიტაცა სამეცნიერო წიგნების ქექვამ, რომ თუ ქუჩის ტელეფონით (ბინაში ჯერჯერობით არც ერთს არ გვიდგას) სამსახურში ვერ მომიხელთა, მაშინ შეყვარებულივით წერილს მომწერს ხოლმე ვაკიდან საბურთალოზე: სასწრაფო და სერიოზული საქმე მაქვს და თუ კაცი ხარ, ერთი ოციოდე წუთით შემომიარეო. ვისაც ვინმესთან საქმე აქვს, თავად რომ უნდა გაისარჯოს, ეს ჩემს მეგობარს, ეტყობა, ზოგჯერ ავიწყდება, ანდა არასდიდებით არ ეთმობა ცინცხალ-ცინცხალი წიგნების მაცდური სუნით გაჟღენთილი თავისი მყუდრო ბუნაგი.

და აი, გუშინ მოულოდნელად თვითონ მომადგა. სახტად დავრჩი — რა ქარმა გადმოაგდო-მეთქი. მით უმეტეს, რომ სწორედ გუშინწინ დამირეკა და ბევრი ვილაყბეთ. თანაც ასეთი ყურებჩამოყრილი არასოდეს მენახა. ეგ კიდევ არაფერი — მარცხენა ხელის სალოკი თითი სქლად დაებინტა.

— ცოლ-შვილი სადღა გყავს?— გატეხილი ხმით მკითხა მირიანმა და სავარძელში ულონოდ ჩაეშვა. — აჰ, თუმცა... გუშინწინ ხომ მითხარი, სოფლად მიდიანო!

— რა დაგემართა, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, — არ ვიცოდი საიდან რა დამეწყო, სადოქტოროს დაცვაზე უარი ხომ არ გითხრეს?

— ეჰ, მაგათ ვინა ჰკითხავთ! — აგდებით შენიშნა.

— აბა, საათებს გიმცირებენ?

— თუკი მაგ დღეს მოვესწრები! — უდარდელად ამოღერღა. — პირიქით, მე თვითონ ვიხვეწები: გამომალაყა ამდენი ლექციების კითხვამ, ერთი კურსი მაინც მომაშორეთ-მეთქი, მაგრამ ვინ გისმენს?!

— ააა, ქალს ირთავ, შე ეშმაკო, შენა, ჰა?

მირიანს უხალისო ღიმილი ზეთივით გადაეღვარა პირისახეზე.

— აბა, რას ამბობ, ჩვენი ბიჭებიდან ვინც კი შეირთო, თითქმის ყველა ისევ გაეყარა და მე კიდევ ახლა მოვიყვანო — აუტკივარი თავი რისთვის ავიტკიო?

— მაშ, რა დაგემართა! — შევყვირე მოთმინებადაკარგულმა. — ან თითი რას შეგიხვევია?

— დამაცადე, გეტყვი, — მომიგო და ციებიანივით გააზმორა. — თამაზ, ალბათ, წელიწადზე მეტი მაინც იქნება, რაცა ვგრძნობ, რომ რაღაცა საშინლად მტანჯავს, მაწუხებს.

— ან სული რაში გიდგას!— ისევ ამევსო მოთმინების ფიალა, — დასვენება შენთვის არ არის, ოჯახური სითბო თუ ცხელი კერძი! რატო ექიმს...

მირიანი თავისა და ხელების ქნევას მოჰყვა: შენ აზრზე არა ხარ, რას იძახი. მე სულ სხვა რამის თქმა მწადიან და დამაცადე, ნუ მაწყვეტინებო.

— მოკლედ, ვგრძნობ, რომ რაღაცა მაწუხებს თუ მაკლია, მაგრამ ვერ კი მივმხვდარვარ — სახელდობრ რა! თანაც ეს განცდა მუდამ ჩემშია, ყველგან თან დამდევს, თავს წამდაუწუმ მახსენებს და საშინლად მეჩოთირება, მაწამებს. მარჩიელობით თავს ვიმტვრევ, მაგრამ ამაოდ. ხან დავფიქრდები: კაცო, ნათესავ-მეგობარი მომიკვდა და მე კიდევ ისევ ცოცხალი მგონია, ვისიმე ვალი მმართებს და გადამავიწყდა, სხვას ემართა და დამიგვიანა, ვინმეს წიგნი ვათხოვე და აღარ დამიბრუნა, ტელეფონის რიგი დავკარგე, თუ რა! მაგრამ რაც უნდა გავიხსენო და შევამოწმო, ყველაფერი რიგზეა! უეჭველად რომელიმე ვიტამინი მაკლია, ანდა რამე უკურნებელი სენი შემეპარა-მეთქი, დავასკვენი ბოლოს. ანალიზები ჩავაბარე, გავეშუქე და კარდიოგრამაც გადავიღე, მაგრამ საგანგაშო არც იქ აღმოჩნდა. ექიმმა — ცოტა გული გაქვს აჩქარებული, რაც შეიძლება მეტი ისეირნე სუფთა ჰაერზე და ეს წამლები დალიეო. აბა, ჩემს გაცოდვილებულ სადოქტოროს სწორედ სეირნობა მოუხდება-მეთქი, გავიფიქრე გარეთ რომ გამოვედი და რეცეპტები მოვჭმუჭნე და გადავყარე. დამშვიდებით კი დავმშვიდდი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ის მტანჯველი განცდა მაინც არ მეხსნება. ის უფრო მეტად მაღიზიანებს, რომ თითქმის ვიცი, ვხვდები, რაც მაწუხებს და თან არც ვიცი — მისი სახელი ვერა და ვერ მომიგონია... მოიცა, უფრო გასაგებად როგორ აგიხსნა? აი, ბავშვობისას შესისხლხორცებული რომელიღაც მწიფე ხილის თუ ყვავილის სუნი და სახელი მოულოდნელად ზედ ნესტოებსა და ენის წვერზე რომ აგითამაშდება, შენ კი ფიქრით ტვინს იჭყლეტ, ნერვიულობ, მაგრამ ვერასდიდებით ვეღარ გაგიხსენებია, რომელია!.. და აი, წუხელ, თენებისას, ძილ-ღვიძილში მივხვდი, რაცა მტანჯავდა!!!

— რა, კაცო?

— რა და წყურვილი!!! ვიანგარიშე და რა გამოვიდა: დაახლოებით ერთი ხუთი წელიწადი მაინც იქნება, რაც ხეირიანად წყალი არ მომწყურებია და არ დამილევია!

გული გადამიქანდა—რეებს იძახის, ხომ არ გაგიჟდა-მეთქი. ეტყობა, ამას თვითონაც მიმიხვდა და მფარველურად გამიღიმა.

— ნუ, ესე იგი, როგორ არ დამილევია — აბა, ხუთი წელი უწყლოდ რა გამაძლებინებდა... მაგრამ მე წყურვილს არ ვეძახი, არაყნასვამი დილით მაცივრის რაღაცნაირგემოიან წყალს რომ მოიყუდებ, არც იმას ვაგდებ ანგარიშში, სასადილოს ბინძური და მლაშე კერძების მერე გულ-მუცელი რომ გეწვის და გგონია მწყურიაო. შენც სვამ და სვამ, მაგრამ წყურვილს მაინც ვერ იკლავ და ბურთივით მარტო იბერები! არც იმას ვეძახი წყურვილის მოკვლას, აგვისტოს პაპანაქებაში ყელი რომ გიშრება და ერთ ჭიქა ლაღიძის ტკბილსა და ცივ-ცივ წყალს გადაყლურწავ. ან კიდევ: გეჩვენება, მწყურიაო, მოუშვებ ონკანს, გაავსებ წმინდა ჭიქას, ორიოდე ყლუპს უნდილად მოსვამ და დანარჩენს ბაკანში ჩააქცევ... არა, თამაზ, მე სულ სხვანაირი წყურვილი მტანჯავდა.

— როგორი?

მირიანმა ამოიოხრა, გულხელი დაიკრიფა და ფეხები გაჭიმა.

— გვიანი შემოდგომაა. ნართვლევი ვენახები გაიძარცვა. ღამით თრთვილს აგდებს. ნოემბრის უძალო მზე დამნაშავესავით იღიმება. დილიდანვე ვენახს ბარავ. მუშაობ ზანტად, გამოზომილად. გაიტანე ერთი მწკრივი, მეორე. მაინცდამაინც არ გეხალისება



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი თენგიზ სამსონაძისა

ბარვა, მაგრამ გეამაყება, მშობლებს ჯაფას რომ უმსუბუქებ. თანდათან ილლები და გწყურდება. მაგრამ ჯერ იხტიბარს არ იტეხ, თანაც გეზარება მწკრივიდან გამოსვლა. მომწყურდეს ხეირიანად და ბარემ ცოტას დავისვენებო, ფიქრობ. შეუმჩნევლად ხურდები და წყურვილის გრძნობაც გიმძაფრდება. შენ ისევ ჯიუტად ეთამაშები ამ მაცდურ გრძნობას და ფიქრით საგნიდან საგანზე გადადიხარ. მზე შეუმჩნევლად მიიპარება ზევით და ზევით. მდუმარე ტყიდან უცაბედად წამონაბერმა სიომ გაგრძნობინა, რომ შუბლი დაგცვარვია. გახურებული ფილტვები ჯიუტად ითხოვენ წყალს და უცებ გრძნობ, რომ წყურვილის მოკვლის მოლოდინთან შედარებით, იმჟამად სხვა ყველაფერი სისულელე და არარაობაა, თავი მაგრად გიჭირავს, მაგრამ მზერა უნებურად გაგექცევა ხოლმე ვენახის ყალთალი კუთხისკენ, სადაც შვინდის ძირკვებზე მიყუდებულ წყლის დოქს შენი გახუნებული კოსტუმი აფარია. მაქზე აწეული მზე საამოდ იკბინება კისერში. ნაჯაფი სხეული ერთიანად გიბჟუის, გახურებული გულ-მუცელი და ფილტვები წყალს კივილით ითხოვენ და უცებ გეჩვენება, რომ ადამიანი კი არა, მოსიარულე წყურვილი ხარ!

—ბარემ ამ მწკრივსაც გავიტან! — ყასიდადლა ჯიუტობ გუნებაში, თუმცა გრძნობ, რომ შენ ამ მწკრივის ბოლომდე გამტანი აღარა ხარ, ვინაიდან წყურვილმა დაგჯაბნა და დაგიმორჩილა. ინერციითღა განაგრძობ ბარვას. დაოსდი, თითქო რეტი გესხმის, თვალებში თხელი ალმური აგივარვარდა და აჰა, გაწყდა მოთმინების ძაფი: ბარს მიწაში არჭობ, ნაბარს ზურგს შეაქცევ და მძიმე, მოზომილი, დაღლილი ნაბიჯებით გამოდიხარ მწკრივებიდან და შვინდისაკენ მიზოზინობ. მიზოზინობ იმიტომ, რომ დოქთან მისვლამდე სული მოითქვა. უკვე შვინდქვეშ დგახარ. დასწვდები კოსტუმს და გვერდზე მიაგდებ. გრილ, მძიმე დოქს ორივე ხელით ჩააფრინდები და ბავშვივით სათუთად აიტაცებ. ტუჩებით როგორც კი შეეხები დოქის უხეშ ტუჩს, მაშინღა გაგახსენდება, რომ მხოლოდ თიხის ჭურჭლიდან დალეულ წყალსა აქვს მადლი. აბა, წმინდა ჭიქიდან რა გემო უნდა ჩაატანო — ტუჩებზე თითქო სამართებელი მიიდოო!.. დოქს სველი ძირი ხარბად აუწიე, შეუპოვრად წამოსულ ცივი წყლის ნაკადს მშვიდი სუნთქვა შეაგებე და აჰა, დაიწყო ამქვეყნად ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საოცრად მარტივი იდუმალების გაცხადება — წყურვილის მოკვლა!!!

მირიანი სავარძელში გასწორდა.

სიამოვნებისაგან თვალები თავისთავად გეხუჭება. გსურს, ეს განცდა უსასრულოდ გაგრძელდეს და გეჩვენება, რომ დოქიდან შენს ყელში წყალი კი არა, თვით ნორჩი სიცოცხლე ჩარაკრაკებს! სიამისაგან რეტდასხმული ბლურჩავ და ბლურჩავ! გრძნობ, დალეული წყალი ერთ ადგილას კი არ გროვდება, არამედ შენს გავარვარებულ სხეულში ისე იკარგება, როგორც გვალვისაგან დახეთქილ მიწაში ანკარა ნაკადული. დოქი ველარ მოგიშორებია ტუჩებიდან. ამ დროს ერთი პატარა სიამოვნება კიდევ გელის: ხარბად აწეული დოქიდან წამოსულ წყალს მთლიანად ველარ უპოვია გზა — უცებ სანთლის სისქე ჭავლი ურჩად გადმოვარდება ტუჩების კუთხიდან, ნიკაპზე ჩამოგეკლაკნება და ხალათზე დაეცემა. ფლანელის ხალათი თანდათან ჟივდება, ცივდება, წებოსავით გეკვრის გახურებულ გულმკერდზე.

ო, ამ სიამოვნების აღწერა ხომ შეუძლებელია!..

უცებ გრძნობ: მართალია, სმით ვერ გაძეხი, მაგრამ დაიღალე და სულის მოთქმა გჭირდება. დოქს მოიხდი და სულს მოითქვამ. მერე დოქს მიწაზე დადგამ და შენც — ჟინმობანილი და დამშვიდებული — ისე დაეშვები კოსტუმზე, რომ დოქს მაინც არ უშვებ ხელიდან. უნებლიედ დაფიქრდები. რა მოხდა? რა და მარტივი, დედაბუნებისაგან დაკანონებული რაღაც განსაცვიფრებელი იდუმალება შესრულდა. ხვდები, რომ მადლი მოისხი, ზიარება იპკურე, უხილავი ხანძარი ჩააქრე! იმასაც კარგად ხვდები, რომ დიდი თავგადაკლული მიწის მუშა შენ არა მყავხარ, მაგრამ თანახმა ხარ ამ დარჩენილ დღეებშიაც ასე ჯიუტად ებრძოლო მიწას, რა არის, მერე წყურვილის მოკვლით გამოწვეული ბედნიერი წამები განიცადო ხოლმე. და უცებ, დასვენებულ გულზე უფრო მეტი გახელებით მოგწყურდება. აღარც წამოდგები: როგორცა ხარ მხართეძოზე წამოწოლილი, პირდაპირ ასე მოიყუდებ მაჯაგადაგდებით და ხარივით ძაბრავ და ძაბრავ! უცებ წყალი დაკარგავს იმ წეღანდელ მაცდურ მიმზიდველობას — ერთბაშად დამძიმდება და გაუგემურდება.

მორჩა, მეტი აღარ გინდა, საბოლოოდ მოიკალი წყურვილი!

დოქს დაუდევრად მიაყუდებ იქვე, კოსტუმზე გაიშხლართები და არაფერზე აღარ ფიქრობ. ასე ხარ, სანამ სიგრილე არ წამოგაყენებს ფეხზე. გაიზმორ-გამოიზმორები, გადაწურულ მზეს თვალმოჭუტული გაუხედავ და მერე ისევ განაგრძობ ბარვას. იმ დარჩენილ მწკრივს ბოლომდე გაიტან და ერთ სხვასაც მიაყოლებ. ამასობაში თითქო კიდევ მოგწყურდება, მაგრამ თავს იკავებ, რადგან შინ ახალი ცივი წყალი, მრგვლად მოხარშული დედალი, ჩიხირთმა, მწვანილეული, ნაბოლარა კიტრები, ყველი და ქვევრის ღვინო გელოდება. ამიტომ ლომივით დიდსულოვნად იქცევი: დოქში ჩარჩენილ შემთბარ წყალს ვაზებს ან ატამს დაუსხამ, აიკრავ გუდა-ნაბადს და შინისაკენ დაეშვები.

მირიანი გაჩუმდა, სახეზე ხელი ჩამოისვა.

— ჰოდა, როგორც კი მივხვდი, რა მაწუხებდა, ლოგინში ველარ მოვისვენე, — განაგრძო დაღონებულმა, — დილაადრიან ავედი კუს ტბაზე და რჯულზე ვირბინე. გავიხვითქე, დავიქანცე. საშინლად მომწყურდა, მაგრამ ეს ის წყურვილი არ იყო, რომელსაც მოველოდი — არ ვიცი, მიხამა თუ რა, ოფლიანზე წყალი რომ დავლიე, სასა ჩამომისივდა. ანგინა არ გავიჩინო-მეთქი, შეშინებულმა შუადღემდე ჩაი ვსვი. შუადღისას მეზობელმა მოსკოვიდან ოთხიოთახის ავეჯი ჩამოიტანა და ახლა იმას ვუშველე მერვე სართულზე აზიდვაში. ქანცი გამიწყდა, ჯანი გავიგდებინე, აი, თითიც დავიჟეჟე, მაგრამ მადლიანი წყურვილი ვინ დამაცადა.

— რატომ?

— რატომ და გახურებულ მუშაობაში ვიყავით, რომ სახლის პატრონმა ჩეხური ლუდი ჩამოგვირიგა, მერე თითო ჭიქა მაცივრიანი „ბორჯომი“ გვახუხინეს. სულ რომ ავზიდეთ, აბა, დავლოცოთო და შამპანურები გახსნეს. ამასობაში სუფრაც გაიშალა და ახლა „გურჯაანი“ ვსვით. და აი, ასე აირია ერთმანეთში ლუდი, „ბორჯომი“, შამპანური, „გურჯაანი“, წყალი, ლიმონათი, „ზვარე“, მჟავე, მწარე, ჯანდაბა და დოზანა!.. არა, ძმაო, დამანებე თავი: ქალაქში წყალს დაკარგული აქვს თავისი წმინდა ფუნქცია... მოკლედ, სოფელში უნდა წავიდე და იქ, ვენახში წავიმუშაო ჩემს ნებაზე: დინჯად, გემრიელად. ჰოდა, ამიტომ გამოგიარე: თუ გცალიან და არც გეზარება, მოდი, შენც წამოდი. თუნდა ჯერ თქვენი ვენახი გადავბაროთ. ჩემთვის სულ ერთია: ოღონდ ერთი მადლიანად მომაწყურა და მერე თუნდა...

თქვა თუ არა ეს, ენა დაუბორძიკდა, განზე დამნაშავესავით გაიხედა და თვალები ცრემლით აევსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბადრი კობახიძე



ბადრის ბავშვობიდან ვიცნობ, ამიტომ მისი ყოველი ნაბიჯი ვიცი. თეატრალურ ინსტიტუტში უკვე ცხადი გახდა, რომ ყალიბდებოდა საინტერესო მსახიობი, ყალიბდებოდა მხატვრული კითხვის ოსტატი. ბადრი სტუდენტებს შორის ყოველთვის გამოირჩეოდა იმითაც, რომ ცდილობდა აზრობრივად ჩასწვდომოდა როლს, მოვლენას. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ოჯახიდან მოსდევდა, ის ხომ გამოჩენილი ქართველი მსახიობის პიერ კობახიძის შვილი გახლავთ.

ბადრის არტისტული შემოქმედების პირველი წლები საინტერესო აქტიორული სახეებით აღინიშნა. მე არასოდეს დამავიწყდება მის მიერ შესრულებული როლები სპექტაკლებში: „პირველი ნაბიჯი", „ამბავი სიყვარულისა", „როცა ასეთი სიყვარულია" და სხვ.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში იგი ყოველთვის გამოირჩეოდა, იმითაც, რომ მუდამ თან ახლდა ლიდერის თვისებები, თავის მეგობრებთან ერთად აყალიბებდა თაობის რწმენას. ბადრი ანალიტიკური ბუნების მსახიობია. ამან მოიყვანა იგი რეჟისურაში და დღეს იგი ავტორია რუსთაველის თეატრში, თეატრალურ ინსტიტუტში თუ ერევანში დადგმული რამდენიმე საინტერესო სპექტაკლისა.

ჩემთვის, როგორც თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარისათვის, ძალიან სასიამოვნოა ის, რომ ბადრი ჩემი პირველი მოადგილეა. იგი შესანიშნავად შეერწყა ამ კოლექტივს. არის უნარიანი და ინიციატივიანი ხელმძღვანელი.

ბადრის ვულოცავ დაბადების 60 წლისთავს, ვუსურვებ დიდ გამარჯვებას თეატრალური ხელოვნების სარბიელზე — როგორც მის არტისტულ, რეჟისორულ შემოქმედებაში. ისევე თეატრალურ საზოგადოებაში, იმ საქმიანობაში, რომელსაც ერთად ვხელმძღვანელობთ.

**გიგა ლორთქიფანიძე,**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

*

ახლაც თვალწინ მიდგას ბადრი კობახიძის მიერ ნათამაშევი ქართველი გლეხი დ. ალექსიძის მიერ დადგმულ „პირველ ნაბიჯში" (პრემიერა 1948 წელს შედგა). გამხდარი, აწოწილი (გრძელ ხელებს ისე იქნევდა, თითქოს რამდენიმე სახსარი ჰონდა), თავზე ჩაბალახწაკრული, მუდმივ გაოცებასა და მოლოდინს გამოხატავდა. მისი მოძრაობა იყო მკვეთრი და არტისტული. იგი უმალ მარულაში ნაწრთობი ცხენის ქურდი იყო, ვინემ ჭალადიდის ჭაობიან ყანებში გაზრდილი გლეხი. მის სწრაფ გამოხედვაში და მკვირცხლ თვალებში ბუნებრივი ნიჭიერება იკითხებოდა. ეს ეპიზოდი პირდაპირ ანათებდა ამ სპექტაკლში.

ამ ორიოდე სეზონის წინ ბ. კობახიძემ საქართველოს ერთ-ერთი რაიონის კულტურის განყოფილების გამგე ითამაშა გ. გეგეჭკორის მიერ დადგმულ „ძველ სამრეკლოში". ეს უკვე დახვეწილი და რაფინირებული „თანამდებობის კაცი" იყო, რომლისათვის სულ ერთია რაიონის ფინაგენტი იქნება თუ კულტურის მესვეური...

ამ ორ როლს შორის ბადრი კობახიძის აქტიორული და რეჟისორული შემოქმედების ათეული სეზონი თავსდება. მივანათოთ ზოგიერთ მათგანს შუქი... აი, ელეგანტურ კამზოლში გამოწყობილი მარკიზ დე მონტეფიორი — „დონ სეზარ დე ბაზანში". მუხლებში ქარგავლილი, ძალაგამოცლილი და მოფარფატე, ნაგვიანევი ტრფობის ცეცხლზე იწვოდა და იფერფლებოდა, თითქოს ამურის ფრთებისაგან წამოსული ნიავი დააქანებდა მის სხეულს და დაბერებულ სისხლს წამიერად უფორიაქებდა. კომიკურად სასოწარკვეთილი ეს მარკიზი, რომელსაც სიყვარულში, როგორც ჩანს, ადრე ბედი არ სწყალობდა, სუსტი სხეულის სიღრმიდან წამოსული დისკანტით ცდილობდა თავისი ეფემერული მიჯნურის ყურადღების მიპყრობას. ზეაწკეპილი წარბები, სალვადორ დალის ულვაშები და წინ წამოწეული ტუჩები მის სახეს უცნაური გაკვირვებისა და .შიშის გამომეტყველებას აძლევდნენ. გაკვირვებული იყო — რატომ ტრფობაზე ტრფობითვე არ მიპასუხებენო, და შეშინებული — ვაითუ, მართლა მიპასუხონო...

... მწყემსი „ოიდიპოს მეფეში". კორინთოს მზისგან გამომხმარი, ნივრითა და წყალწყალა ღვინით ნასაზრდოები, გონების დაკარგვამდე შეშინებული — ოიდიპოსის მრისხანების წინაშე და, ამავე დროს, თავის გადარჩენის ინსტიქტით სავსე: მან ჯერჯერობით მეტი იცის, ვიდრე ოიდიპოსმა, და ეს ცოდნა — მისი ბედისწერაა...

... ახალგაზრდა, დაბნეული, მუდამ აფორიაქებული, სხვის ხმებს აყოლილი ველიმირი („ფილოსოფიის დოქტორი") და უნებლიე დანაშაულით შეძრული კრალი („როცა ასეთი სიყვარულია")...

სახასიათო როლებისათვის იგი მუდამ პოულობდა ზუსტ გარეგნულ პორტრეტს. გროტესკული საღებავებისა არ ეშინოდა, თავისუფლად, ერთგვარი სიმსუბუქითაც კი ეგუებოდა მძაფრ კომიკურ სიტუაციებს და არც მოულოდნელ „ულოგიკო" სვლებს ერიდებოდა... ეს იყო მისი შემოქმედებითი სითამამის პერიოდი... სამწუხაროა, რომ მსახიობი ცხოვრებაში ბევრ რამეს კარგავს, მაგრამ სანუგეშოა, რომ ბევრ ახალ რამესაც პოულობს... ამის გარეშე არ არის არც ცხოვრება და არც შემოქმედება...

**ნოდარ გურაბანიძე,**
ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" მთავარი რედაქტორი

*

ჩემო ბადრი! დაწყნარდი, შემოგევლე, დამშოშმინდი, დაბრძენდი. ძნელი ყოფილა ჭაღარაო, — უთქვამს პოეტს.

ცხადია, ძნელია, მაგრამ შენ რომ სიჭარმაგეში უფრო დამშვენდი?! წელშიც გასწორდი, მხრებში ხომ გაიმართე და გაიმართე. სიჭაბუკეში თუ მხოლოდ თეატრი და ლიტერატურა გიტაცებდა, ახლა კოსმოსური შეპირაპირებიდან პასტერის ვაქცინებამდე ყველაფერი გაინტერესებს, გიტაცებს.

როგორ გვიყვარდა ყრმობისას ლადო ასათიანის კითხვა, მაღალ პოეზიად გვესახებოდა სტრიქონები, რომელთაც თურმე ფილოსოფიური აზრიც ჰქონია: „დაუკარით! მოასწარით, თორემ, ჰერი... და, სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება!"

მოგვიხტა კიდეც. კი არ გვეახლა, კი არ მობრძანდა — მოგვიხტა. თანაც ზუსტად ძუ მგელივით.

მაგრამ ნუ გეშინია, ჩემო ბებერო ლომო! მგელი რას დაგვაკლებს, ან ძუ ან ხვადი. და თუ დაიღალე — მხოლოდ საქართველოს სიყვარულში.

თუ მაისის ვარდები ჩვენი ჟამისათვის შეუფერებელი მშვენება და სილამაზეა, შემოდგომის ჩაყვითლებული ცხელი ფოთლის ფარფატშიც მოვძებნით მშვენიერებას.

ჩვენი სიჭაბუკის ხოხობი გაგვიფრინდა, მაგრამ გედის სიმღერა ჯერ შორს არის.

თუმცა, კინალამ დამავიწყდა— შენი „ხობი" ხო ხობია!

ნაომარს, ნახობარს, ნახოხობარს — რა მოგკლავს. მაშ, იცოცხლე!

**შენი კოტე მახარაძე**

*

ბადრი კობახიძე — ჩემი ძმა და მეგობარი, სამოცი წლის გამხდარა! რა უცნაური თარიღია!.. ნუთუ, უკან დარჩა ჩვენი სიჭაბუკის თრთოლვა, თეატრის რაინდთა ასპარეზობა, გამარჯვების სიხარული და დამარცხების სევდა?

სამოცი წელი შეუსრულდა იმ ბადრის, რომელიც ცხრიდან თერთმეტამდე რეპეტიციებს ატარებს თეატრალურ ინსტიტუტში, თერთმეტიდან ექვსამდე თეატრალურ საზოგადოებაში ჩვენი თეატრების საქმეებს არჩევს, რვიდან თერთმეტამდე თავისი მშობლიური რუსთაველის თეატრის სცენაზე გამოდის და მეორე დღეს ლენინგრადში მიფრინავს ხობის გავლით, სადაც შეხვედრას აწყობს ვერიკო ანჯაფარიძესთან, სადღაც შუალედში კი ახალგაზრდა თეატრალურ მხატვართა გამოფენას ხსნის.

ბადრი კობახიძე ჭეშმარიტი მოქალაქეა, ინტელიგენტი, ბრწყინვალე მსახიობი, რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე; კვლავ ჭაბუკურად კატეგორიულია, რაინდულად სიმართლისმოყვარული. არ დაჩლუნგებულა მისი გორდაი!

ღმერთმა დამიფაროს უმისოდ ყოფნა თუნდაც ერთი დღე!

**გურამ საღარაძე,**
საქართველოს სახალხო არტისტი.

# ჩემი სოფლის ყმაწვილები

**ვახტანგ გოგოლაშვილი**

ქუთაისიდან ტყიბულისაკენ რომ გაუყვებით გზას, ერთი პატარა სოფელი შეგხვდებათ. მე ეს სოფელი ყველაზე მეტად მიყვარს. ალბათ, იმიტომ, რომ აქ გაიარა ჩემმა ბავშვობამ. აქ არის მაღალი მთები, შრიალა ტყეები, ხეხილის ბაღები, ვენახები, ჩაის პლანტაციები, სიმინდის ყანები. წყალწითელაც აქაა — პატარა მდინარე, ადიდების დროს რომ კალაპოტში ველარ ეტევა.

მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ადამიანები არიან — ნათესავები, ნაცნობები, მეგობრები, რომლებიც თავდადებით შრომობენ, ქმნიან დოვლათსა და ბარაქას.

შორს ნისლი ირწევა. საღამო ხანს ვარსკვლავები ამოციმციმდება. დამაშვრალი გლეხკაცები ღიღინით მიუყვებიან შინისკენ. ცოტა ხნით ბაზოულას ცივწყალასთან შეჩერდებიან, დაკოჟრილ ხელებზე ბინულს გადაივლებენ და ერთხანს ისაუბრებენ. კოლმეურნეობის ამბით დაიწყებენ და მსოფლიო პოლიტიკით დაამთავრებენ. მერე შინისკენ გაიჩქარებენ. ეზოებში ბავშვები შეეგებებიან. ივახშმებენ და დაიძინებენ.

ხვალ ხომ ადრე უნდა ადგნენ — ყანაა გასათოხნი, ჩაია საკრეფი, ვენახია შესაწამლი...

მე ქალაქიდან ახალი ჩასული ვარ და რა დამაძინებს! მე შენ გეტყვი, თოხის ბაყუნით არ მქონდეს ქანცი გავარდნილი. ამიტომაც ვზივარ მაღალი მსხლის ძირას, შევცქერი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ფირუზისფერ გუმბათზე ახატულ გელათის მონასტერს და გარშემო შემომსხდარ სახლიკაცებს ვესაუბრები ახალ სოფლურ ამბებზე.

სოფელს კურსები ჰქვია.

ამ პატარა სოფლიდან დაიწყო ჩემი ცხოვრება.

* * *

ჩამოსვლის პირველ დღესვე ზელობანში ავიარე. ვეებერთელა ცაცხვების ძირში თითქმის მთელი სოფელი შეკრებილიყო. უფროსები დინჯად საუბრობდნენ მოსავალსა და მშვიდობაზე, ჩამორჩენილ ბრიგადაზე, ამერიკის დღევანდელ პოლიტიკაზე. მწვანე მინდორზე კი ბავშვები თამაშობდნენ.

გვიან ღამით ხალხი აიშალა. სახლში აღარ გამიშვეს.

— ორ ნაბიჯზეა ჩემი სახლი, ბარემ ჩავუხვიოთ, — შემეპატიჟა გრიგოლი.

ნათესავ კაცს ხათრი ველარ გავუტეხე. „ორი ნაბიჯი" იმერული არ გამოდგა. მოსახვევში ძაღლის ყეფა მოგვეყურა. სულ მალე სავახშმო სუფრასთან ვისხედით.

გრიგოლმა პირველად მშვიდობაზე თქვა თავისი სათქმელი. მერე ოჯახი დალოცა. შემდეგ უფროსი ვაჟიშვილი გაიხსენა: — ახლა დავაცოლშვილე, ცალკე დავასახლე, მის ფუძესაც დავლოცავთო...

და სიტყვა სიტყვას წაება: ითქვა საქებარი მეორე ვაჟიშვილისა, მესამე ქმარშვილიანი ქალიშვილისა, მერე კიდევ ქალიშვილისა...

* * *

ქუთაისში, საფიჩხიაზე, პატარა ბაღის გვერდით, დიდებული სახლი ედგა საშა დოლონაძეს. კარგად გაწყობილი ხუთი ოთახი, ერთგული ცოლი, შვილი და შვილიშვილები. სამსახურიც კარგი ჰქონდა, შემოსავალიც არ აკლდა: პატიოსანი, თავდადებული შრომით ნაგროვები დოვლათი და ბარაქა.

საღამოხანს დაღლილი კაცი იქვე, ორ ნაბიჯზე, კინოში გადავიდოდა, ან ტელევიზორს მიუჯდებოდა. საკუთარი, საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკაც ჰქონდა. გვიან ღამემდე კითხულობდა ხოლმე.

ზოგჯერ სტუმარი ეწვეოდა. სარდაფში მუდამ ეგულებოდა საზამთროდ გადანახული ღორი, შემჭკნარი ხილი. მიუსხდებოდნენ მაგიდას და გვიანობამდე ბაასობდნენ.

(დასასრული მე-13-ე გვერდზე)




# მერაბ ბერძენიშვილი

**თენგიზ ფერაძე**

მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნება ღრმად ეროვნულია, ამდენად — ინტერნაციონალური და მაღალი მოქალაქეობრივი ჟღერადობით დატვირთული. ამიტომ გასცდა მისი მნიშვნელობა საქართველოს ფარგლებს და თანამედროვე მხატვრული კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამის საფუძველი ძიებათა ფართო ასპექტი და მხატვრული აზროვნების სითამამე, მდიდარი თემატური რეპერტუარი და შინაარსის ადექვატური სახვითი ფორმების მიგნება გახლავთ.

მ. ბერძენიშვილის ყოველი ახალი ქმნილება მოულოდნელია და ორიგინალური. მხატვარი სრულიად განსხვავებულ ემოციურ ინტონაციებს, ესთეტიკურ და შინაარსობრივ ფორმებს პოულობს, რომელიც მხოლოდ ამ კონკრეტული მოვლენისათვის არის გამიზნული. მისი ნამუშევრები, გარეგნულად მშვიდიც კი, ყოველთვის დინამიურია და ემოციური, ამავე დროს ყალბ პათეტიკასა და შიშველ დიდაქტიკას მოკლებული. მისი შემოქმედება არ არის დამორჩილებული მხოლოდ ლოგიკურად ჩამოყალიბებულ იდეას; მისი ხელოვნების საფუძველი და არსენალია განწყობილება, გრძნობა, სულიერი მდგომარეობა, მომდინარე ცხოვრებისეული სიმართლიდან და ფართო პლასტიკური დიაპაზონით შემაგრებული.

მხატვარი ახალი, ეპოქისეული შინაარსით ტვირთავს ე. წ. „მარადიულ თემებს", რომელთა თავი და თავი სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და უკუნის, ამაღლებულისა და მდაბალის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილია.

მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია თვით ხელოვნების თემას. და, სულ ერთია, ასახავს იგი კონკრეტულ პიროვნებას („შოთა რუსთაველი", „დავით გურამიშვილი", „ზაქარია ფალიაშვილი") თუ სიმბოლოს („მუზა") — მისი გმირები იძლევიან განზოგადებულ სახეს „ხელოვნების" ცნებისა.

მხატვარი ეძიებს და პოულობს ორიგინალურ და დამაჯერებელ კომპოზიციურ, სივრცობრივ, პლასტიკურ გადაწყვეტილებებს. ასეა აგებული მისი შემოქმედების პირველი პერიოდის (50-იანი წლები) ქანდაკებები, როდესაც ფიგურები გარეგნულად მშვიდია და მოდელის ფსიქოლოგიური სიღრმეები სულიერი საწყისის წინა პლანზე წამოწევით ხასიათდება („შოთა რუსთაველი", „დავით გურამიშვილი", „ვახტანგ გორგასალი"); ასეა აგებული მისი გასაოცარი ექსპრესიული, დინამიური, ექსტატიურობამდე მისული ფიგურები სამოციანი წლების მიწურულს („მედეა", „გიორგი სააკაძე"); ასეა აგებული სამოცდაათიანი წლების კომპოზიციები, რომლებშიც ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს სულის სიდიადე და სხეულის პლასტიკა, ხოლო სახვითი ხერხები მოკლებულია ყალბ ეფექტებს და ემორჩილება თემის იდეურ-მხატვრულ ინტერპრეტაციას, დინამიურობა კი კონტრაპოსტით გადმოიცემა („მუზა", „კიდევაც დაიზრდებიან", „ჯარისკაცის მამა")

თითქმის ყველა ეს თვისება მეტნაკლებად ახასიათებს მ. ბერძენიშვილის ორმოცდაათიანი წლების სათეატრო-სანახაობით პლაკატებსაც, რომლებიც მან კოლეგებთან ერთად შექმნა და მის საწიგნო გრაფიკასაც.

მოცულობის გამძაფრებული გრძნობა ჩანს მისი ბოლო დროის ფერწერულ ნამუშევრებშიც („მიქელანჯელო", „ლეონარდო და ვინჩი"); ალორძინების ტიტანთა ფიგურები ფერითაა ნაძერწი, ხოლო მათი რაკურსები მონუმენტური ქანდაკებისათ-

(დასასრული მე-13-ე გვერდზე)



ეროვნული
ბიბლიოთეკა


ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა


ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის დამახასიათებელ ხედვის წერტილს ემორჩილება.

მონუმენტური ხელოვნების განვითარების თანამედროვე ეტაპზე პრინციპულად ახალი სივრცობრივი კონცეფციები მუშავდება, რომელთა ამოსავალი წერტილია პლასტიკურ-არქიტექტურული ანსამბლის გარემოსთან ურთიერთობა.

მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული ამ კონცეპციებსა და პრინციპებთან. ამის კრებსითი ნიმუში გახლავთ „დიდების მემორიალი" ქუთაისში — ბრწყინვალე მაგალითი თანამედროვე სკულპტურულ-სივრცობრივი კომპოზიციისა, რომელშიც რამდენიმე ახალმა თვისებამ იჩინა თავი. ჯერ ერთი — მ. ბერძენიშვილის კომპოზიციების პერსონაჟები ყოველთვის დადებითი გმირები იყვნენ და მათი საშუალებით გადმოსცემდა მხატვარი სიკეთის მიერ ბოროტის ძლევის თემას. ქუთაისის მემორიალში ბნელი ძალების ამსახველი პერსონაჟებიც ჩნდებიან, რაც უკიდურესად ამძაფრებს კომპოზიციას; შემდეგ — პირველად აქ იძლევა მოქანდაკე დამუხტული, ექსპრესიული, „ბაროკალური" ფორმებისა (რელიეფზე) და სულიერი და ფიზიკური სიმშვენიერის განსახიერების — ყმაწვილი მხედრის, კონტრასტს, რაც არქიტექტურულ მოცულობებთან ერთად იდეურ-ესთეტიკურ დრამატურგიას ემორჩილება; შემდეგ — ქუთაისის მემორიალში პირველად აცალკევებს იგი მხატვრულ აქცენტებს — ტრიუმფალურ თაღსა და მხედრის ფიგურას. მანამდე მისი კომპოზიციები კომპაქტური იყო და მაქსიმუმ სამ ფიგურას აერთიანებდა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურება მხატვრის შემოქმედების განვითარების ბუნებრივი შედეგი გახლავთ.

ახლებური კონცეფციები კიდევ უფრო მკვეთრად იჩენს თავს მხატვრის უკანასკნელი წლების ნამუშევარში, რომელიც დიდგორთან ქართველი ერის დიდ გამარჯვებას ეძღვნება. ეს იქნება დიდგორის ველის ვრცელ ტერიტორიაზე განფენილი სკულპტურულ-არქიტექტურული ანსამბლი. ვიმედოვნებთ, რომ იგი ქართული მონუმენტური ხელოვნების კიდევ ერთ დიდ წარმატებად იქცევა.

მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედებასთან შეხვედრის სიხარული განპირობებულია იმით, რომ იგი სახვითი ხელოვნების განვითარებისა და წინსვლისათვის მოლვაწეთა მეწინავე რიგებშია ყოველთვის; უფრო მეტიც, ხშირად იგია სწორედ თემის ახლებური იდეურ-ესთეტიკური გააზრების და გადაწყვეტის მოთავე. ამიტომ არის მისი ხელოვნება ასე ახლობელი ყოველი ჩვენგანისათვის.

## ჩემი სოფლის ყვავილები

მეტი რა უნდა კაცს ბედნიერებისათვის.

მაგრამ, თურმე, ესეც არ ყოფილა საკმარისი.

ერთხელ, საიდუმლოდ გამომიტყდა — მინდა ჩემი ოჯახის უძვირფასესი განძი გაჩვენოო. წიგნების კარადის ქვედა უჯრა გამოაღო, სათუთად ამოიღო პირგაცვეთილი, ჟანგისაგან შეჭმული თოხი და გამომიწოდა. როცა გაკვირვება ვეღარ დავმალე, ნაღვლიანად გაიღიმა და მითხრა:

— შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ. ვერ გაიგებ... ამ თოხით მამას ვუდექი გვერდით და სიმინდს ვამოროდებდი გელათის ქალებში. აუჰ, რა დრო გასულა მის მერე. მე კი ახლაც ყოველღამ მესიზმრება ლურჯი სიმინდი, შაბიამნით შეღებილი ვაზი. მიწა მეძახის, მამაჩემისეული მიწა და ვენახი.

მაშინვე გადავწყვიტე, დამეწერა ეს პატარა ამბავი. მაგრამ, რატომღაც, გულმა არ მიქნა. ვგრძნობდი, ასე არ შეიძლებოდა დამთავრებულიყო მიწის მახილი.

არც მოვტყუვდი.

კარგა ხნის მერე, ზაფხულის ერთ საღამოს, გელათის მონასტერს ვეწვიე. იქვე, მონასტრის მახლობლად, ახალმოსახლე შევამჩნიე. ვარდის ბუჩქივით პატარა და მოხდენილი სახლი, წამოქოჩრილი ნარგავები, ძლივს წელმომაგრებული ვაზის ლერწები და შაბიამანივით ლურჯი, ლურჯი, ორთოხგავლილი სიმინდის ყანა.

პატრონი ვიკითხე და მითხრეს, საშა ღოღონაძისააო.

დაუპატიჟებლად შევაღე ლამაზი ჭიშკარი. გაიხარა მასპინძელმა სტუმრიანობით.

აღტაცებული მიყვებოდა:

— აღარა ხარ ისე ახალგაზრდა, რომ გაგიკვირდეს. მაინც არ მომასვენა მიწამ. დაუნანებლად დავტოვე ქუთაისი. წიგნებიც მაქვს, ტელევიზორიც. კინოც აქვეა, ყურისძირში. მაგრამ, რაც მთავარია, თოხი კარადაში კი არა მაქვს შენახული, ეგერაა, კოლექტივის ყანაში, სიმინდის კვალში დატოვებული.

ამწვანებულ ფართო ეზოში შვილიშვილები დარბოდნენ და არე-მარეს ჟრიამულით იკლებდნენ. ცოლი და ქალიშვილი სამზარეულოში ტრიალებდა და სუფრაზე შემოსამატებლად ხაჭაპურებს აცხელებდნენ. სუფრასთან ვაჟკაცი სიძე გვეჯდა. მხიარული მასპინძელი თავისი სოფლისა და სოფლელების ამბავს მიყვებოდა.

• • •

გზისპირას, სოფლის შუაგულში, ობელისკი დგას. ლაბადაწამოხურულ ჯარისკაცს ხელში ავტომატი ჩაუბღუჯავს და რაღაც გამოუცნობი ნაღვლით გასცქერის მაღალ, ლურჯ მთებს.

ჯარისკაცის ფერხთით, მარმარილოს დაფაზე, ამ სოფლის მკვიდრთა გვარებია ამოკვეთილი. კითხულობ და გიკვირს, რამდენი წასულა ამ სოფლიდან: აბესაძეები, ნიშნიანიძეები, გოგოლაშვილები, ალფაიძეები, გეგელაშვილები...

წასულან და აღარ დაბრუნებულან.

ამ ობელისკთან ყოველთვის კალენიკე გოგოლაშვილი მახსენდება.

არა, იგი ფრონტზე არ დაღუპულა. ის კი არადა, ყველაზე ადრე დაბრუნდა შინ.

ომი ახალდამთავრებული იყო. წერილიც არ გამოუგზავნია, ისე ჩამოხტა პატარა ბაქანზე და შეუყვა ზელობნის აღმართს. ფეხშიშველი ბავშვები ერთმანეთს ვასწრებდით ოჯახში მახარობლად მირბენას.

დასასვენებლადაც არ მოუცლია ნაომარ კაცს. სოფელს მშრომელი გლეხის ხელი აკლდა. მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ამარა დარჩენილ ყანებსა და ეზოებში, სად არ მოკრავდით თვალს მის გახუნებულ, ნატყვიარ ფარაჯას.

მეზობელს ღობე წაექცეოდა, კალენიკე იყო წამომყენებელი. ვინმეს ქარი ბეღელს გადაუხდიდა, აქაც კალენიკე იყო მშველელი.

ბოლოს, კურსების გრანიტის ქარხანას მძღოლები გაუჭირდა. კალენიკემ ტანკისტობის ძნელი დღეები გაიხსენა, საჭეს მიუჯდა. აქაც პირველი იყო.

ცოლი შეირთო. შვილები და შვილიშვილები მოესწრო ჭარმაგ, ორმოცდაათი წლის კაცს.

ჯანიც მოსდევდა, ღონეც. თითით საჩვენებელი ვაჟკაცი იყო ყველასათვის. არავინ იცოდა, იქნებ, თვითონაც არ იცოდა, როგორ აწუხებდა ძველი ნატყვიარი.

სწორედ ამ ნატყვიარმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

ახლა, როდესაც სოფლის შუაგულში აღმართულ უკვდავების ობელისკთან ვდგევარ, ასე მგონია, რომ მარმარილოს ფილებზე ჩამოწერილ აურაცხელ გვარსა და სახელს კალენიკე გოგოლაშვილის სახელი და გვარი აკლია.

• • •

სოფელში ყველაზე უკეთესი ბაღი კოსტა რიჟამაძეს ჰქონდა. ადრიან გაზაფხულზე შეთვალდებოდა ბლები და მერე, სანამ ნოემბრის ბოლოს საგვიანო ატმები არ მოილეოდა, ბაღში ყოველთვის მწიფდა რაიმე ხილი.

ჰოდა, რა გასაკვირია, სოფლის ბავშვები თითქმის მთელ ზაფხულს იმ ბაღში რომ ვატარებდით.

ჯერ ნაირნაირ ხილს დავიგემოვნებდით, ვირბენდით, ვითამაშებდით. შელამებულზე ევასევის გორაკზე ჩამოვსხდებოდით და ვიწყებდით საუბარს. ყველა საუბარი ერთნაირად მთავრდებოდა. პატარა ბიჭები ვოცნებობდით მომავალზე, ხვალინდელ დღეზე.

— მე პურის მცხობელი უნდა გამოვიდე...

ამას ალიოშა ამბობდა და არავის გვიკვირდა. მაშინ ომი იყო. პური ძნელად საშოვნელი, სანუკვარი რამ გახლდათ.

— მე მაღაროში წავალ სამუშაოდ, მნგრეველი გავხდები.

გვახსენდებოდა ისტორიის სახელმძღვანელოში დაბეჭდილი ალექსი სტახანოვის სურათი პნევმატური ჩაქუჩით ხელში და ვისღა გაალცებდა სეხნიას მტკიცე გადაწყვეტილება.

— მე მფრინავი გამოვალ!

— მე ტანკისტი ვიქნები!..

მხოლოდ მასპინძლის ვაჟიშვილი შალიკო რიჟამაძე იჯდა ხოლმე ჩუმად. ეშინოდა, ასეთ დიდ ოცნებებთან მისი ნათქვამი სასაცილო არ მოგვჩვენებოდა.

ბოლოს მაინც გამოტყდა:

— არსადაც არ მინდა წასვლა. აქვე დავრჩები. მამის ბაღსა და ვენახს მოვუვლი. ყანას გავთოხნი და ბევრ, ბევრ სიმინდს მოვიყვან, რომ ქვეყანაზე ბლომად იყოს მჭადი და ლობიო. ჰო, ასე ვიზამ.

ჩვენ ეს ნატვრა, მართლაც, სასაცილოდ გვეჩვენებოდა და შემდეგშიც დიდხანს გვაკვირვებდა, ასე იოლად ასასრულებელი ნატვრა რატომ ინატრა მაშინ შალიკომ.

წლები გავიდა. ის ბავშვური ოცნებები ბევრჯერ შეიცვალა, მაგრამ ყველა ჩვენგანმა ნახა თავისი გზა.

სოფელიც საოცრად შეცვლილი დამხვდა: ბაღებსაც უმრავლია, ვენახებსაც. ხრიოკები ჩაის პლანტაციებით გადაფარულა. აღარც პურია სანატრელი, აღარც მჭადი და ლობიო. ისლით გადახურული ქოხების ნაცვლად ყველა ეზოში ლამაზი ორსართულიანი ოდები დგას.

ვინ იცის, იქნებ სოფლის ამ სასიკეთო ცვლილებებში, ყველაზე მეტი წვლილი ერთი პატარა ბიჭის უცვლელ ოცნებას უდევს, ოცნებას, რომ არასოდეს არ დასტოვებდა მშობლიურ სოფელს, ვაზს გასხლავდა, ყანას გათოხნიდა და წყალს მიუგდებდა, მჭადსა და ლობიოს მოიყვანდა.

ეს პატარა ბიჭი შალვა რიჟამაძეა, რომელიც მრავალი წელი ტყიბულის რაიონის სოფელ კურსების სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას ედგა სათავეში...



# კაჭკაჭები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ვაზი ხრიალშიაო, იტყვიან, როცა გაცელქებული ნიავი ვენახს ჩამოუქროლებს. ფოთლები დატიკნულ მტევნებს ეხლება და ქაღალდის პარკში მარცვალს რომ ჰყრიან, აი, იმისთანა ხმას გამოსცემს, ოღონდ უფრო საამოდ მოსასმენ ხმას.

ასეთ დროს, მევენახეს საზრუნავი ემატება. ვაზი მაშინ ახლადფეხადგმულ თოთო ბავშვსა ჰგავს, ყოველ წუთს თვალი რომ უნდა გეჭიროს: არაფერი ეტკინოს, არაფერი დაემართოს. ეგრეა ვაზიც.

ამიტომაც გამუდმებით ეკიდა ზურგზე აპარატი ელიზბარს. წინა დღეს შეწამლულ ვაზს წვიმის თქეში თუ გადარეცხავდა, მეორე დღეს დილა ადრიანად ჩავიდოდა ვენახში. ბეტონის აუზში შაბიამანს დააყენებდა, ხსნარით აპარატს გაავსებდა, ზურგზე მოიკიდებდა და სახელურის ალმა-დალმა ქნევით, მარაოსავით გაშლილი ცისფერი შადრევანის ფრქვევით, ხან ერთი მხრიდან მისდევდა ვაზის რიგს, ხან მეორე მხრიდან. მისდევდა და თაკარა მზით გახურებულ შუბლზე ოფლი ასკდებოდა, უსველებდა ქუთუთოებს, თვალებს სწვავდა. მაგრამ იმ თვალებში მაინც არ ქრებოდა ვაზისადმი ის ნაზი სიყვარული, რომელსაც დაუზოგავად უნაწილებდა შაბამიანში მობანავე მტევნებს, მოშრიალე ფოთლებსა და აშოლტილ ლერწებს.

სწორედ იმ სიყვარულისა და ზრუნვის შედეგი იყო, რომ ელიზბარის ვენახში ვერც ჭრაქს შენიშნავდით, ვერც ნაცარსა და ყურძნის ჭიას. რთველს დაიყენებდა იმისთანას, მტრისთვისაც საამური სანახავი რომ იყო.

იმ დღესაც შეწამლა ვენახი. ვიდრე ათივე რიგი არ მოათავა, მუხლი არ ჩაუხრია, დასვენებაზე არ უფიქრია. მეათე რიგის ბოლოში რომ გავიდა, აპარატში ცოტაოდენი წამალი ჩარჩენილიყო. დაენანა მისი გადაღვრა. ბურნა არ გაუჩნდებაო, წაიღო და პამიდვრის ნარგავს დაასხა. მერე აპარატი ზურგიდან მოიხსნა, დადგა შაბიამნის დასაყენებელ აუზთან. შიგ სუფთა წყალი ჩაასხა და კარგად გარეცხა. წყალი რეზინის მილშიაც გაატარა, რომ ლექი არ ჩარჩენილიყო.

ამეებს მორჩა და ხელები ვედროში ჩაიბანა, ოფლიან სახეზეც შეისხა წყალი. წყალი თბილი იყო, მაინც ეამა, სახე გაუგრილა. გარეცხილი აპარატი ვენახის ბოლოში კრამიტგადახურულ საჩეხში წაიღო. საჩეხს სამი მხარე ღია ჰქონდა. მარტო დასავლეთით, საიდანაც ავდარში ქარს შეეძლო თქეში შემოეტანა, თხელი ფიცარი აეკრათ.

ძველი, მამა-პაპისეული საჩეხი, ელიზბარმა შარშან განაახლა. კრამიტის სიმძიმეს ღვიის ბოძები გვერდზე გადაეხარა და ფეხზე ძლივსღა იდგა. ისევ ის ბოძები ჩაყარა, რაც ჰქონდა. ის თავხე გაუდო და ის კავები დაუწყო. გატეხილი, გაბზარული კრამიტი ახლით შეცვალა, საჩეხის ქვეშ გაურანდავი ფიცრის მაგიდა ჩადგა, გარშემო გრძელი სკამები გამართა. ათი-თხუთმეტი კაცი მაინც შემოუსხდებოდა პურის საჭმელად.

დილით ვენახში რომ მივიდა, თან საუზმე მიიტანა. ცელოფანის პარკში შოთი პურის ორიოდე ნაჭერი, ყველი და რამდენიმე გაფხეკილ-გადარეცხილი ბოლოკი ეწყო. პარკი მაგიდაზე დადო, ვაზის წამლობას რომ მორჩებოდა, მერე გატეხავდა ლუკმას. ასე ვარაუდობდა ელიზბარი. მოტყუვდა. საჩეხში ფეხი რომ შედგა, პირკატა ეცა. პარკი ცარიელი დახვდა, შიგ მარტო ბოლოკი ღუოდა წითლად. აღარც პური, აღარც ყველი.

ფიქრობდა და ვერ გამოეცნო, ვინ ამოუცარიელებდა პარკს. ძირს დაიხედა, მაგიდის ფეხთან გამოკენკილი, მიწაში ამოგანგლული პურის ყუა ეგდო. აიღო, შეუბერა, მიწა მოაცილა და მაგიდაზე დადო.

საჩეხიდან გარეთ გამოვიდა, შორიდან კაჭკაჭის ყიპყიპი მოესმა. ასიოდე მეტრით მოცილებულ ზურაბაანთ ვენახში, კაკლის კენწეროზე ორი კაჭკაჭი იჯდა. კენწერო ირხეოდა და წონასწორობა რომ არ დაეკარგათ, გრძელ კუდებს ხან მაღლა იშვერდნენ, ხან დაბლა. თავები გვერდზე გადმოეხარათ და ელიზბარს ალმაცერად გადმოსცქეროდნენ.

— მაგათი ამბავია, — დაასკვნა ელიზბარმა. კარგად იცოდა კაჭკაჭების ოინები, შარშანწინაც ამოუცარიელეს ბრეზენტის ჩანთა. ის ამბავი დაავიწყდა, თორემ ცელოფანის პარკს სადმე დამალავდა. ცუდი შემნახავი ქურდზე უარესია. რა მაგათი ბრალია?! — დაასკვნა ელიზბარმა. ღიმილით თავი გაიქნ-გამოიქნია და საჩეხში შევიდა. მაგიდას მიუჯდა, მუხლი რომ ჩახარა, მაშინ იგრძნო დაღლა, დაღლა და შიმშილი.

მაგიდიდან ძირს ნაგდები პური აიღო. რამდენიმე ლუკმა იქნებოდა. შეუბერა, მიწა ხომ არ აჰყვაო, ერთხელ კიდევ შეათვალიერა და მოკბიჩა. ზედ წყლიანი, პირის ჩასაშუშხი ბოლოკი მიატანა.

ვიღაცამ შორიდან ელიზბარ, ელიზბაროო, დაიძახა,

— ვინ არისო, — გაეხმიანა.

— მათე ვარ, მათე. მორჩი წამლობასა?

— მოვრჩი, მაშა! — ელიზბარი საჩეხიდან გარეთ გამოვიდა და იმ მხარეს მიბრუნდა, საიდანაც ხმა მოდიოდა.

— მორჩი და გადმოდი ჩემს ვენახში!

— რა იყო, კაცო, რა ამბავია?

— შორიდან არ ითქმება, მოდი და გაიგებ!

ელიზბარმა ხელში შერჩენილი პურის ლუკმა და განახევრებული ბოლოკი პირში ჩაიდო. ზურაბაანთ ზვარი გადაიარა. მათე შიფერგადახურულ საჩეხში დახვდა. მაგიდაზე გაზეთს ფენდა.

— გამარჯობა, — მიესალმა ელიზბარი.

— გაგიმარჯოს, რა... სულ მორჩი წამლობასა?

— როგორც იქნა.

— მაგრად გიმუშავნია. მე ოთხი რიგი კიდევ დამრჩა. პურს ვჭამ და იმასაც მოვრჩები.

— ჩემგან რაღა გინდა, რისთვის დამიძახე?

— შენი ნაქონი ხალათი, სხვა რა უნდა მინდოდეს. დაჯექი აი, აქა.

— უამბოდ არ დამიძახებდი!

— დღევანდელი ჩვენი შრომა უნდა დავლოცოთ!

— მე მეგონა, საქმეზე მეძახოდი!

— ესეც საქმეა. ცარიელ ტომარას ფეხზე ვერ დააყენებ. იმისთანა ღვინო უნდა დაგალევინო, სულ ნაპერწკლებს ისვრის.

— ქებას ნახვა სჯობია!

— ეე, მერე სადა მაქ შენახული, იცი? აგე ჭაში!

— ცივი იქნება!

— ცივიო? ერთ წუთს დამაცა. — მათემ ბრეზენტის შავი ჩანთიდან შოთი პური, ყველი, კვერცხები, კიტრი და პამიდორი ამოიღო. მაგიდაზე ორი თლილი ჭიქა და თიხის ჯამით ხვრიში მარილი დადგა. მერე საჩეხს უკან გავიდა. იქ ჭა ჰქონდა ამოთხრილი. შაბიამნის დასაყენებელ და დასალევ წყალს იქიდან იღებდა. ჭიდან თოკი ამოსწია, თოკს ზედ მიბმული, ღვინით სავსე, სველი დოქი ამოჰყვა.

მათემ დოქი მაგიდაზე დადგა.

— აგაშენოთ! — შეაგება ელიზბარმა.

— იცოცხლე! ახლა კი შეიძლება პური გავტეხოთ...

მათე მაგიდასთან დაჯდა. ჭიქებს ჯერ ღვინო გამოავლო, ძირს დააქცია, მერე კარდენახულად — ნახევარზე ცოტა მეტი დაასხა და ჭიქა ასწია.

— მე კი აღარაფერი მაქვს, რომ სუფრისათვის მომემატებინა, — მობოდიშებით თქვა ელიზბარმა და პურის ლუკმა ჩაიდო პირში.

— რას ამბობ, კაცო, აქ იმოდენაა, ერთი კაცი კიდევ



## ნგუენ დინ თხი

ნგუენ დინ თხი თვალსაჩინო ვიეტნამელი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, კრიტიკოსი, აქტიური საზოგადო მოღვაწეა. ხელმძღვანელობს მწერალთა კავშირს. მის შემოქმედებას კარგად იცნობს საბჭოთა მკითხველი. ავტორია წიგნებისა „ჯარისკაცი", „გამჭვირვალე და მწვანე მდინარე", „სიმღერა შავ ზღვაზე", „ინგრევა ნაპირები", „მდინარელოს სანაპიროზე"...

### კიდევ ერთი დღით

ნეტავი რაზე ფიქრობს ვარსკვლავი,
გზას რომ უნათებს ჯარისკაცს ღამით,
როდესაც ნაღმის გასკდომას უდრის
სულ უმნიშვნელო ფოთოლთა ჩქამი?

ან ტყეში კოცონს რა ახსენდება,
როდესაც ათბობს დაღლილ ჯარისკაცს,
როცა ცოტაც და დაიხევს ღამე
და აღმოხდება სული ჯავრისგან.

მე შენ მიყვარხარ, ჩემო იმედო,
მთელი არსებით და მთელი ძალით,
ვით ნაომარი და გატანჯული
ეს მშობლიური მიწა და წყალი.

ჩემთან ხარ, სადაც არ უნდა ვიყო,
სულ ერთი ბეწო ძილიც კი მყოფნის,
ორად იყოფა პურის ნატეხიც,
და სამდურავი არ გვეთქმის სოფლის.

არ უნდა გაქრეს ვარსკვლავი ცაზე,
რაც უნდა მოხდეს, არ უნდა გაქრეს,
ვიდრე მიყვარხარ სამარადისოდ
და ვიდრე ვამბობ. იხარე აგრემც!

ეტყობა, დიდხანს არ ჩანავლდება
კოცონი ტყეში, მაგრამ თენდება
და გვაახლოებს კიდევ ერთი დღით
იმ დროს, რომელიც გვეიმედება.

### დღე დაბრუნების

აჰა, ჰანოიც, მოვედით, აქ ვართ!
სველდება ჩუმი ხეების რიგი —
წვიმს, მაგრამ წვიმა არ გვიბნევს გზა-კვალს,
აქეთ მეჩაა,[1] კუს კოშკი — იქით.

და აქაც, როგორც ყველგან და მარად,
გვსურს აღვავლინოთ ლოცვანი ცამდე,
ჩვენ ვიცით ორმა, მთაში თუ ბარად
ბოლო მოეღო სიცოცხლეს რამდენს!

წვიმაში ვდგავართ და უხმოდ ვტირით,
მაგრამ გვაფხიზლებს ტრამვაის ზარი
და დანგრეული ჰანოის დილის
წვიმაც კი გვავსებს ახალი ძალით.

როგორც ყოველი სახლი და ქუჩა
შეღებილია მოძმეთა სისხლით,
ისე სავსეა მტრისადმი ზიზღით
მთელი ჰანოი, მშირალი ქუშად...

ჩვენ დავუბრუნდით მშობლიურ ქალაქს —
დამბადებელმა ასე ინება,
და კარგად ვიცით, რომ გვადევს ვალად
მისი ხელახლად აღორძინება.

[1] მეჩა — ტბის სახელია·

### შემოდგომა

კრიალებს ზეცა. ხეები სდუმან,
დაბლა ცვივიან ფოთლები წყებად.
შემოდგომაა. აუზთან ჩუმად
შეუვითლებული ლოტოსი ჰქნება.

შემოდგომაა. სიჩუმეს არღვევს
ხმა საყვირების, მოულოდნელი,
და გამჭვირვალე აუზის სარკე
იისფერია და ცისოდენი.

ოდნავ შემკრთალი შიშვლდება ჭალა,
ნისლში ცურავენ შორი ქედები.
შემოდგომაა; აქა-იქ ჩანან
უქანდაკებო სილუეტები.

სულს მაინც რაღაც იზიდავს ზემოთ
და ბალიც ცისკენ იგრძელებს კისერს.
შემოდგომაა. ძვირფასო ჩემო,
ნუ გეშინია, ერთად ვართ ისევ.

### მზის სხივი

საიდან, სხივო, შე მადლიანო?!
ამ ჩემს ღარიბულ ქოხში როგორ შემოიპარე?
გმადლობ —
აქციე მტვრის ყოველი ნამცეცი ოქროდ.

### ოქროს ყვავილები

ღამის დუმილში ბინდისფერი წიგნის
ფურცლების გვესმის ჩურჩული:
გავლენ წლები და ყველაფერი როცა
გაივლის, რაღა დარჩება?

— ღიმილი შენი, ასე რომ ჰგავს
ოდნავ თავდახრილ
სურნელოვან ყვავილთა ღიმილს.

თარგმნა ხუტა გაგუამ.

დანაყრდება. აბა, ჭიქა აიღე ხელში, — მათემ ელიზბარს ჭიქაზე ანიშნა თვალით.

იმანაც ჭიქა მოიმარჯვა.

— ეს, ჩემო ელიზბარ, დღევანდელ ჩვენს შრომას გაუმარჯოს, — მათემ ჭიქა გამოცალა.

— გაუმარჯოს, ღმერთმა ჯანი მოგვცეს და შრომის ხალისი, — ელიზბარმა ღვინო დალია, დაიგემოვნა და მოწონებით თავი დაიქნია.

— როგორია, ჰა?

— მირონია, ჩემმა მზემ, გაციებულა კიდეცა.

— ხო გითხარი. მე უხეირო ღვინოს არ შავინახამ!

— დილას მარტო საუზმე წამოვიღე შინიდან და ისიც კაჭკაჭებმა მომპარეს, — ელიზბარმა კვერცხი აიღო, მაგიდის კიდეს დაჰკრა, გატეხა.

— დაგტოვეს ხელცარიელი, არა? — გაიცინა მათემ. — ვიცნობ, რა ეშმაკებიც ბრძანდებიან ეგ კაჭკაჭები. ერთხელ მეც შენსავით დამტოვეს უსადილოდ. ისე გაეზიდათ ყველი და პური, ნამცეცი არ დაეტოვებინათ.

მათემ ვენახის ბოლოსაკენ გაიშვირა ხელი.

— აგე იქა, მაშინ ჯეილად ვიყავი, გარგარი-ჭერამი გვედგა, მაგრად ისხამდა ყოველ წელს. თაფლივით ნაყოფი იცოდა დალოცვილმა. კაჭკაჭებს იმ გარგარზე ჰქონდათ ბუდე. ვხედავ, ერთი კაჭკაჭი ზედ ბუდის პირას ზის, ფეხებშუა ყველის ნაჭერი მოუქცევია და კენკავს. იგრე ვარ გაცეცხლებული, აბა რა გითხრა. მინდა იმ კაჭკაჭს ბდღვირი ვადინო. მაგრამ ვიცი, ფრთხილია, ახლოს არ მიმიშვებს. მაინც ავიღე ჭიგოს ნატეხი და გულის მოსაფხანად ვესროლე. ვიდრე ჭიგო ჭერმამდე მიაღწევდა, კაჭკაჭი აფრინდა.

— კარგი-მეთქი, დავემუქრე. ხო გითხარი, ჯეილად ვიყავი. დავკარ ფეხი და ჭერამზე ავვარდი, კაჭკაჭის ბუდესთან გავჩნდი — უნდა ჩამოვშალო და იმით ვიყარო ჯავრი. ბუდეში ოთხი ცალი კვერცხი დამხვდა. ბუდისთვის ხელი არ მიხლია, შენ ჯერ არ იცი, რა მოვიფიქრე. კვერცხები ჯიბეში ჩავიწყე. მოვედი აქა, ცეცხლი დავანთე და კვერცხები მოვხარშე.

— რას ამბობ, კაცო, — გაოცდა ელიზბარი, — საჭმელად?!

— არა, კაცო! — მათეს სიცილი აუტყდა.

— მაშ?!

— ჭიქა დაიჭი, გეტყვი, — მათემ სიცილისაგან თვალის უპეებზე მომდგარი ცრემლი მარცხენა ხელის ზურგით შეიმშრალა. — მოხარშული კვერცხები ისევ ბუდეში ჩავაბრუნე.

— რათა? — ვერ გაიგო ელიზბარმა.

— ვერ მიხვდი?

— ვერა!

— კაჭკაჭი მთელი გაზაფხული იჯდა კვერცხებზე. სხვებმა გამოჩეკეს ბარტყები, დააფრინეს კიდეც. ის კი იჯდა და ელოდა, როდის გამოიჩეკებოდნენ, — მათე ისევ ახარხარდა და ვერ ამჩნევდა, ელიზბარს როგორ მოეღრუბლა სახე.

— მართალს ამბობ? — ყრუდ იკითხა.

— ცოლ-შვილს გეფიცები, — მათეს ისევ აუცრემლდა თვალები, ელიზბარმა ამოიხვნეშა. ხმა აღარ ამოუღია. ნაჭუჭშემოცლილი კვერცხი მაგიდაზე დადო. ფეხზე წამოდგა.

— საით, ელიზბარ?!

— მივდივარ!

ელიზბარი საჩეხიდან გავიდა.

— რათა, კაცო?!

— აი ეგრე!

— ე ღვინო დასალევი როა?

— შენც შეგარცხვინა ღმერთმა და შენი ღვინოცა!

— რატომა, კაცო?! — გაკვირვებული მათე ფეხზე წამოხტა.

— იმიტომა რომა, რაც გაგიკეთებია, მაგას კაცი არ იზამდა!

— რა ვქენი იმისთანა. ქვეყანა დაინგრა?

— შენ გგონია, ეს ქვეყანა მარტო ჩვენა ვართ, ადამიანები? უამფრინველებოდ, უამვენახებოდ არაფერი ვართ. რასაც თვალით ვხედავთ, რაც ცასა და დედამიწას ამშვენებს, ეგ არის ქვეყანა. შენ კი რა გააკეთე, ორი ლუკმა პურისთვის მთელი ბუდობა გაწყვიტე. თფუი, — ელიზბარმა გვერდზე გააფურთხა და ჩქარი ნაბიჯით იქაურობას გაშორდა.

იდგა დარცხვენილი მათე მაგიდასთან. იდგა და ხელში დაორთქლილი, ღვინით სავსე ჭიქა შესციებოდა.





ეროვნული ბიბლიოთეკა





თბილგვირაბმშენის გვირაბგამყვანთა კომკავშირული ბრიგადა ამჟამად მუშაობს თბილისის მეტროს დელის-ვაჟა ფშაველას უბანზე. ბრიგადას ხელმძღვანელობს თენგიზ ფოფხაძე, რომელიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია.

- თენგიზ ფოფხაძე.
- ლექციაზე.
- გვირაბგამყვანთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. შუაში თენგიზ ფოფხაძე.
- მეტროს სადგური ღრმაღელე. თანგიზ ფოფხაძე მატარებლის მოლოდინში.

ფოტო ალექსანდრე სააკოვისა.

# გიგოლას ვაჟები



**ლალი მიგრიაული**

სარაიონო შეჯიბრება ტარდებოდა ქართულ ჭიდაობაში. დილიდანვე ჭყვიტინებდა ზურნა. სოფელ გლდანის თითქმის ათასკაციანი დარბაზი ნელ-ნელა ივსებოდა გულშემატკივრებით. იმ დღეს ფინალური შეხვედრები იყო დანიშნული.

ჩვენ წინ ორი მოხუცი იჯდა. საუბარში გართული ბერიკაცები ახმაურებულ დარბაზს ყურადღებას არ აქცევდნენ. ერთმანეთს ძველ ამბებს ახსენებდნენ და თან კმაყოფილები ხითხითებდნენ.

— გახსოვს, გიგოლაანთ ნიკამ პირველად რომ იჭიდავა ამ დარბაზში? აი, დედასა, ჭიდაობა იმას ერქვა. რამდენი ცნობილი ფალავანი გააკრა ბეჭებით მიწას. ძალად კი ჩავაცვით ჩოხა ძმაზე მგლოვიარე ნიკას.

— ალექსა?

— ალექსა ხომ გლდანელების კერპი იყო. საიდან არ მოდიოდა ხალხი გიგოლაანთ ალექსას ჭიდაობის სანახავად. ტყუილად როდი ეძახდნენ პატარა კულას. იმის ბეჭები მიწისკენ არ დახრილა. დიდი და პატარა იმას ვბაძავდით. გვეგონა, მთებს მხრებით ასწევდა, უბრალო შემთხვევამ კი დალუპა.

— რა გვარისანი იყვნენ გიგოლას ბიჭები?

— კაცო, რა შორიდან უვლი, ის არა ჯობდა გეკითხა, გიგოლა რა გვარისა იყოო?

— იყოს შენებურად. ამიხირდები ხოლმე ყოველ სიტყვაზედა.

— რამ დაგვავიწყა ი ბიჭების გვარი, ჰა?

ამ კითხვამ მაყურებელთა რიგები შემოირბინა, მაგრამ პასუხი ვერავინ გასცა.

— ჩვენ დროს საჭიდაოდ რომ გამოხვიდოდი, გამოაცხადებდნენ: იჭიდავებენ პატარა კულა და ბებერიო, გიგოლაანთ ნიკა და რენელიო... — ეგ იყო შენი სახელიცა და გვარიც, თუმცა, ეგრე ხომ ჩვენ რომ ვჭიდაობდით, შინაურები, სოფლელები, მაშინ ვაცხადებდით! — ჯერ თითქოს თავი იმართლეს ბერიკაცებმა, შემდეგ კი იმედი გადაიწურეს.

სასტვენის ხმამ ახმაურებული დარბაზი დააწყნარა. ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ფინალში გასული წყვილები. მოხუცებს სახეზე უკმაყოფილო გამომეტყველება არ შეცვლიათ, მაგრამ ეშხში შესულმა ზურნადოლმა იმათი შეკრული შუბლი ნელ-ნელა გაშალა. მალე ბერიკაცებმა დაივიწყეს ძველი ფალავნები და ახლებს დაუწყეს ქომაგობა.

* * *

გიგოლას ბიჭების ნამოსახლარის მეზობლად ერთი უშვილო მოხუცი დედაკაცი ცხოვრობდა. გაზაფხულზე ნაავადმყოფარი, როგორც კი ლოგინიდან წამოდგომას შეძლებდა, მაშინვე ამ ეზოსთან გაჩნდებოდა, აკანკალებული ხელებით გახსნიდა მავთულით გადახლართულ ჭიშკარს და ჯერ ხეებს შეეხმიანებოდა. ჩამომტვრეულ ტოტებს თუ შენიშნავდა, თავში ხელს შემოირტყამდა, ატირდებოდა: „ვაი, საცოდავებო, არავინ მოგხედათ? დალოცვილებს, საკუთარ ეზოებში ხომ წკირიც არ მოსტეხიათ“. ვინ იყო ის დედაკაცი, ვის რას ავალებდა, რად ტიროდა ან ვის ჭირისუფლობდა, ვერაფერი გაგვეგო. ბავშვებს დაგვიძახებდა, ეზოს ჭიშკრიდან სახლის კარამდის რამდენჯერმე აგვატარ-ჩაგვატარებდა და გადაშლილ ბილიკს გამოგვაცოცხლებინებდა. მერე ქოხში გაუჩინარდებოდა და ახლა იქიდან გვესმოდა მისი მოთქმა და სამდურავი.

ერთ დღეს დიდ საიდუმლოსავით გაგვანდო:

—გიგოლას ბიჭებს მტერიც ვერ დაწყევლიდა. შვილებო, იცით, რა ბიჭები იყვნენ? ლამაზ-ლამაზ გოგოებს ძილი და მოსვენება ქონდათ დაკარგული. ქორწილში რომ ყოფილიყვნენ, ქორწილში, იმათი შემხედავი პატარძალს აღარ შეხედავდა.

ჯილაგიანი ხალხიაო, — ამბობდნენ ბიჭებზე. არც სტყუოდნენ. ისხდნენ და, იმათი თვალ-წარბი ანათებდა, წარმოდგებოდნენ და, მთელი თავით ასცდებოდნენ ხალხს. იმათ ფართო მხარ-ბეჭზე ყანა გაილეწებოდა.

ალექსა ომამდის დაიღუპა. მარიამსა და გიგოლას ერთადერთ იმედად ნიკა დარჩათ. მალე ომი დაიწყო. ფრონტიდან მიღებულმა შავმა ქაღალდმა ხელი მოუთავა საცოდავებს. ლოგინიდან აღარ წამომდგარან, მზე აღარ დაუნახავთ. ან რა მზის დამნახავები იყვნენ იმ შვილების დამკარგავები.

დიასამიძეები სულ ორი კომლი ვცხოვრობდით გლდანში. ჩემი ქმარი და გიგოლა ძმები იყვნენ. ჩვენ შვილი არ გვყავდა, ამათაც ესე ხელუკულმა გადმოეკეტათ სახლის კარი.

* * *

დამთავრდა შეჯიბრება. შეწყდა ზურნადოლის ხმა. საჭიდაო დარბაზი ნელ-ნელა დაცარიელდა.

გიგოლას ვაჟების ნამოსახლარისკენ გაგვიწია გულმა. მათი ჭიშკრის წინ მუდამ ხალხმრავლობაა, აქ უყვართ თავმოყრა ამ უბნის მოხუცებს. მეზობლებმა მავთულით გადახლართული ჭიშკარი გაგვიხსნეს და შეგვიპატიჟეს.

აბალახებულ ეზოში სახლისკენ მიმავალი ბილიკი დაკარგულა. ცალ გვერდზე გადახრილ ქოხში ბნელოდა. ვიღაცის „მარჯვე“ ხელს სინათლის ხაზი გადაუჭრია. მეზობელმა ხელის ლამპა შემოგვაშველა.

გრძელი, კედლიდან კედლამდის გაჭიმული ტახტი, ძველი ქვეშაგები, ჭიისაგან გამოხრული მაგიდა და კარადა, ჟანგისაგან შეჭმული ღუმელი, მიწიანი იატაკი, ულამფო ჭერი, — აი, დიასამიძეების ოჯახის სამკაული. კედლიდან იმედგაწყალებული მშობლები იყურებიან. ბიჭებს კი მზესავით გაბრწყინებულ დიდსა და შავ თვალებში გაზაფხული ჩასახლებიათ.

ხუთი და ჰყავდათ გიგოლას ბიჭებს. გათხოვდნენ, საკუთარი ოჯახები შექმნეს. აქაურობას ყურს ვეღარ უგდებენ, ვერც გასაყიდად იმეტებენ.

უადამიანოდ სახლი დაბეჩავდა. ნელ-ნელა ეშლება კედლებს გულის ძარღვი.

* * *

ისეთი დილა გათენდა, უბრალო სიტყვებით ქებას რომ ვერ შებედავ. ყველაფერი ილვიძებს, ყველაფერი სიცოცხლის წყურვილით ივსება. ალბათ, ასეთ დროზე უთქვამთ, გაზაფხული მძვინვარებსო.

კვლავ გამახსენდა უადამიანოდ გაყინული კერა და მეზობლების ნათქვამი: „დიდი ხანია, მათ ჭიშკართან არავინ შეჩერებულა. მასპინძელოო, არავის დაუძახია და არც ხელგაშლილი მასპინძელი გამოგებებია სტუმარს“.

როგორ მინდა, ეს გამძვინვარებული გაზაფხული გიგოლას ბიჭების ქოხში შევიტყუო და გამოკეტილ ოთახში ოთხი ათეული წლის წინ სამუდამოდ შეჩერებული დრო გავაღვიძო!

**ოტო გოჩე**

# სიმღერა ბუხენვალდზე

ვაიმარის ახლოს აღმართულა ეტერსბერგის მთა. გერმანელი ხალხის დიდი შვილი, — იოჰან ვოლფგანგ გოეთე ხშირად დამტკბარა ეტერსბერგის წიფლნარით მოფენილი ფერდობების მშვენებით...

როდესაც გერმანიას ფაშიზმი უკუნეთ ღამედ ჩამოაწვა, ნაცისტებმა ეტერსბერგის მიდამოებში ბუხენვალდის ტყეები საკონცენტრაციო ბანაკად გადააქციეს. აქ ჩვენი ქვეყნის ათასობით მამულიშვილი და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მორეკილი ათეულათასობით ტყვე ვერაგულად მოკლეს, დაწვეს, ძაღლებს დააგლეჯინეს, ჯოჯოხეთურად აწამეს.

„მიეც მონას მონისაო“, — ასე ეწერა რკინის ასოებით ბუხენვალდის ბანაკის ჭიშკარს 1938 წელს, როდესაც პატიმართა ახალი კოლონა საჯინიბოების წინ მოედანზე შეყარეს. პატიმართა შორის იმყოფებოდა ვენელი კომპოზიტორი ლეოპოლდი.

„მიეც მონას მონისაო“, — ეს ნიშნავდა შიმშილს, არაადამიანურ შრომას, წამებასა და სიკვდილს.

ლეოპოლდი ებრაელი იყო. ბანაკში ებრაელებს ორ კვირაში ულებდნენ ბოლოს. 5044 ნომრით დამღადასმულმა პატიმარმა, კომუნისტმა და შეუდრეკელმა მებრძოლმა რობერტ ზივერტმა, რომელსაც ამხანაგების გადასარჩენად თავი საფრთხეში ხშირად ჩაუგდია, ლეოპოლდი თავის მებატქაშეთა კოლონაში ჩარიცხა, ქაფჩის ხმარება ასწავლა და სიკვდილმისჯილებიდან გამოიტაცა.

ამ ბანაკში ჩვენი და ევროპის ხალხთა საუკეთესო შვილები იყვნენ, ისინი არასოდეს კარგავდნენ ცხოვრების რწმენას და გათავისუფლების იმედს. ბანაკში იქმნებოდა სიმღერები, რომლებშიც მომავლის იმედი და ადამიანის გაუტეხელი სული გამოსჭვიოდა. თვით ბანაკში კი სასტიკი მდუმარება გამეფებულიყო...

1938 წელს კომენდანტმა როდელმა პატიმრებს ორი დღის ვადა მისცა და ბანაკის შესაფერი სიმღერა შეუკვეთა.

ოპერეტის ლიბრეტისტმა პატიმარმა ლეჰარშენმა ბუხენვალდის სიმღერის ტექსტი დაწერა, ხოლო ლეოპოლდმა მუსიკა შეუწყო. სიმღერა მალე პატიმრებსაც შეასწავლეს.

დადგა დღე, როდესაც ბანაკის სისხლისმსმელმა კომენდანტმა სიმღერის მოსმენა ინება. შემაზრზენად ჟღერდა სიმღერა ელექტრობით დატენილი მავთულხლართებით შემოკავებულ მოედანზე: „... ო, ბუხენვალდო, ვერასოდეს დაგივიწყებ, რადგან ბედისწერა აღმოჩნდი ჩემი! ვინც აქ არ ყოფილა, არც ის იცის, რაოდენ ძვირფასია თავისუფლება!“

როდელმა მელოდია დაიწუნა, პატიმრები დალანძღა, მერე დაემუქრა და მოითხოვა სამარშო მუსიკა. ხელები თეძოებზე შემოიწყო, ერთი-ორჯერ გუნდის წინ სამწყობრო ნაბიჯით გაიარ-გამოიარა და ბრძანა: აი, ასეთი ტაქტის მუსიკა უნდა იყოსო. პატიმრებისა და კომპოზიტორის მიერ სიმღერით გამოთქმული სწრაფვა როდელისათვის სალანძღავ თემად იქცა. საშიში იყო, ვაითუ როდელს გაეგო, რომ სიმღერის მელოდია ებრაელ კომპოზიტორს ეკუთვნოდა. ამას კომპოზიტორის სიკვდილი და ზივერტისა და მისი ამხანაგების საშინელი წამება მოჰყვებოდა.

მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამდე, მსოფლიო საზოგადოებრიობის დახმარებით, ცნობილი კომპოზიტორი ლეოპოლდი გაათავისუფლეს და გერმანიიდან გაასახლეს.

●

1948 წელს რობერტ ზივერტი გერმანიის წინაღმდეგობის მოძრაობის დელეგაციასთან ერთად, რომელშიც როზა ტელმანიც შედიოდა, საკონცენტრაციო ბანაკის პატიმართა ავსტრიის კავშირის ყრილობაზე ვენაში გაემგზავრა.

საკონცენტრაციო ბანაკებში ტანჯვით დამეგობრებული ყოფილი პატიმრები — ფრანგები, რუსები, ჩეხები, ჰოლანდიელები, გერმანელები სიხარულით აღფრთოვანებული მიესალმებოდნენ ერთმანეთს... საღამო ჟამს ავსტრალიელმა მეგობრებმა — კარლ დირმაიერმა და მაქსელ უმშვაიგმა რობერტ ზივერტი რესტორანში მიიპატიჟეს. აქ ყველაფერი ლამაზად მოერთოთ. სცენიდან ნაზი მელოდიები ილვრებოდა. დარბაზი გაჭედილიყო. მამაკაცები სმოკინგებსა და შავ კოსტიუმებში გამოწყობილიყვნენ, ქალები საგანგებოდ მორთულიყვნენ. ზივერტი აქ ხმელეთზე ამოგდებული თევზივით გრძნობდა თავს. ბანაკში ყოფნამ გააუხეშა, მეტისმეტად ბევრი სიკვდილი ნახა, თვით მასშიც ხშირად კლავდნენ ადამიანს. ვერ მოისვენა და წასვლა მოინდომა. ესტრადაზე მდგარი დირიჟორის მითითებით დარბაზში მუსიკა ძლივგასაგონ მელოდიად დაიღვარა, მერე ტონი შეიცვალა, თანდათან გაძლიერდა და ბუხენვალდის მქუხარე სიმღერად აგუგუნდა.

დარბაზი გაისუსა. რა იყო ეს? დამსწრენი გრძნობდნენ, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა.

დირიჟორი ერთბაშად სცენის კიდეს მოადგა:

— ქალბატონებო და ბატონებო! მუსიკამ, ალბათ, გაგაოცათ. თქვენ ეს-ესაა მოისმინეთ ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეთა სიმღერა. ვერ შევძელი, არ შემესრულებინა. ბოდიშს ვიხდი. დარბაზში იმყოფება ადამიანი, ვისი წყალობითაც ამჟამად ცოცხალი ვარ! — ლეოპოლდი სცენიდან გადმოხტა, რობერტ ზივერტს მიეჭრა და ყელზე გადაეჭდო.

დარბაზში ჩურჩული გაისმა, ჩურჩული ტაშისცემად იქცა, ნაცნობი თუ უცნობი რობერტ ზივერტს შემოეხვია და მხურვალე ოვაცია გაუმართა. იდგა გულშეძრული, უამრავი მეგობრის სიკვდილის შემსწრე ადამიანი და თვალთაგან ცრემლი მოჟონავდა.

გერმანულიდან თარგმნა
**ოთარ ხუციშვილმა.**

**ანატოლი რასი**

# ლ ე ქ ც ი ა

„სამრეწვსახლმშენის“ კლუბში ლექციაზე თავის დროზე მივიდა საზოგადოება „საჭირო ცოდნის“ ახალგაზრდა და გამოუცდელი ლექტორი გლუბოკოვი.

— ძალიან კარგი, რომ მოხვედით, — ჩვეული ღიმილით შეეგება კლუბის თანამშრომელი გლუბოკოვს. — ჯერ ჩემს კაბინეტში მობრძანდით, ჩემი სახელია ანა პავლეს ასული, განმანათლებელი სექტორის გამგე გახლავართ.

— გლუბოკოვი! — წარუდგა ლექტორი.

— აბა, როგორ მოგწონთ ჩემი კაბინეტი? — ჰკითხა ანა პავლეს ასულმა და ფართოდ გაუღო კარი.

— სიმპათიურია! სად ჩავატარებთ ლექციას?

— იცით, დარბაზი დაკავებულია ქორწილისათვის.

— როგორ თუ ქორწილისათვის? — აღმოხდა გლუბოკოვს.

— უალკოჰოლო ქორწილისათვის, — უყოყმანოდ მიუგო ანა პავლეს ასულმა, — გაიგეთ?

— კი, ხდება ხოლმე, — ღრმად ამოისუნთქა გლუბოკოვმა.

— ნუ ინერვიულებთ. ლექციას ჩემს კაბინეტში ჩაატარებთ. მე ვფიქრობ, მსურველებს ადგილი ეყოფათ და მორჩებათ კიდეც...

ანა პავლეს ასულმა ლექტორს საგზური გამოართვა და ზედ რაღაც წააწერა, შემდეგ ხელმოწერა ბეჭდით დაადასტურა.

— მე გავიქცევი ახლა, — თქვა მან და გლუბოკოვს საგზური დაუბრუნა. — თქვენ კი აქ მოხერხებულად მოეწყვეთ. ხალხი, ალბათ, მალე შეიკრიბება.

— თქვენ რა, არ დარჩებით? — გულწრფელად გაიკვირვა გლუბოკომა.

— მაპატიეთ... ჩემს სიცოცხლეში საკმაოდ ბევრი ლექცია მომისმენია, ამასთანავე საქმეებიცა მაქვს.

— ერთი წუთით. საგზურში, ეს რა ჩაგიწერიათ: „ლექცია წაკითხულია ძალიან საინტერესოდ, საგნის ღრმა ცოდნით. დასმული იყო მრავალი შეკითხვა, მათ შორის: „როდის გავიმარჯვებთ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში?“ და „შეიძლება თუ არა ავიცილოთ მეორე ინფარქტი?“ ანა პავლოვნა, მაპატიეთ, მაგრამ მე ასე არ შემიძლია!..

— რატომ? მე თქვენ გენდობით. ნახვამდის!

— ერთი წუთით, ერთი წუთით! ეს კიდევ რაღაა: „ლექციას დაესწრო 522 კაცი“, თქვენს კაბინეტში კი ოც კაცსაც ვერ დასვამ! ისიც მაშინ, თავზე თუ დაასხდებიან ერთმანეთს!

— ის ოცი სხვა ოცს უამბობს თქვენი ლექციის შინაარსს, ისინი კი სხვებს და როგორ გგონიათ, არ გამოვა 522?

— თქვენ ჩემი თემის სათაური მაინც თუ იცით? — განწირული ხმით წამოიყვირა გლუბოკოვმა.

— არა, რატომღაც ვერ მოვასწარი, საგზურში ჩამეხედა, — ზღურბლზე შედგა ანა პავლეს ასული.

— ჩემი ლექციის თემაა — „თვალისახვევისა და მიწერების პასუხისმგებლობის ღონისძიებები“.

— მერედა, რატომ ადრე არა თქვით?! — გულხელი დაიკრიფა ანა პავლეს ასულმა, — თუ ასეა, რა თქმა უნდა, დავრჩები. მაშ, ასე, ლექციას წაიკითხავთ სუფთა ჰაერზე, კლუბის წინ. მე კი დავითვლი გამვლელებს 522-მდე. შეკითხვებს ლოთობისა და მეორე ინფარქტის აცილების შესახებ მე თვითონ დაგისვამთ.

თარგმნა **ნუნუ ქუპრეიშვილმა.**

**ნანა კანდელაკი**




ფელეტონი

ჰობი!.. ჰობი!..

ჰობი ხომ გატაცებაა რამეთი ძირითადი პროფესიის გარდა. ეს არ გახლავთ ახალი სიტყვა, იმიტომ რომ ადამიანი დასაბამიდან მუდამ იყო რაღაცით გატაცებული.

დიახ, ზოგი გატაცებულია მეთევზეობით, ნადირობით, მინიატურული წიგნებისა და მარკების შეგროვებით, ზოგი აგროვებს წიგნებს ავტოგრაფებით, ზოგი უწარწერო წიგნებს აწყობს ლამაზ კარადაში. მაგრამ მხოლოდ მოვარაყებულ ყდაში ჩასმულს. ზოგი ფერწერულ ტილოებს უყრის თავს და ტკბება მათი ხილვით. ფირფიტებსაც ელოლიავება ზოგიერთი და, ასე წარმოიდგინეთ, ცივსა და ცეცხლმსროლელ იარაღსაც. საშიშიაო, აფრთხილებენ, მაგრამ ვინ გისმენს!

საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის კანონის აღმომჩენი დიმიტრი მენდელეევი ჩემოდნებს აკეთებდა და დიდ სიამოვნებას გვრიდა მათი მიძღვნა ნაცნობმეგობრებისათვის. მიხეილ ლერმონტოვს უყვარდა ხატვა. მეტალურგი და მათემატიკოსი — გიორგი ნიკოლაძე, გატაცებული იყო ალპინიზმით, შვეციის მეფე ქარგვის ოსტატი გახლდათ. ბევრიც ხისგან საოჯახო ნივთებს თლის. ახალი ჯიშის ხეხილი გამოჰყავს.

ერთი სიტყვით, ადამიანს გასართობად უამრავი ხასიათის რაღაც აქვს მიგნებული.

ჰოდა, ძალიან კარგი, ამაში არაფერია ცუდი.

ცუდი ისაა, რომ ბოლო დროს ამ ჰობს ამოფარებულმა ადამიანებმა, სხვადასხვა, ასე ვთქვათ, გატაცება, შემოსავლის წყაროდ გადააქციეს, როგორც იტყვიან, ეშმაკს ზურგი შეაქციეს და, ტორტის გამოცხობა თუმანი რომ უჯდება, ოთხმოც მანეთად ყიდის.

სახელმწიფომ განურჩევლად ყველას უფასო განათლება მისცა. მაგრამ სცადეთ და რეპეტიტორთან მიიყვანეთ შვილი ცოდნის გასაღრმავებლად, შინ სკამს არ დაგიტოვებენ, უკანასკნელ ხალათს გაგაყიდვინებენ, იმათ ვალში რომ არ დარჩე და, რაც მთავარია, იმ ტორტს შეექცევი მაინც გემრიელად, რეპეტიტორთან მამასისხლად მომზადებული ბავშვი კი ჩააბარებს თუ არა გამოცდებს უმაღლესში, ღმერთმა არ იცის.

კოსმეტოლოგებიც მოგვიმრავლდა ქალაქსა თუ სოფელში, ესეც სარფიანი ჰობია, უცხო ენის მასწავლებლებს ხომ ნუღარ იტყვით, სოკოსავითაა ყველა სახლში შესეული. გაჩნდა სპეციალური საბავშვო ბაღები, სკოლები...

პარდონ, ჩემო ბატონო, თურმე ესეც ჰობია...

რაც შეეხება მკითხაობას... შემოსავლის ამ სახემ, ნამდვილი რეკორდი დაამყარა, რეკორდი ფართო მიკრო-რეგიონის და აბსოლუტური განუკითხაობისა.

ასე წარმოიდგინეთ, ისეთი პოპულარობა მიიღო მკითხაობამ, რომ ზოგი პაემანზე რომ მიდის, ამინდის პროგნოზს აღარ ენდობა და მკითხავ-გულთმისანს ეკითხება, დარი იქნება, თუ ავდარიო. გასაგებია, შესაბამისად რომ შეიმოსოს და ქოლგა ბარგად არ ატაროს.

მკითხაობენ კარტზე, ხელისგულის ხაზებზე, დამწვარ ქაღალდზე (აუცილებებლად უმაღლესი ხარისხისა უნდა იყოს, ლამაზად იწვისო!), მაგრამ ყველაზე გავრცელებული ფორმა მკითხაობისა, მაინც მაგრად მოხარშული ყავა გახლავთ. აქ სულ უბრალო სერვისია: პატარა ჭიქა, პატარა ლამბაქი, მკითხავის გრძელი ენა და დოყლაპია ბედისწერის მაძიებელი.

**შედეგი?**

თავად განსაზღვრეთ მომდევნო ტექსტიდან:

— აკიაფდა შენი ბედის ვარსკვლავი, გოგონი...

— გავთხოვდები?

— გათხოვდები, წყალი არ გაუვა ჩემს ნათქვამს, თუ...

— რა, თუ?

— თუ გულბნელის ხელმა არ შეგიშალა...

— ვაი...

— არხეინად იყავი, შენს გზას ნათელი დასცქერის. ვერ გაბედავს ტარტაროზი გზის გადაჭრას.

ხუთი მანეთი რაა, თუმანიც არ ენანება გოგოს, ტრანსპორტის ფულსაც არ იტოვებს და გახარებული ასკინკილათი გარბის შინ.

**ან კიდევ:**

— ვეე: მოხვედი ისევ?

— მოვედი, მიმოზა.

— კიდევ დაწინაურება გინდა, ბატონო ჩემო?

— თვითონ ბატონო, ახლა აგარაკმა შემაწუხა. დახედე ხაზებს, მირჩიე რაღაც, მიმოზა.

— ვეე, აგარაკი ხომ გაუფორმე სიდედრს?

— კიდევ გაჩნდა, ახლა ზღვის პირას!

— მაიტა ხელი. ვნახოთ, რას გვირჩევს ხაზი, ხელის გულის ხაზი...

დასცქერის კაცის მსუქან ხელის გულს მიმოზა და რატომღაც საგონებელში მყოფი კაცივით ისიც ოხრავს, მერე კი უცებ ეღიმება და გალაღებული ამბობს:

— მძახლის სახელზე გააფორმეო.. აი, ზუსტად ამას ნიშნავს ეს პატარა ხაზი.

— რომელ მძახალს — ქალს, თუ კაცს?

— ოი, საოცრებავ! სკოლაში არ გისწავლია რუსთაველის სიტყვები, რომ ლეკვი ლომისა სწორეაო? რომელიც უფრო გაგეხარდება, იმას გაუფორმე, ჩაო!

—აგაშენა ღმერთმა, მიმოზა, კაი ქალი ხარ... როგორ დამამშვიდე, — ამბობს კაცი და ხუთთუმნიანს მოწიწებით უდებს ლანგარზე.

**ხდება ასეც:**

— გამოცდებისათვის ემზადები, ლამაზო? ბარაქალა!

— ვემზადები, მაშა.

— ჰოდა ჩააბარებ, გადაჭრი მდინარეს.

— სად შევიტანო საბუთები? ზუსტად მითხარი, ზუსტად.

— მოიცა მოიცა, რომელ გამოცდებზე ლაპარაკობ, უმაღლესში შარშან არ ჩავაბარეთ? აქაც სასესიო გამოცდები ჩანს. რატომ მაბნევ? გამოცდა გინდა ჩემი? ეე, ვარდუას ეგრე ვერ გამოიჭერ. ჩემს წინ, ყავას ვენაცვალე, ნაღდი სურათია შენი ცხოვრებისა.

— იი, ვილაცაში გერევი, ვარდუა. აბა, როდის მოვეწყე შარშან. ჩავიჭერი. უფრო სწორად, ჩამჭრეს. ისეთი ბილეთი შემხვდა... — გოგოს ცრემლი ერევა, ზლუქუნებს.

— გითხრა სიმართლე?

— თქვი.

— ჩაიჭერი იმიტომ, რომ ჩემთან იძუნწე. ხომ იძუნწე?

— მეტი არა მქონდა, ვარდო. თორემ ხომ იცი, შენთვის სულიც არ მენანება.

— კიდევ კარგი, მაგ იმედითა ვარ ამქვეყნად, მაგრამ იმაზე აღარ ფიქრობთ, დალოცვილებო, რომ ვარდუასაც ხარჯი აქვს? ესაო სანთელიო, ისაო — ყავაო...

— მაპატიე, ვარდო. ოღონდაც მოვეწყო და სიტყვას გაძლევ, სტიპენდიას ხელფასივით ჩაგაბარებ ერთი წელი. დაგიფიცო?

— გენდობი... წადი, იმეცადინე, აი ყავაც შენს მხარეზეა. წელს სტუდენტი გახდები, წადი ახლა... — ცდილობს თავის დაძვრენას ვარდოდ წოდებული მკითხავი და სულ პირშავად რომ არ გამოჩნდეს აფორიაქებულ გოგოსთან, ამთქნარებს, იზმორება, აქაოდა, კმარაო, გადავიღალეო, დამეხსენიო.

გოგოც მიდის, ფულს ტოვებს.

რატომ აკეთებს ამას?

მოდაო, ყველას რაღაც ჰობი აქვს და ჩემი ჰობი ესააო, მკითხავთან სირბილი, რომ მერე თავი მოიწონოს ტოლებში, სადაც თქვენ, მეც იქაო.

ჰობი!.. ერთნი ამ ჰობის გამო ნემსის ყუნწში ძვრებიან. მეორენი — ჰობის ზურგს ამოფარებულნი მდიდრდებიან, არაფერს იკლებენ, კაი ცხოვრება და ჭამა-სმა დიდად შესარგი აქვთ. სახლი აქ, აგარაკი აქა-იქ, საზოგადო ტრანსპორტი დიდი ხანია, მივიწყებულია. საკუთარი მანქანებით დაგრიალებენ ისინიცა და მათი მთამომავლებიც, ფული ჩენჩივით აქვთ და ექნებათ კიდეც, სანამ მათ შემოსავალს ნამდვილ სახელს არ დავარქმევთ და დოყლაპიებსაც არ ვეტყვით, რომ შეჩერდნენ, გაუფრთხილდნენ შრომით მოპოვებულ კაპიკებს, მანეთებს.

ჰობი კი ისევ იყოს, როგორც დასაბამიდან იყო — ადამიანებისთვის სიამოვნების მომტანი, რომელიც ავსებინებდა (ახლაც ასე უნდა იყოს!) თავისუფალ დროს საყვარელი, სასურველი, კეთილი და სუფთა საქმით.

მაშ, გაუმარჯოს ჰობს სუფთა საქმით და... სუფთა ხელებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაზეპ იაუნზემი

# დაკარგული ნიჭი

ჰუმორესკა

ჩემი აზრით, უნიჭო ადამიანი საერთოდ არ არსებობს. ბუნებას ყველანი რაღაცით დავუჯილდოებივართ. უბედურება მხოლოდ ის გახლავთ, რომ თვითონ არ ვიცით, ანდა ვერ ვხვდებით, რისი ნიჭი გვაქვს.

ზოგი მთელი თავისი დღე და მოსწრება ლაქლაქს უნდება, მხოლოდ გვიან ხვდება, რომ ყველაფერზე უკეთ დუმილი შეხძლებია. სხვები ამაოდ იშრიტებიან რბილ სავარძლებში, მაგრამ როგორც კი თოხს დაიჭერენ ხელში, უმალ ხვდებიან, რისი ნიჭიც ჰქონიათ.

მაგალითად მე... სამოცი წელი გავატარე უკვე. ბუღალტრად ვმუშაობდი და ტიტა მომყავდა. ამ ყვავილით აგარაკი ავიშენე და სულ ვერ ვხვდებოდი, თუ რა დიდი ნიჭი იმალებოდა ჩემში.

— მომისმინე, მეზობელო! — ერთ მშვენიერ დღეს შემომეხმიანა მწერალ პაგაილის ქვრივი, — თქვენ ხომ მთელი ოცდაათი წელი ჩემი პეტერის გვერდით გაატარეთ.

— დიახ, მქონდა ეგ ბედნიერება... მარტო ღობე გვყოფდა, — დავუდასტურე. — მერე კი თხრილი, მაგრამ ღრმა არ იყო იგი...

— რა თქმა უნდა, არ იყო, — ქვრივმა მაშინვე კვერი დამიკრა. — პეტერის საყვარელი ლივიანასიც ხომ სულიერი მამა ბრძანდებოდით.

— მქონდა ეგ ბედნიერებაც! — მორცხვად ჩავილუღლუღე, — ყველაზე მეტად იმაზე უნდა მეზრუნა!

— დიახ, დიახ, თვითონ პეტერსაც როგორ ამარაგებდით, ყოველდღე მინერალურ წყალს რომ უზიდავდით მაღაზიიდან.

— დიახ, ეგ ბედნიერებაც მქონდა! ვეზიდებოდი ბოთლებს, — თავი დავუკანტურე.

— აი, ხედავთ, რა შესანიშნავი მეხსიერება გქონიათ! — პაგაილის ქვრივმა შემაქო, — ალბათ ისიც კარგად გახსოვთ, რა როლი მიმიძღვის პეტერის ცხოვრებაში! გაიხსენეთ, ზოგჯერ რა წვალებით დავსვამდი ხოლმე საწერად.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს. ერთხელ და ორჯერ ხომ არ შევსწრებივარ მაგ ამბავს.

— ყური მიგდეთ, რა უნდა გთხოვოთ, — ოცნებანარევი მოგონებიდან პირდაპირ საქმეზე გადავიდა პაგაილის ქვრივი, — ჩემს მეუღლეს დაბადების სამოცი წელი უსრულდება. მინდა, რომ თქვენ დაწეროთ მოგონება.

გულახდილად გამოვუტყდებით, რომ ყველაფერს მოველოდი ამ გადარეული დედაკაცისაგან (ჩვენში დარჩეს და პაგაილის სულთამხუთავისაგან), ასეთ თხოვნას კი არა.

— კალამი არასოდეს ამიღია ხელში, — პატიოსნად გამოვუტყდი,— ბარი და თოხი კი, გიყვარდეთ! ორმოს ამოთხრა თუ გნებავთ, სიამოვნებით, ოღონდ, ადგილი მაჩვენეთ! მაგრამ რაც არ შემიძლია, ვერ გავაკეთებ...

— სისულელეა! — შემაწყვეტინა მეზობელმა, — პატარა ცდაა საჭირო. სანაძლეოს დავდებ, რომ გამოგივათ! შუბლზე გეტყობათ, მწერლად ხართ დაბადებული.

— მაპატიეთ, — მე მაინც გავჯიუტდი, — ერთი უბრალო მკითხველი გახლავართ! რა თქმა უნდა, პეტერის ყველა ნაჩუქარ წიგნს თვალისჩინივით ვუფრთხილდები, კარადაში მაქვს ჩაკეტილი. მაგრამ მე რისი დაწერა შემიძლია? რა გამეგება მხატვრული ნაწარმოებისა, მისი კომპოზიციის ან სიუჟეტისა? ამით ხომ კრიტიკოსები იცხობენ პურს.

— აჰ, ჩემო კეთილო მეზობელო, — ქვრივს სლუკუნი აუვარდა, — დამიჯერებთ თუ არა, ეს ოფიციალური მოგონებები ყელში ამომივიდა უკვე! პეტერის შემოქმედებაზე /გამართულმა წყალწყალა დისკუსიებმაც ხომ ტვინი წაიღო. გთხოვთ, რაიმე უბრალო დაწეროთ, წინ წამოსწიოთ მისი ადამიანური თვისებები. თქვით ის, რაც სხვის თვალსა და ყურს გამოჰპარვია. ოღონდ ლირიკული და ამაღელვებელი.

პაგაილის ქვრივი რომ წავიდა, თავი გულდასმით შევათვალიერე სარკეში. თუმცა არ შემიმჩნევია, რომ შუბლზე მწერებოდეს, თითქოს მწერლად ვიყო დაბადებული, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, მოგონებებით მეჭყლიტა ტვინი.

მთელ სამ დღეს ვიჯექ საწერ მაგიდასთან. წელმაც კი დამიწყო ტკივილი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! კალამი არ გაეკარა ქაღალდს. ის იყო, წერისათვის თავი უნდა დამენებებინა და ისევ ტიტებს მივბრუნებოდი, რომ უცებ გამახსენდა, ჩემ მეზობელს, რომანების წერისას, ცოტა თავის მოფხანა უყვარდა, ან, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, შთაგონების შელიტინება.

მეც ამ ხერხს მივმართე და იცით, საქმე დაიძრა! შთაგონების იმ წამლისა და ქაღალდისათვის ორჯერ გავიქეცი მაღაზიაში.

უცებ იმდენი რამ ამოტივტივდა მეხსიერებიდან, რომ თვითონვე გამიკვირდა!

გამახსენდა, რომ ჩვენს ნაკვეთებს შორის სწორედ ამ უკეთურმა (პაგაილი პირს უკან ამ სიტყვით ამკობდა ხოლმე თავის კანონიერ მეუღლეს) გააკეთებინა თხრილი, რომ მე, ვილაც ბუღალტერს, ზედმეტად არ შემეწუხებინა მწერალი.

ისიც გამახსენდა, რომ სანამ პაგაილს შინ მივუტანდი ლუდს, მანამ მინერალურ ბოთლებში უნდა გადამესხა.

დაწვრილებით აღვწერე ჩემი დამოკიდებულება მწერლის საყვარელ ლივიანასთან (გულახდილად რომ გითხრათ, საყვარელი თვითონ ქვრივმა შეარქვა, პეტერს კი ის მჩხავანა, ჭირივით ეჯავრებოდა და მისი შვილების დახრჩობისათვის კარგადაც მასაჩუქრებდა ხოლმე).

ისიც აღვნიშნე, თუ რა წვლილი მიუძღვის ამ უკეთურს პეტერის ცხოვრებაში და დავამტკიცე, რომ იგი მართლაც ძალით დასვამდა ხოლმე ანგარიშის დასაწერად, როცა თვითონ კარტს ეთამაშებოდა დობილებს.

ერთი სიტყვით, მთელი რომანი დავწერე. ხელები სულ დამიბუჟდა. ამდენხანს კრამიტი რომ მეკეთებინა (ვბრაზობდი საკუთარ თავზე), მთელ სახლს გადავხურავდი. ახლა კი რა, ამაოდ დავშვრი! ისეთი უფერული ჩანდა, ქვრივს ნამდვილად არ მოეწონებოდა.

თუმცა არა! პაგაილის ცოლმა წაიკითხა თუ არა ჩემი მოგონება, კინაღამ გადაირია.

— ამას ვინ მოიფიქრებდა! — წამოიძახა აღელვებულმა. — თქვენ წერთ, თითქოს ჩემი ქმარი ლუდს სვამდა! რამე ხომ არ გეშლებათ?

— სულაც არა! — დავუფიცე — ასეთი ახირებაც სჭირდა, ლუდს ჭიქით კი არა, ბოთლით სვამდა. ამიტომ იყო, რომ ვიყიდდი თუ არა, მაშინვე მინერალური წყლის ბოთლებში გადავასხამდი ხოლმე და ისე მივართმევდი.

— აჰ, ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა ახრჩობდით ლივიანას შვილებს? მე კი მეგონა, დასთან მიგყავდათ სოფელში, — ხმაზე ეტყობოდა, რომ ამ ამბავმა უფრო ძალიან დაამწუხრა ქვრივი.

— არც ეგ ბედნიერება მაკლდა: ვახრჩობდი! ეს თხოვნა რომ არ შემესრულებინა, პეტერი იმუქრებოდა, თვითონ ჩამოვიხრჩობო თავს.

— საინტერესოა, — ქვრივმა ნაღვლიანად გააქნია თავი, — გამოდის, რომ ჩემი პეტიკო ცუდად მიცნია?

— ასე გამოდის, — მხრები ავიჩეჩე, — მაგრამ მაგაზე ნუ შეწუხდებით. სულ არ გამიჭირდება, ხელახლა გაგაცნოთ იგი. კიდევ ბევრი რამის გახსენება შემიძლია.

— გმადლობთ, ამაზეც გმადლობთ.

ქვრივმა ათი მანეთი მომცა (ჰონორარი გახლავთო, მითხრა) და ზედაც ერთი დიდი ბოთლი რიგის ბალზამი მოაყოლა. მერე ხელნაწერი ჩამომართვა და წასვლისას დასძინა: — ოღონდ ძალიან გთხოვთ, ამ მოგონებას სხვებს ნუ გაუზიარებთ. ახლა, როგორც ხედავთ, ამის გამოქვეყნების უფლება მე მოვიპოვე.

— რას ვიზამ, რაკი ეგ არ შეიძლება... სხვას მოვიფიქრებ.

მოგონებების წერამ სწორედ რომ გამიტაცა. მას შემდეგ კი, რაც პირველი ჰონორარი მივიღე, ძილი გამიკრთა. ყოველდღე სულ ახალ-ახალი რაღაცის დაწერა მინდოდა.

მეორე დღეს, ქვრივის ნაჩუქარი ბალზამი რომ გამოვცალე, ორი მოგონება კიდევ დავწერე: „პაგაილი მიდის მეზობელ რესპუბლიკაში" და „პაგაილის ჰობი".

პირველ მოგონებაში სენსაცია მოვახდინე. რა თქმა უნდა, პაგაილი მეზობელ რესპუბლიკაში სულაც არ წასულა! შემოქმედებითი მივლინება აიღო თუ არა, ჩემთან დაიმალა, ბიბლიოთეკიდან წიგნები გამოიტანა, ჩაუჯდა, გადაამუშავა და მოგზაურობის შთაბეჭდილებები გაამანშალა. მეორე მოგონებაშიც ამაღელვებლად და დიდი ტაქტის გრძნობით გამოვამზეურე ისეთი ფაქტები, რაც ჩემ გარდა სხვამ არავინ იცოდა. ამ ნაწარმოებს, ჩემი აზრით, ლიტერატურული პრეტენზია გააჩნდა. ვწერდი, რომ პაგაილს მწერლობაზე მეტად მებოცვრეობა იზიდავდა-მეთქი. ამ საქმიანობას უფრო დიდ დროს ანდომებდა და კარგი შემოსავალიც ჰქონდა. სახლი ბოცვრის ტყავით აიშენა.

ამ მოგონებებმა კიდევ უფრო ალაფრთოვანა ქვრივი. ლირიკულმა ადგილებმა და განსაკუთრებით იმის გაგებამ, თუ რა როლს თამაშობდა მებოცვრეობა პაგაილის ცხოვრებაში, მთლად აუჩვილა გული.

— ვინ იფიქრებდა, თუ ასეთი ნიჭი აღმოგაჩნდებოდათ და თანაც ასე მშვენიერ მოგონებებს დაწერდით!

— სულ ეს არ გახლავთ! — გამოვუტყდი. — ახლა ის მინდა, მკითხველს მოვუთხრო, მწერალი თავის მეგობრებზე და თქვენს დობილებზე რას ამბობდა.

— იქნებ არ იყოს საჭირო... მის მოსაგონებლად ისედაც ბევრი გააკეთეთ. თავს ნუკი გადაიღლით!

— არა უშავს, — მივუგე. — ჯანმრთელობას არ ვუჩივი.

— ან იმ მეგობრებზე რა უნდა თქვათ ისეთი, — არ ვიცი, რად უნდოდა, გადაეთქმევინებინა, — ფართო მკითხველს ვერ მიიზიდავთ ამით, ვერ დააინტერესებთ.

— როგორ ვერ დავაინტერესებ!— წამოვიძახე, — განსვენებულმა იცით რა თქვა მწერალ კუოცინზე?

— აბა?

— კუოცინი ლიტერატურის მინავლებული კოცონიაო. მის ცოლს კი, თქვენს საუკეთესო დობილს, ქერა თხას ეძახოდა.

— რას მელაპარაკებით!

— დიახ, დიახ! განა ეს საინტერესო ფაქტები არ არის? მე მგონია, ეს წვნიანი ლიტერატურას გამოადგება.

— მართალი ბრძანდებით, დიახაც რომ წვნიანია! — ქვრივი დამეთანხმა. — აჰა, ინებეთ ოცდახუთი მანეთი ამ მოგონებებისა და კიდევ იმისათვის, რის დაწერასაც აპირებთ. დიდი მადლობელი გახლავართ!

— რა? მეტი აღარა გნებავთ? — მეწყინა. — მე კიდევ რაღაცის დაწერა შემიძლია! არ გინდათ, აგიწეროთ, იანობას როგორ ჩავარდა მწერალი წუნწუხიან ორმოში?

— გმადლობთ! ეს კი სჯობია, არ დაწეროთ, — თავი გააქნია ქვრივმა.

— თუ წუნწუხიანი ორმო არ მოგწონთ, მაშინ იმას დაგიწერთ, მილიციამ როგორ დააკავა პაგაილი. ხომ გახსოვთ, კრიტიკოსი სმილქსტი რომ მიბეგვა?

— გმადლობთ! მე მგონია, ეგ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა



იქნება საინტერესო, — თქვა ქვრივმა და კარისკენ მანიშნა.

— იცით, მე მგონია, უკვე ისე მოვმწიფდი, რომ ლიტერატურაზე ანალიზური ნაშრომის დაწერაც შემიძლია. თუ გნებავთ, მკითხველს მოვუთხრობ პაგაილის ნაწარმოებების გმირთა პროტოტიპებზე, — გულკეთილი ქვრივისათვის მინდოდა კიდევ მესიამოვნებინა. — იცით, ვინ არის რომანში „წყალი ნავში" ის საშინელი ლოთი? მწერალი სტუოპინი გახლავთ!

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— ნამდვილად! თვითონ პეტერმა მითხრა. ის მაქინატორი და ქალების მუსუსი კი იმავე რომანში პოეტი ცუკურზირნიტაა.

— ახლა კი ცდებით!

— სულაც არა! უტყუარი ფაქტები მაქვს! ცუკურზირნიტი მხოლოდ სამჯერ განქორწინდა, ალიმენტს კი ხუთ ქალს უხდის. სხვათა შორის, მაგ ალიმენტებზე შეიძლება ცალკე მოგონებაც დავწერო. პეტერსაც ხომ არ სურდა პირველი ცოლისათვის ალიმენტის მიცემა, მის დეიდაშვილს კი რატომღაც სიამოვნებით უხდიდა...

— ეს ფაქტები მართლაც რომ საინტერესოა, — მოგონებებით გაფითრებულმა ქვრივმა თავისთვის ჩაილუღლუღა, — აუცილებლად დაწერეთ! ოღონდ ახლა არა... აი, პაგაილის ასი წლის იუბილეს რომ ვიზეიმებთ... ახლა რა საჭიროა... მაგის დრო ჯერ არ დამდგარა... იგი არც ისეთი სახელგანთქმულია ჯერჯერობით, ყველაფრის დაწერა რომ შეიძლებოდეს.

— მაგრამ ასი წლის იუბილეს ხომ შეიძლება არც შევესწრო! უკვე სამოცი წელი გადავაგორე!

— შეესწრებით! — დამაიმედა ქვრივმა, — შუბლზე გაწერიათ, რომ დიდხანს იცოცხლებთ!

...გამოჩენილ მწერალ პაგაილზე მოგონებების წერას ამით დავუსვი წერტილი. გასამრჯელოდ ოცდათხუთმეტი მანეთი, ერთი ბოთლი რიგის ბალზამი, ოთხი ბოთლი კენკრის ღვინო და ერთი დიდი ქილა კიტრის მწნილი მივიღე.

მინდოდა, ისევ ტიტების მოყვანას მივბრუნებოდი. თოხიც კი მოვძებნე, მაგრამ თვალწინ გამოჩენილი ნაცნობების ცხოვრების სურათები მიტრიალებდა და კალმისაკენ მიმიწევდა გული. ბოლოს გადავწყვიტე, თავი აღარ გამეწვალებინა. კაცს რაკი ნიჭი აღმომაჩნდა, ტიტები რაღა ჩემი საქმეა? მოგონებები უნდა ვწერო!

ვფიქრობდი, ვისზე დამეწერა. ბევრი ფიქრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პაგაილის გარდა ყველა ჩემი ნაცნობი მწერალი ჯერ კიდევ ცოცხალია. უბედურებაც ეს იყო! ცოცხლებზე მოგონებების წერა უხერხული ჩანდა. მინდოდა კი როგორ!..

ბოლოს გადავწყვიტე, პოეტ დუმენზე დამეწერა! იგი უკვე მოფამფალებული იყო და ხშირადაც ავადმყოფობდა. ვთქვი, მოგონებას ახლა დავწერ, გამოქვეყნებით კი მერე გამოვაქვეყნებ-მეთქი...

ამ ფიქრებით მივადექი დუმენს.

ჯერ მიღებაც არ სურდა. რა დროს ეგ არის, კაცი ლამის სიცოცხლეს გამოვესალმოო. ეტყობოდა, დამწყები ვეგონე. მაგრამ, როგორც კი გაიგო, რომ პაგაილზე მოგონებები მე დავწერე, ფეხზე წამოხტა. სწრაფად ჩაიკითხა ჩემი ნარკვევი და მთელი ხელნაწერი უთქმელად შეისყიდა (მოგონებაში ლირიკულად აღვწერე დუმენის დიდი მეგობრობა თავის ნათლულ ელვირასთან, რომელიც ღამღამობით პაგაილთან დაჰყავდა ხოლმე სტუმრად).

— ჩუ, ხმადაბლა ილაპარაკეთ, — მთხოვა დუმენმა, — ცოლმა არ შემოგვისწროს. იმ ნათლულის ნახვას მოისურვებს და მერე უყარე კაკალი...

— კი, ბატონო... შეიძლება კიდევ დავწერო თქვენზე?

— რატომაც არა. ოღონდ ბომიტთან ერთად მახსენეთ. თქვენ კარგად იცით, ის ჩემი საყვარელი მეგობარია. წერეთ ბომიტზე, რაც გნებავთ, ნუ შეზღუდავთ თქვენს მდიდარ ფანტაზიას. მე ნებას გაძლევთ... ოღონდ ჩემზე, ძალიან გთხოვთ, სიტყვა არ დაგცდეთ!

— შეჩერდით! — მეორე დილით ბომიტმა მოირბინა ჩემთან. — თქვენს დიდებულ ნიჭსა და ენერგიას ამაოდ ნუ დახარჯავთ! მაგის ღირსი არა ვარ მე! — ქოშინით იხვეწებოდა მწერალი, — აჰა, თქვენი კეთილი განზრახვისათვის ეს ჰონორარი აიღეთ და მომისმინეთ: სჯობია, პოეტ ქალ მაიპუწიტეზე დაწეროთ... მან უფრო დაიმსახურა ეს, დაუჯერეთ ჩემს ჭაღარას!

ახლა სულ მივატოვე ტიტების მოყვანა. მოგონებებს ვწერ. ოღონდ საოცარი ის გახლავთ, როგორც კი მწერლის ყურამდე მივა, რომ მასზე ვწერ მოგონებას, ჯერ, რა თქმა უნდა, გაუხარდება, მაგრამ შეიტყობს თუ არა, ვინცა ვარ, ხელს ჩამომართმევს, ავანსს გადამიხდის და მთხოვს, ჩემზე ჯერჯერობით ნურაფერს დაწერო და მაშინვე თავის კოლეგაზე მიმითითებს, პირველ რიგში იმაზე დაწერეო...

სწორედ ამიტომ ვერ ვახერხებ ბეჭდვას (ვინ იცის, იქნებ ამ ხელნაწერმაც ვერ იხილოს დღის სინათლე), მაგრამ ეს ამბავი ძალიანაც არ მადარდებს. ჩვენს შორის დარჩეს და მე ხომ წერის პროცესი მანიჭებს სიხარულს...

ლატვიურიდან თარგმნა
უშანგი სახლთხუციშვილმა.

ბარუნ აკოფოვი

# მოდით, გავიხსენოთ!

## ზუგდიდიდან სოხუმამდე

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადას ოცდაათი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი.

პირველ სპარტაკიადას წინ უძღოდა უდიდესი ესტაფეტა, რომელიც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში იღებდა სტარტს.

ფინიში უნდა შემდგარიყო მოსკოვში — სპარტაკიადის გახსნის დღეს, 5 აგვისტოს.

ერთ-ერთი მარშრუტი ერევნიდან იწყებოდა. იგი გაივლიდა თბილისს, გაემართებოდა როსტოვისკენ, უკან ჩამოიტოვებდა დონეცკს, ტულას და მოსკოვისკენ აიღებდა გეზს.

მე, როგორც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" სპეციალურ კორესპონდენტს, დავალებული მქონდა ერევნიდან დაძრულ სპორტსმენებს ვხლებოდი და რედაქციისათვის მასალები მიმეწოდებინა.

ვიდრე მოსკოვში ჩავიდოდით, ბევრი დაბრკოლება და ფათერაკი გადავლახეთ. მოგიყვებით ერთ ამბავს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა.

ზუგდიდში გულთბილად შეგვხვდნენ.

ის-ის იყო ზუგდიდიდან გავედით და ამინდიც შეიცვალა.

სოხუმამდე, სადაც ღამე უნდა გაგვეთია, კიდევ ორი ეტაპი გვრჩებოდა დასაძლევი — ცხენოსნებისა და ველოსიპედისტების.

პირველი ეტაპი, როგორც იქნა, გავლიეთ — წვიმაში გალუმპულმა ცხენოსნებმა ესტაფეტა აბაშაში დროულად ჩაიტანეს. ყველაფერი ახლა ველოსიპედისტებზე იყო დამოკიდებული.

ქარმა იძალა.

ცამ თანდათან უფრო მოიხსნა პირი. ჩამოიბურა. ცოტა კიდევ და კოკისპირულმა წვიმამ დასცხო.

მარშრუტის ხელმძღვანელებმა სწრაფად შეაფასეს შექმნილი მძიმე მდგომარეობა. ესტაფეტის მონაწილე ველოსიპედისტებს მათ ერთადერთი სწორი გზა — სოხუმამდე ავტობუსით მგზავრობა შესთავაზეს.

ავტობუსით! — განაწყენებულმა სპორტსმენებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს.

გაგონებაც არ სურდათ. ესტაფეტის სოხუმში დროულად ჩატანა, სხვა რომ არა, მათი სპორტული ღირსებისა და სახელის საქმე იყო.

ავდარი თავისას აკეთებდა.

წვიმამ უმატა. კუნაპეტ სიბნელეში გზა გუბურებით დაიტბორა. ხის ტოტებს ლაწა-ლუწი გაჰქონდათ.

— არის გამოსავალი!

ეს მოულოდნელი შეძახილი სწორედ რომ იმედისმომცემ ღაღადისად გაისმა.

გავხედეთ. ბრგე ავტოინსპექტორი წამოგვდგომოდა თავზე, — ველოსიპედისტთა კოლონაზე მომაგრებული მეთვალყურე.

— რა გამოსავალი?

— ჩვენებური! — მილიციელმა დოინჯი შემოირტყა, — მოტოციკლეტით გაგიძღვებით სოხუმამდე. გზასაც გაგინათებთ და საფრთხისგანაც დაგიცავთ... რას იტყვით?..

შუაღამე გადასული იყო, როცა აფხაზეთის დედაქალაქში ჩავედით. დილის შვიდ საათზე, ზუსტად გრაფიკის მიხედვით, ესტაფეტამ გზა სოჭისკენ განაგრძო.

გუშინდელ დღესავით მახსოვს: გამოიდარა. ზღვაზე ოქროსფრად ლივლივებდნენ მზის სხივები. ჩინურ პალმასთან მოძველებული „იჟი" იდგა. მოტოციკლეტის გვერდით ჩვენი მეგზური შემართულიყო და ხელის ქნევით გვილოცავდა გზას.

იცით ვინ გახლდათ ეს ავტოინპექტორი?

გიორგი სანაია — სპორტის ოსტატი ჭიდაობაში, სახელგანთქმული მეკარის გურამ სანაიას ღვიძლი ძმა.

## „თბილისო" — ტოკიოში

პრესის სახლში დავბინავდით. ეს კოხტა და კეთილმოწყობილი შენობა, რომელიც იაპონიის დედაქალაქის ცენტრში მდებარეობს, ოლიმპიადის დღეებში ჟურნალისტებს დაგვითმეს.

მოშიებულები ვიყავით. ვიკითხეთ და გვითხრეს: პრესის სახლში კაფეც არის, ბარიც და რესტორანიცო.

რესტორანში ვახშმობა ვარჩიეთ.

გვიანი საღამო იყო. ვრცელ დარბაზში აქა-იქლა შემორჩენილიყვნენ მეინახენი. ალბათ ამიტომაც იყო, როგორც კი შევაღეთ კარი, მაშინვე მოგვაქციეს ყურადღება.

ჩვენდა გასაოცრად, დარბაზში მოულოდნელად „მოსკოვური საღამოების" ნაცნობი მელოდია ახმიანდა.

ცხადია, ჩვენთვის უკრავდნენ.

გავედით. დარბაზის კუთხეში ესტრადა იყო მოწყობილი. ბევრნი არ იყვნენ. რამდენიმე დამკვრელიდან ყველაზე მეტად პაინც თხელ-თხელი პიანისტი გამოირჩეოდა.

ვირტუოზულად უკრავდა. ორიოდე აკორდმა მაშინვე დაგვარწმუნა მის ნიჭსა და დახვეწილ პროფესიონალობაში.

„მოსკოვური საღამოები" რამდენჯერმე გაიმეორეს.

ნომერში რომ ავბრუნდით, პიანისტისთვის რამდენიმე სუვენირი შევარჩიე — სვანური ქუდი და გრამფირფიტა „სიმღერები თბილისზე".

აღარ დამიხანებია, ჩავბრუნდი რესტორანში, მივედი ესტრადასთან და ფეხზე წამომდგარ ტაკასის სუვენირები გავუწოდე.

იშვიათად მინახავს ასეთი გაბრწყინებული თვალები.

პიანისტი მომიახლოვდა, მადლობის ნიშნად მდაბლად დამიკრა თავი და მეგობრულად გამიღიმა.

პრესის სახლის რესტორანს, აღარ მახსოვს, მესამე თუ მეოთხე დღეს ვეწვიეთ.

სადილობის დრო იყო. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. იქით, სამზარეულოში გასასვლელის კუთხეში, ერთადერთი ცარიელი მაგიდა შევნიშნეთ. მივედით და ის-ის იყო დავსხედით, რომ ესტრადაზე რევაზ ლაღიძის „თბილისო" დასცხეს.

გავხედე:

ტაკასი ძველი ნაცნობივით მიღიმოდა.

„თბილისო" რამდენჯერმე დაუკრეს. როცა ავდექით და წამოსვლა დავაპირეთ — მაშინაც „თბილისო" აჟღერდა.

ასე იყო ყოველთვის, ვიდრე ტოკიოში ვიყავით.

ისიც უნდა დავძინო: „თბილისოს" მელოდიაზე ღიღინ-ღიღინით ცეკვავდნენ მაგიდებიდან წამოშლილი წყვილები.

## გაზეთი ვერ მოიცდის

ალბათ გახსოვთ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა ამაღელვებელი მატჩი მიუნხენის ოლიმპიადაზე. [illegible] ის მოულოდნელი და [illegible] ბურთის ტყორცნაც გახსოვთ, [illegible] რომელმაც ჩვენი გუნდი თამაშის [illegible] წამს ოლიმპიადის ჩემპიონი გახადა.

ბელოვის ტყორცნამ დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. კამათი კულისებშიც არ წყდებოდა. ამერიკელები დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, როცა საბჭოთა კალათბურთელის ნატყორცნი ბურთი კალათში ჩაეშვა, მატჩის დრო უკვე ამოწურული იყოო.

დაიწერა პროტესტი. საჩივრის განსახილველად სასელდახელოდ შეიკრიბა საapelაციო ჟიური, რომლის შემადგენლობაში კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მდივანიც შედიოდა.

უკვე გვიანი იყო. მატჩი ღამის პირველ საათზე დამთავრდა. ორმოციოდე წუთი სპორტულ დარბაზში გამართულ კამათს დასჭირდა. ჟიურის წევრების შეკრებამაც, ცხადია, დრო წაიღო.

ცეცხლი მეკიდა.

დილის ექვს საათზე მოსკოვს უნდა დავკავშირებოდი. დათქმული გვქონდა: გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" სტენოგრაფისტებისათვის, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, დაწვრილებით გადამეცა შეხვედრის მსვლელობის ანგარიში.

მიდი და გადაეცი.

მასალის დაწერასაც ხომ დრო უნდოდა?!

ღამის სამი საათი სრულდებოდა, როცა ჩვენი გუნდის წარმომადგენელს შევხვდი. „ფიბა"-ს ვიცე-პრეზიდენტი ნიკოლოზ სემაშკო აღელვებული ჩანდა.

— გავხდებით ოლიმპიადის ჩემპიონები?

— არ ვიცი, — ნიკოლოზ ვლადიმერის ძემ ბეჭები შეათამაშა, — ის კი ვიცი, სიმართლე ჩვენს მხარეზეა. ბელოვის ნატყორცნი ბურთი ნაღდი იყო...

ჩაიქნია ხელი და განაგრძო:

— ახლა რას აპირებთ?

— ჟიურის გადაწყვეტილებას ველარ დავუცდი.

— სწორეა. თქვენ კი არა, გაზეთი ვერ დაუცდის. წადით, დროს ნუ კარგავთ, სასტუმროში დაბრუნდით...

პრეს-ქალაქამდე, სადაც დაბინავებულები ვიყავით, რვა კილომეტრი იყო.

ქუჩაში ვიდექი. ვღელავდი. წამდაუწუმ დავცქეროდი საათს. მანქანის ჭაჭანება არ ჩანდა.

ის-ის იყო ფეხით წასვლა დავაპირე, რომ მოულოდნელად „მერსედესმა" ჩამიქროლა და მოშორებით დამუხრუჭდა.

მანქანის გამოღებული კარიდან ბიჭები მიქნევდნენ ხელს.

„პრესა" — ასეთი წარწერა ჰქონდა „მერსედესს", რომელიც ჟურნალისტებს ემსახურებოდა. უცხო კოლეგები პრესცენტრის მიერ გამოშვებული ჩემი საფირმო ჩანთით მიხვდნენ, რომ ჟურნალისტი ვიყავი.

რედაქციას მატჩის ანალიზი ზუსტად გრაფიკის მიხედვით გადავეცი.

ამერიკელთა პროტესტი ჟიურიმ უარყო. ეს ცნობა შუადღეზე მივიღეთ. საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა. სასიხარულო ცნობა მაშინვე დამატებით ვაცნობე გაზეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 80-ჯერ დაქორწინებული

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასამართლოს წინაშე წარსდგა ვინმე ჯოვანი მიგლიოტი, რომელსაც ყოფილი ცოლები ქონების გამოძალვას უჩიოდნენ.

როგორც დადგინდა, ჯოვანი მიგლიოტი სხვადასხვა მეთოდით ატყუებდა ცოლებს: ზოგს ემუქრებოდა, ზოგს შინიდან წასვლით აშინებდა, ზოგს კი უჩოქებდა, ხელებს უკოცნიდა, ტიროდა და ისე არწმუნებდა, რომ მათი ბედნიერებისათვის აუცილებელია უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვა.

აფერისტის მომხიბვლელი გარეგნობა, მოჩვენებითი სიმშვიდე და გაწაფული მჭევრმეტყველება თავისას აკეთებდა: ჯოვან მიგლიოტმა ერთ-ერთ ცოლს 36.000 დოლარი გამოსძალა, მეორეს 50.000 დოლარი დასტყუა, მესამეს 62.000 დოლარი დასცინცლა, მეოთხეს აგარაკი გააყიდვინა და ნახევარზე მეტი თანხა თვითონ წაიღო.

55 წლის ჯოვანი მიგლიოტი, როგორც სასამართლოზე დადგინდა, 80-ჯერ იყო დაქორწინებული.

## შეძლებს კი?..

ესპანელმა ბერნარდინო პამ მიკროფონთან 72 საათი იმღერა და ევროპის ჩემპიონის ტიტული დაიმსახურა.

მადა ჭამაში მოდისო: ახალგამომცხვარმა ევროპის ჩემპიონმა არც აცია, არც აცხელა და მსოფლიოს ჩემპიონად გახდომა მოიწადინა.

შეძლებს კი?

ვნახოთ: სიმღერის ხანგრძლივობაში ჯერჯერობით მსოფლიო რეკორსმენია ამერიკელი ბობი ანტონი, რომელმაც 1979 წელს მიკროფონთან 153 საათი იმღერა.

## გაჭირვებამ აიძულა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვინმე კეტრინა ვიკოფმა დააარსა ლეგალური საზოგადოება, რომლის დანიშნულებაა უშვილო ოჯახებისგან დაკვეთილი ბავშვების შობა.

ამ საქმისათვის საზოგადოება გულდასმით არჩევს, სამედიცინო შემოწმებაზე ატარებს და მხოლოდ ისე ქირაობს ახალგაზრდა ქალებს.

ვის არ ნახავთ კეტრინა ვიკოფის სამრეკლოში. ქერებს, შავგვრემნებს, მულატებს, ტანწერწეტებს, ოდნავ გამხდრებსა და ოდნავ ჩასუქებულებს... მომავალი დედების თვალთა ფერიც სხვადასხვაა.

დაკვეთით დაფეხმძიმებული ქალი მკაცრ კონტროლშია. ჩანასახის ნორმალური განვითარებისათვის იგი მოვალეა, გულდასმით დაიცვას და ზედმიწევნით ზუსტად შეასრულოს ყველა საჭირო სამედიცინო პირობა.

ბავშვის ფასი 15-18 ათასი დოლარია. ამ თანხის ნახევარი ეძლევა მოლოგინებულ ქალს, 3 ათასი დოლარი მიაქვს კეტრინა ვიკოფს, დანარჩენი ფული კი სამედიცინო მომსახურებასა და სხვადასხვა ხარჯს ხმარდება.

150 გამოკითხულმა ქალმა ერთხმად აღიარა, რომ ისინი გაჭირვებამ აიძულა დაქირავებული „დედები“ გამხდარიყვნენ.

## ვერ მოზომა

ინგლისის ყოფილი სილამაზის დედოფალი მიურიელ მაკ კალახი, რომელსაც ტანსაცმლის მაღაზია აქვს ლივერპულში, სასამართლოს წინაშე წარდგა. მას ქმრის მკვლელობაში ედებოდა ბრალი.

სასამართლოზე გამოირკვა, რომ მიურიელ მაკ კალახმა რვა ათას გირვანქა სტერლინგად დაიქირავა მკვლელი.

— ქმრის მოკვლა არ მინდოდა. ყოფილი „სილამაზის დედოფალი“ განა ასეთ საზიზღრობას ჩავიდენდი? — განაცხადა სასამართლოზე ბრალდებულმა. — ქმრის მიბეგვა მოვიწადინე. ჩემი დანაშაულია მხოლოდ ის, რომ ვერ მოვზომე...

## ყველაზე იოლი საშუალება

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელ 35 წელიწადში ათჯერ გაიზარდა ახალგაზრდების თვითმკვლელობის შემთხვევები.

მარტო გასულ წელს ამერიკაში 28 ათასმა ადამიანმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ჰარვარდის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორმა დუგლას ჯეკობსმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ბევრ თანამედროვე ამერიკელ ახალგაზრდას რთული პრობლემების გადაჭრის ყველაზე იოლ საშუალებად თვითმკვლელობა მიაჩნია.

## რა არ ხდება

ასეთი რამ იშვიათად ხდება: პოლიციელები კი არა, კონტრაბანდისტები დაესხნენ თავს პოლიციელებს.

მექსიკაში, სანჩეს ტაბოადეს მახლობლად, ის-ის იყო პოლიციელებმა მორიგი ოპერაცია წარმატებით ჩაატარეს და ჩამორთმეული მარიხუანით უკან ბრუნდებოდნენ, რომ ნარკოტიკებით მოვაჭრე კონტრაბანდისტებმა გადაუჭრეს გზა.

ბრძოლაში, რომელიც ორ საათს გრძელდებოდა, რამდენიმე თავდამსხმელი და 21 პოლიციელი დაიღუპა.

საბოლოო გამარჯვება კონტრაბანდისტებს ხვდათ წილად. მათ ხელთ იგდეს მარიხუანის დიდი პარტია და თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდნენ.

## პოლიცია აფრთხილებს

ინგლისელებისათვის სულ უფრო საშიში ხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა.

ლონდონის გაზეთი „დეილი ექსპრესი“ იუწყება, რომ გასულ წელს ინგლისის რკინიგზებზე 1000-ზე მეტი ადამიანი გაძარცვეს.

ლონდონის მეტროში 1985 წელს ხულიგნებმა და მძარცველებმა 1515 მგზავრი და 400-მდე მომსახურე პერსონალი დააზარალეს.

ბრიტანეთის კუნძულებზე წელიწადში საშუალოდ 30 ათასამდე ბინას ძარცვავენ. პოლიცია საჯაროდ მოუწოდებს ხალხს, რომ არ ჩაიდონ ჯიბეში ბევრი ფული, ერიდონ ქუჩაში ბრილიანტებისა და სხვა ძვირფასი სამკაულების ტარებას.

## საყურადღებო მოსაზრება

კალიფორნიის შტატში (აშშ) მცხოვრებმა მსუბუქი ყოფაქცევის ქალმა ნორმა ალმოდოვარმა აღნიშნული შტატის ვიცე-გუბერნატორის პოსტზე წამოაყენა... თავისი კანდიდატურა.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ვიცე-პრეზიდენტის პოსტის მაძიებელმა ასე დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება: „ამერიკის პოლიტიკასა და პროსტიტუციის შორის გაცილებით მეტია საერთო, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ“.

## ახალი „ჩემპიონი“

34 წლის შოტლანდიელმა ენტონი ბრიმსონმა, რომელმაც რამდენიმე წელიწადში 700 მსუბუქი ავტომანქანის გატაცება მოასწრო, სასამართლოზე განაცხადა: „ხომ შეიძლება ეს მანქანები ავარიაში მოხვედრილიყვნენ? გამოდის, რომ სიკეთეს ვაკეთებდი. ამ სიკეთეს კი რაღაც ღვთიური ძალა შთამაგონებდა“...

— ისიც გაითვალისწინეთ, — წამოიძახა ბრალდებულის გულაჩვილებულმა ვექილმა, — ენტონ ბრიმსონი ჩემპიონია. ამდენი მანქანა მსოფლიოში არავის მოუპარავს!

## კასაციას არ ექვემდებარება

ამერიკის ქალაქ სანტა-ფეს (ნიუ-მექსიკოს შტატი) სასამართლოს თავმჯდომარემ ერთ-ერთ პროცესზე ხუთი წუთით დაიგვიანა.

„პრინციპულმა“ თავმჯდომარემ მაშინვე განაჩენი გამოიტანა და საკუთარ თავს 50 დოლარი ჯარიმის გადახდა მიუსაჯა (აღსანიშნავია ისიც, რომ ეს განაჩენი საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება).

# კროსვორდი



თარაზულად: 5. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ან მთვარის ორბიტის წერტილი, რომელიც დედამიწის ცენტრიდან მაქსიმალურადაა დაშორებული; 6. ეთიოპიის ხალხთა უძველესი ჯგუფი; 7. ქართველი სახალხო გმირი; 9. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი; 10. ბიძგების, დარტყმების შესარბილებელი მოწყობილობა; 11. მდინარე, რომელსაც „ვჭამთ"; 16. ხუროთმოძღვრების ძეგლი საქართველოში (XVI–XVII სს.); 17. სახარების ტრადიციის მიხედვით ქრისტეს დაბადების ადგილი; 20. იუპიტერის უახლოესი თანამგზავრი; 22. ოპტიკური ხელსაწყო; 24. მუსიკალური ბგერა; 25. სოფელი ახალქალაქის რაიონში; 27. ბერძნული ანბანის ასო; 29. საშენი მასალა; 30. ქიმიური ელემენტი; 31. ქვეყანა აფრიკაში; 32. პიონერთა ბანაკი ყირიმში; 33. მუსიკალური ბგერა; 34. უნგრელი პოეტი; 35. სოფელი აფხაზეთის ასსრ გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე; 36. სოფელი სიღნაღის რაიონში; 38. წონის ერთეული ძველ რომში; 39. უდიდესი მდინარე იტალიაში; 40. მდინარე ინგლისში; 43. რიცხვი, რომელიც გამოსახავს წრეწირის სიგრძის დიამეტრთან შეფარდებას; 44. ნივთიერების თავისთავადი გამოსხივების მოვლენა; 45. ჯავშნიანი ცხოველი; 46. ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ დედაქალაქი; 47. საგამოცდო ბილეთის ნაწილი; 54. წერწეტი ქალის აღმნიშვნელი მეტაფორა „ვეფხვისტყაოსანში"; 55. მეცნიერული გამოცემა, ჩვეულებრივ ლექსიკონის სახით; 56. გეომეტრიული ფიგურა; 57. ქვეყანა ევროპაში; 58. თევზის სახეობა; 59. ერთი პირობითი სახელწოდებით გაერთიანებული გარკვეული ხასიათის როლები, რომლებიც შეესაბამება ამა თუ იმ მსახიობის ნიჭის თავისებურებას.

შვეულად: 1. ჩოგბურთში პარტიის ნაწილი, ქულათა გარკვეული რაოდენობა; 2. მეტრული მუსიკალური ერთეული; 3. მდინარე ევროპაში; 4. უქოჩრო გრძელბოლოიანი თუთიყუში; 5. ლაშქრობაში ნაშოვარი ქონება — დავლა, ნადავლი; 8. სიყვარულის ღვთაება; 12. მხარე გფრ-ში; 13. ქიმიური ელემენტი; 14. ფილოსოფიური მეცნიერება ზნეობის, მორალის შესახებ; 15. არგენტინელი ფეხბურთელი; 18. პარტიული ფორუმი; 19. მნათობთა ფიზიკური ბუნების შემსწავლელი მეცნიერება; 21. ქართველი მწერალი; 23. სანტიმეტრის მეასმილიონედი; 26. ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 28. ცხოველთა სამყარო; 35. ელექტრომაგნიტური ტალღა; 37. ნახევარკუნძული აზიაში, რომელიც მოქმედების ადგილადაა გამოყენებული „ვეფხისტყაოსანში". 41. ქვეყანა აფრიკაში; 42. სარწყავი არხის სახელწოდება შუა აზიაში; 48. ციფრი; 49. მცენარეთა სამყარო; 50. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; 51. წრეწირის ნაწილი; 52. სუნთქვის დროებითი შეჩერება; 53. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

შეადგინა მამუკა თოდუამ.



## ნახატი—ხუმრობა

ლევან მართაშვილისა



გარეკანის პირველ გვერდზე: შოთა რუსთაველი (1969 წელი. ბრინჯაო). მეოთხე გვერდზე: დავით აღმაშენებელი (ფრაგმენტი დიდგორის გმირთა მემორიალისა. 1985 წელი). ჩანართ გვერდებზე: ფიროსმანი (1986 წელი. ზეთი), ლეონარდო და ვინჩი (1985 წელი. ზეთი), მიქელანჯელო (1981 წელი. ტემპერა), შემოდგომა (1980 წელი. ზეთი). მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი.


გადაეცა წარმოებას 17. 06. 86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 07. 86. უე 04730. ქაღალდის ზომა $70 \times 108\,{}^{1}/_{8}$. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვ. 1485. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. пр. Руставели, 42.



რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.



რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



მერაბ ბერძენიშვილი. გრაფიკული ჩანახატები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

687/135

ეროვნული ბიბლიოთეკა

